პალიტრა მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

25 მაისი პარასკევი 2012 №122 (13 728) ფასი 80 თეთრი




ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართულ ფეხბურთს საფუძველი მოშლილი აქვს

**სახლის შენება სახურავიდან კი არა, საძირკვლიდან უნდა დაიწყოს**

8-9

## როცა კარგად მატჩის მხოლოდ 1/3-ს თამაშობ, 1:3 ლოგიკურია

### თურქეთამდე ბევრი გვიკლია

**ოფიციალური მატჩებისთვის გუშინდელზე ბევრად ძლიერი გუნდის იმედი არ უნდა გვქონდეს**

2



მოწყენილი გურამ კაშია და მოზეიმე თურქები



## შენგელია ფინალში შევიდა, შერმადინი განაცხადში

**თორნიკე შენგელიას** „შარლერუამ" ბელგიის ჩემპიონატის ნახევარფინალში მეორედაც დაამარცხა „ანტვერპენი" და ფინალის საგზური მოიპოვა, სადაც მისი მეტოქე „ოოსტენდე" იქნება.

გუშინ „შარლერუამ" „ანტვერპენს" შინ 73:63 სძლია. ქართველმა თავდამსხმელმა 6 ქულა, 2 მოხსნა და თითო ჩაჭრა-პასი მოაგროვა.

იტალიის ჩემპიონატის მეოთხედფინალში „კანტუ" სტუმრად „პესაროსთან" 68:80 დამარცხდა, რის შედეგადაც სერიაში ანგარიში გათანაბრდა - 2:2. **მანუჩარ მარკოიშვილმა** „პესაროს" კალათში 11 ქულა მოათავსა, რასაც 4 მოხსნა და ამდენივე ჩაჭრა მიამატა. ერთთვიანი უქმობის შემდეგ „კანტუს" განაცხადში გამოჩნდა **გიორგი შერმადინი** (ფეხის თითის ძვალი ჰქონდა გატეხილი), თუმცა გუშინ არ უთამაშია.

U 19. ელიტ რაუნდი

## საქართველო ბოსნიით იწყებს

**დღეს ხორვატიაში თბილისის დროით 18:30 წუთზე ოთარ კორღალიძის გუნდი ელიტ რაუნდის პირველ შეხვედრას გამართავს**

2



ოთარ კორღალიძე შეგირდებს ბოსნიამდე ბოლო დარიგებას აძლევს

ფოტო: www.gff.ge

## ქართული ფეხბურთი

● ეროვნული ნაკრები. ამხანაგური მატჩი

# რეალელების დაწყებული საქმე სელჩუკმა დაასრულა

### ქართულმა დაცვამ ველარ ივარგა, თურქეთამდე ბევრი გვიკლია

24.05. ზალცბურგი. რედ ბული.
700 მაყურებელი

საქართველო **1**

თურქეთი **3**

0:1 ჰამით ალტინტოპი (12. სერქანის პასით), 0:2 შაჰინი (39), 1:2 თარგამაძე (51. გელაშვილის პასით), 1:3 სელჩუკი (82. პენ.)

| საქართველო 4-2-3-1 | თურქეთი 4-2-3-1 |
|---|---|
| ლორია | ჩენქი |
| ლობჟანიძე | ეგემენი |
| კაშია | ისმაელი |
| ამისულაშვილი | მეჰმეთ თოფალი |
| დ. კვირკველია | სერდარი |
| კანკავა | ტოპრაკი |
| ხიზანიშვილი | შაჰინი |
| თარგამაძე | ჰამით ალტინტოპი |
| ს. კობახიძე | მუსაქა |
| გელაშვილი | სერქანი |
| დვალიშვილი | გიოქჰანი |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| თ. ქეცბაია | ა. აჯრი |

**საქართველო**

46. ლობჟანიძე – **დაუშვილი**
46. დვალიშვილი – **მჭედლიძე**
63. დ. კვირკველია – **ფოფხაძე**
65. თარგამაძე – **ოქრიაშვილი**
72. კანკავა – **ლიპარტია**
89. გელაშვილი – **ძალამიძე**

სათადარიგოები: რევიშვილი, მიგინეიშვილი, ხუბუტია, ს. კვირკველია, ყენია

**თურქეთი**

57. შაჰინი – **სელჩუკი**
57. გიოქჰანი – **არდა თურანი**
61. მუსაქა – **უმუთი**
62. ჩენქი – **მერთი**
70. ალტინტოპი – **ჩანერი**

გაფრთხილება: ტოპრაკი (79), მჭედლიძე (90)

არბიტრი: მ. ჰამეტერი (ავსტრია)

გუშინ ზალცბურგში გასაკვირი არაფერი მომხდარა – საქართველოს ნაკრები კლასით უფრო მაღლა მდგომ, თუმცა არცთუ საუკეთესო შემადგენლობით მოთამაშე მეტოქესთან ლოგიკურად დამარცხდა. მკითხველთა უმრავლესობამ მატჩი საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხით იხილა. ამიტომაც მის პერიპეტიებზე ვრცლად არ შევჩერდებით და ჩვენი ეროვნული გუნდის თამაშს მოკლედ შევაფასებთ.

ის სასტარტო თერთმეტეული, რომელიც **თემურ ქეცბაიამ** თურქების წინააღმდეგ გაამწესა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ოპტიმალურთან მიახლოებულია. რასაკვირველია, მსოფლიოს 2014 ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისთვის გარკვეულ პოზიციებზე ცვლილებებიც მოსალოდნელია, მაგრამ უნდა შევთანხმდეთ, რომ გუშინ საქართველოს ნაკრებს აუნაზღაურებელი დანაკლისი არ ჰქონია.

სწორედ ამის ფონზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ოფიციალური მატჩებისთვის გუშინდელზე ბევრად ძლიერი გუნდის იმედი არ უნდა გვქონდეს. გუშინდელ შეხვედრაში საქართველოს ნაკრები უიმედოდ არ დამარცხებულა, მაგრამ მისი შესრულებით მაინც ვერ ვნახეთ იმ ხარისხის ფეხბურთი, რამაც შეიძლება უკეთესი მომავლის იმედი გაგვიჩინოს.

თუკი გასულ შესარჩევ ციკლში ჩვენი მთავარი პრობლემა შეტევა იყო, გუშინ წინა ხაზზე მცირედი უკეთესობა შეინიშნებოდა. სამაგიეროდ, საოცრად არაორგანიზებული იყო ქართული დაცვა, რასაც ყველაზე ნაკლებად ველოდით. ვერ გეტყვით, არის თუ არა ამის მიზეზი **კახა კალაძის** ნაკრებიდან და საერთოდ, ფეხბურთიდან წასვლა – ამ შეკითხვაზე უფრო ნათელ პასუხს მომდევნო მატჩები გაგვცემს. გუშინ კი ფაქტია, რომ პირველი ორი გოლი დაცვის ხაზში დაშვებული უხეში შეცდომების ბრალი იყო.

სხვა მხრივ, საქართველოს ნაკრების ტაქტიკასა თუ სტრატეგიაში მოულოდნელი და ახალი არაფერი გვინახავს – ქეცბაიამ გუნდი ისევ ერთი გამოკვეთილი ფორვარდით ათამაშა, თურქთა სწრაფი გოლის შემდეგ კი ქართველებმა თამამად შეუტიეს და მეტოქის უკანა ხაზს გარკვეული პრობლემებიც შეუქმნეს. კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ჩვენი ახალი ფორმაციის ნაკრების პოტენციური ლიდერები **დავით თარგამაძე** და **სანდრო კობახიძე** არიან.

მოკლედ შეხვედრის ძირითადი მომენტებიც გავიხსენოთ – მე-12 წუთზე ქართული დაცვის ცენტრი ჩავარდა და თურქეთის ნაკრების კაპიტანმა **ჰამით ალტინტოპმა** თავისი გუნდი თავურით დააწინაურა. შეტევაზე გადასულ ქართველებს ანგარიშის გათანაბრების შანსი სამიოდე წუთში მიეცათ, მაგრამ ხელსაყრელ პოზიციაზე მყოფმა **ჯაბა კანკავამ** დარტყმა დააყოვნა და თურქთა მცველი ბურთს გადაეფარა.

ამას უკვე მეტოქის ორი სახიფათო იერიში მოჰყვა – ჯერ კონტრშეტევისას **ისმაელმა** ააცილა მახვილი კუთხიდან, შემდეგ კი **გიორგი ლორიამ გიოქჰანის** დარტყმა მოიგერია. 39-ე წუთზე კი ქართული დაცვის ცენტრმა კიდევ ერთი უპატიებელი შეცდომა დატოვა და ჩვენ გუნდის კარი ამჯერად მადრიდის "რეალის" მეორე ფეხბურთელმა, **ნური შაჰინმა** დალაშქრა. ქართველი მცველების მორიგი უპატიებელი შეცდომით კი **სერქანმა** ვერ ისარგებლა, რომელსაც ლორიამ არ გაატანინა.

მეორე ტაიმის საწყისი ნაწილი ქართველთა უპირატესობით წარიმართა და თარგამაძის გოლიც კანონზომიერი იყო – **ნიკოლოზ გელაშვილის** პასი კანკავამ მახვილგონივრულად გაატარა და საქართველოს ნაკრების 10-მა ნომერმა აუღელვებლად გაიტანა.

ეს 51-ე წუთზე მოხდა, 55-ეზე კი გათანაბრებამდე მცირედი დაგვაკლდა. **ალექსანდრე ამისულაშვილის** მიერ შესრულებული საჯარიმო დარტყმა თურქთა მეკარემ მოიგერია, ხოლო დამატებაზე **ლევან მჭედლიძემ** მას ბურთი სახეში გაარტყა, რამაც ცოტა ხანში მეტოქის კიპერის შეცვლა გამოიწვია.

ამის შემდეგ ქართული უპირატესობის ტალღამ ნელ-ნელა გადაიარა და თამაშის ტემპი დაეცა. ქეცბაიას შეგირდები თამაშს ველარ ამწვავებდნენ, მეტოქეს კი შექმნილი ვითარება სავსებით აძლევდა ხელს და თურქები თავადაც ალარ აქტიურობდნენ.

თუმცა ბოლო სიტყვა მაინც მათ თქვეს – **მურთაზ დაუშვილს** საკუთარ საჯარიმოში ბურთი ხელზე მოხვდა და თერთმეტმეტრიანი სელჩუკმა გაგვიტანა. ანგარიშის შემცირების საშუალება **ნიკა ძალამიძემ** ვერ გამოიყენა, მისი დარტყმა მეკარემ მოიგერია და მსაჯის საფინალო სასტვენის ხმაც მალე გაისმა.

როგორც თავში ვთქვით, შედეგი ლოგიკური იყო, საქართველოს ნაკრებისგან კი ამაზე უფრო ხარისხიან თამაშს არც ველოდით. სხვა საქმეა, რომ ამდენი ხარვეზის მქონე გუნდს შესარჩევი ციკლისთვის მეტ-ნაკლებად ხეირიანად მოსამზადებლად მაქსიმალური რაოდენობის ამხანაგური მატჩები სჭირდება.

შედარებისთვის, თურქები ამ შეკრებაზე ხუთ ამხანაგურს ატარებენ. გასაგებია, რომ მათ ფეხბურთის ფედერაციას ძლიერი სპარინგ-პარტნიორების მოსაძებნად გაცილებით დიდი გასაქანი აქვს, მაგრამ ახლა მთელ მსოფლიოში ამხანაგურების ბუმია და სფფ-ს დამატებითი, თუნდაც არცთუ სახელოვანი მეტოქეების მოსაძებნად მეტი მუშაობა მართებდა.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ქართველები ნური შაჰინის (№10) და თურქების წინააღმდეგ ვერაფერს გახდნენ

● U 19. ელიტ რაუნდი



# ბოსნიით ვიწყებთ

დღეს საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები ხორვატიაში ელიტ რაუნდის პირველ შეხვედრას გამართავს: **ოთარ კორლალიძის** გაწვრთნილები ბოსნია-ჰერცოგოვინას დაუპირისპირდებიან.

კორლალიძის რჩეული 18 ფეხბურთელი მატჩისთვის ზაგრებთან ახლომდებარე დასახლება ტუელიეში ემზადება. გუშინ ნაკრებს დანიური "ორჰუსის" თავდამსხმელი **დავით სხირტლაძეც** შეუერთდა და გუნდი სრული შემადგენლობით შეიკრიბა.

რა განწყობაა ნაკრებში და რას ფიქრობენ ფეხბურთელები მეტოქეებსა და ჯგუფიდან გასვლის შანსებზე?

**დავით ლეგაშვილი**, მეკარე: *"შეკრებაზე ჩვენი მეტოქეების შეხვედრების ჩანაწერები ვნახეთ და სიმართლე გითხრათ, დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ჯგუფიდან გასვლა სრულიად რეალურია. ჩემი აზრით, ავსტრიასაც უნდა მოვუგოთ და ბოსნიასაც, რომელიც ყველაზე სუსტი გუნდი მგონია. ხორვატია კი მასპინძელია და დანარჩენებთან შედარებით მეტი შანსი აქვს.*

*ელიტ რაუნდი მნიშვნელოვანი იქნება ჩვენი წინსვლისთვისაც. ცხადია, ყველას უკეთეს ლიგასა და კლუბში მოხვედრა გვსურს. პირადად მე ზამთარში ერთი კვირით ავსტრიაში გასინჯვაზე "ზალცბურგმა" მიმიწვია და ახლა კიდევ ერთხელ ხორვატიაში დამაკვირდებიან.*

*ამის შემდეგ თბილისის "დინამოში" ფორმის აღდგენის საშუალება გიორგი დევდარიანმა მომცა. ბენდელას თასზე "დინამო -2"-ში ვითამაშე, სეზონის მსვლელობის დროს კი მეორე ლიგის "სასკოში" სამი შეხვედრა ჩავატარე.*

*სამწუხაროდ, ბოლო ერთი წელი არ მიმართლებდა; ახლა კი იმედი მაქვს, რომ ელიტ რაუნდში წარმატებით ვითამაშებთ და გულშემატკივარსაც გავახარებთ".*

**არჩილ ტვილდიანი,** მცველი: *"ჩემი აზრით, ბოსნიასთან მატჩი უმნიშვნელოვანესი იქნება, რადგან ტურნირის კარგად დაწყება ფსიქოლოგიურად წავვადგება და შემდგომ თამაშებში მიზნის მიღწევას გაგვიადვილებს. თუმცა, ტურნირზე ყველა შეხვედრა მობილიზებულად უნდა ჩავატაროთ. მიმაჩნია, რომ ჩვენს ნაკრებს აქვს პოტენციალი, 17-წლამდელთა ნაკრების წარმატება გაიმეოროს და საქართველო გაახაროს".*

**ლაშა პარუნაშვილი**, ნახევარმცველი: *"ნაკრებში მწვრთნელიც შეიცვალა და სათამაშო ტაქტიკაც, მაგრამ იგივე დარჩა ჩვენი განწყობა და სულისკვეთება. რაც მთავარია, კვლავ წარმატებულ გამოსვლასა და ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლაზე ვფიქრობთ. სხვათა შორის, ახალ ტაქტიკაზე გადაწყობაც არ გაგვჭირვებია. დევდარიანის დროს მოედნის ცენტრში ერთი საყრდენი გვყავდა და ორი შემტევი ნახევარმცველი, ახლა კი პირიქითაა, ორი საყრდენი და ერთი შემტევი ნახევარმცველი გვყავს, მაგრამ ამ ახალი ტაქტიკით პორტუგალიის საერთაშორისო ტურნირზე გუნდი ღირსეულად გამოვიდა".*

საქართველოსა და ბოსნიის ნაკრებების შეხვედრა სტადიონ „იოსიპ სვეტოგ რადნიკაზე" თბილისის დროით 18 საათსა და 30 წუთზე დაიწყება.

**ელიტ-რაუნდის მატჩების განრიგი**

25 მაისი. საქართველო-ბოსნია
27 მაისი. ხორვატია-საქართველო
30 მაისი. საქართველო-ავსტრია

**მერაბ მამულაშვილი**

● ბაია

# თავდაცვის სამინისტრო ბაიას დააფინანსებს?

### ზუგდიდის გამგებელი: ჯერ ამაზე ლაპარაკი არ ყოფილა

თუკი ადრე სახელმწიფო სტრუქტურებს გუნდების დაფინანსება აუკრძალეს, ახლა პირიქით არის: ბოლო დროს, სახელმწიფო ორგანიზაციები და სტრუქტურები ფეხბურთით დაინტერესდნენ, რეგიონების გუნდებს მიხედეს და მათი დაფინანსება ლამის სახელმწიფო პოლიტიკის დონეზეც აიყვანეს.

ბოლო მაგალითი გორის "დილაა", რომელსაც შინაგან საქმეთა სამინისტრო პატრონობს და ისე მოფერიანდა, თასის ფინალში გავიდა და ეროვნული ჩემპიონატის ხუთეულში მოხვდა. ახლა კი გავრცელდა ინფორმაცია, რომ ზუგდიდის "ბაიას" დაფინანსებას თავდაცვის სამინისტრო აპირებს.

ინფორმაციის თანახმად, მთავარ მწვრთნელად **ელგუჯა ქომეთიანს** ტოვებენ, მანამდე,ვიდრე გუნდს თავდაცვის სამინისტრო გადაიბარებს. მაგრამ ჯერ საკითხი არ გადაწყვეტილა და ამიტომაც არის, ეს ამბავი რომ არ აფიშირდება.

ინფორმაცია, რომ კალათბურთის და რაგბის კლუბების შემდეგ თავდაცვის სამინისტრო საფეხბურთო კლუბის ჩამოყალიბებას აპირებდა, ჯერ კიდევ შარშან დეკემბერში გაჩნდა. „არმია" ორივე სახეობაში წარმატებული და კარგად დაფინანსებული პროექტი აღმოჩნდა. საფეხბურთო „არმიას" ჩამოყალიბება ამ პროცესის ლოგიკურ გაგრძელებად ჩანდა.

ზამთარში ლაპარაკი იყო „არმიასა" და „გაგრას" გაერთიანებაზე და "გაგრაში" ეს ინტერესი (და არა მოლაპარაკება) კულუარულად დაგვიდასტურეს. სხვათა შორის, საკალათბურთო და სარაგბო კლუბებიც ასე შეიქმნა: მორაგბეები „უნივერსიტეტს" გაუერთიანდნენ, კალათბურთელები - რუსთავის „აზოტს".

"ბაიას" სამომავლო სიახლეებზე გუნდის მთავარ მწვრთნელს, ელგუჯა ქომეთიანს დავუკავშირდით: *"ჩვენ იმაზე მეტი არ ვიცით, რასაც ამბობენ. ეს ინფორმაციაც ინტერნეტიდან შევიტყვეთ. მეორე თვეა, გუნდს ზუგდიდის მუნიციპალიტეტი ინახავს და ფინანსური მდგომარეობა საგრძნობლად გამოსწორდა, ხელფასებსა და პრემიებს დროულად არიგებენ. შეიძლება ცვლილებები მოხდეს, მაგრამ ეს ფეხბურთელებსა და ხელმძღვანელებს თუ შეეხებათ, მეპატრონეზე კი ვერაფერს მოგახსენებთ".*

ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელს **ალექსანდრე ქობალიას** ვთხოვეთ.

**- შეეფერება სიმართლეს ცნობა, თითქოს "ბაიას" თავდაცვის სამინისტრო დააფინანსებს?**

- ამ კუთხით ჯერ არაფერი გადაწყვეტილა. გუნდი დღემდე ჩვენი მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია. მაგრამ ცვლილებები აუცილებლად იქნება.

**- რას გულისხმობთ?**

- საკადრო და ფინანსურ ცვლილებას. ჩვენი სურვილი გაძლიერებაა.

**- ანუ, თავდაცვის სამინისტრო "ბაიასთან" არ ითანამშრომლებს?**

- ჯერ ამაზე ლაპარაკი არ ყოფილა.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. კოპა დელ რეი. ფინალის წინ

**დღეს: ბილბაო-ბარსელონა 00:00** ტრავმა: იტურასპე (?) - ვილია, ფონტასი, აბიდალი, დანი ალვეში, პუიოლი

# ჰიმნი განხეთქილებისა...

## იკერ მუნიაინი: ჩვენ ბარსას ბურთს წავართმევთ და ვარბენინებთ აქეთ-იქით



ხოსეპ გვარდიოლა მე-14 ტიტულისთვის იბრძოლებს

### 27 წამი 52-ის ნაცვლად

მაშინ, როცა უპირველესად **ხოსეპ გვარდიოლას** გამოსათხოვარ მატჩზე უნდა ვწერდეთ, პირველ პლანზე პოლიტიკა გამოდის. რას ვიზამთ, ეს ესპანეთია, სადაც ყველაფერმა შეიძლება გამოიწვიოს განხეთქილება, თუნდაც... ეროვნულმა ჰიმნმა! კარგა ხანს ვერ მოხერხდა „სამეფო თასის" ფინალის გამართვის თარიღისა და ადგილის შერჩევა, „რეალმა" ბილბაოს „ატლეტიკსა" და „ბარსელონას" საერთოდ არ დაუთმო სტადიონი. საბოლოოდ, დადგინდა, რომ მატჩი „ვისენტე კალდერონზე" გაიმართება, **ხოსეპ გვარდიოლა** შეეცდება „ბარსელონაში" მუშაობის ფანტასტიკური პერიოდი მორიგი ტიტულით დაასრულოს, მაგრამ...



სამეფო ოჯახი ჰიმნზე

ამას წინათ სიტყვით მადრიდის ავტონომიის ხელმძღვანელი, ქალბატონი **ესტელა აგირე** გამოვიდა და იცით, რა თქვა? ესპანეთის კანონმდებლობით ჰიმნის შეურაცხყოფა დანაშაულია და თუ მაყურებელი სტვენას დაიწყებს („კალდერონზე" უმეტესად ბასკები და კატალონიელები ისხდებიან, რომელთათვისაც ესპანეთის ჰიმნი არაფერს წარმოადგენს), მატჩი აღარ უნდა გაიმართოსო!

ეს ერთი უკიდურესობა, ახლა მეორეც - ამის შესახებ აზრს „ბარსელონას" მცველ **ჟერარდ პიკეს** დაეკითხნენ, რომელმაც განაცხადა, რომ თავისუფალ ქვეყანაში ფანებს აზრის გამოხატვის უფლება უნდა ჰქონდეთო. წარმოიდგინეთ, ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი ბურჯი ეროვნული ჰიმნის დროს სტვენას „აზრის გამოხატვას" უწოდებს!

და აი, რა გადაწყვეტილება მიიღეს - დღეს „ვისენტე კალდერონზე" ესპანეთის ჰიმნი პროტოკოლით გათვალისწინებული 52 წამის ნაცვლად 27 წამის განმავლობაში გაჟღერდება. აბა იმას ხომ არ იტყოდნენ ოფიციალურად, რომ სტვენის გვეშინიაო და ოფიციალური განმარტება მოიგონეს - თასის ფინალს მეფე **ხუან კარლოსი** არ ესწრება, სამეფო ოჯახს **ფელიპე**, ასტურიის პრინცი წარადგენს და ჰიმნის შემოკლებული ვერსიაც ამიტომ გაჟღერდებაო. ისე, მოხერხებული ფანი 27 წამის განმავლობაშიც კარგად მოახერხებს სტვენას.

### 28 წლის შემდეგ?

Campeonato De Espana – Copa De Su Majestad El Rey De Futbol- ეს ესპანეთის თასის სრული, ოფიციალური დასახელებაა. ტურნირი 1902 წელს დაარსდა და მას შემდეგ დღევანდელ ფინალში სწორედ ის ორი კლუბია გასული, რომელთაც ყველაზე მეტჯერ მოუგიათ თასი. „ბარსელონამ" სამეფო ტიტული 25-ჯერ მოიპოვა, „ბილბაომ" - 23-ჯერ. ტიტულების მიხედვით „რეალი" მხოლოდ მესამეა - 18 გამარჯვება. „ბარსელონამ" ბოლოს 2009 წელს მოიგო თასი, „ბილბაომ" კი - 1984 წელს - 28 წლის წინათ!

დღევანდელი ფინალი 2009 წლის შეხვედრის რემატჩია - მაშინ ხოსეპ გვარდიოლას გუნდმა **ხოაკინ კაპაროსის** „ბილბაოს" 4:1 მოუგო „მესტალიაზე". 50 ათასმა ფანმა ნახა ეს შეხვედრა ვალენსიაში: **გაისკა ტოკერომ** მე-8 წუთზე დააწინაურა ბასკები, მაგრამ **იაია ტურემ** 32-ე წუთზე გაათანაბრა. მეორე ტაიმში გოლები **გორკა ირაისოსის** კარში **ლეო მესიმ** (55), **ბოიან კრკიჩმა** (57) და **ჩავიმ** (64) გაიტანეს.



ბარსელონელები გამარჯვებას ელიან

სხვათა შორის, მაშინაც დიდი ამბავი გამოიწვია ჰიმნმა, რომელსაც ბასკებმა და კატალონიელებმა ერთიანად უსტვინეს. ესპანეთის ტელევიზიამ მაუწყებლობა შეწყვიტა და ჰიმნი მხოლოდ შესვენებაზე აჩვენა, ოღონდ სტვენის ხმა აღარ ისმოდა. მაშინ თანამდებობა დაკარგა TVE-ს სპორტის განყოფილების შეფმა **ხულიან რეიესმა**.

ბარემ ამ მატჩის შემადგენლობებსაც გაგაცნობთ

**ბილბაო:** ირაისოსი - ირაოლა, ოსიო, ამორებიეტა, კოიკილი - ორბაისი (61. ველესი), ხ. მარტინესი, იესტე (კაპიტანი), დ. ლოპესი (56. სუსაეტა) - ფ. ლორენტე, ტოკერო (61. ეჩებერია).

**ბარსელონა:** პინტო - დანი ალვეში, ი. ტურე (89. სილვინიო), პიკე, პუიოლი (კაპიტანი) - ჩავი (88. პედრო), ბუსკეტსი, კეიტა - მესი, ეტოო, კრკიჩი (84. ჰლები).

**ბოლო 10 ფინალი**

| | |
|---|---|
| 2011: რეალი-ბარსელონა | 1:0 (დ.დ.) |
| 2010: სევილია-ატლეტიკო | 2:0 |
| 2009: ბარსელონა-ბილბაო | 4:1 |
| 2008: ვალენსია-ხეტაფე | 3:1 |
| 2007: სევილია-ხეტაფე | 1:0 |
| 2006: ესპანიოლი-სარაგოსა | 4:1 |
| 2005: ბეტისი-ოსასუნა | 2:1 (დ.დ.) |
| 2004: სარაგოსა-რეალი | 3:2 (დ.დ.) |
| 2003: მალიორკა-უელვა | 3:0 |
| 2002: დეპორტივო-რეალი | 2:1 |

### იქ, სადაც დაიწყო, დამთავრდება?

ხოსეპ გვარდიოლამ „ბარსელონა" 2008 წლის ზაფხულში ჩაიბარა და ამ თამაშის შემდეგ დატოვებს გუნდს. პეპმა 4 წელიწადში საოცრება ჩაიდინა - 13 ტიტული მოუპოვა გუნდს! აქედან მხოლოდ ერთია ესპანეთის თასი - 2009 წელს „მესტალიაზე" გუნდმა „ბილბაო" 4:1 დაამარცხა. ეს თამაში უკვე განვიხილეთ, ერთსაც ვიტყვით - ეს იყო პეპის პირველი ტიტული „ბარსელონაში". ახლა მას შანსი აქვს თასის ფინალით დაწყებული, ისევ ფინალით დაასრულოს, მოიგოს მე-14 ტიტული გუნდისთვის და წავიდეს. თანაც ფინალში ისევ ის მეტოქეა.

### ხელთათმანი ნასროლია

**იკერ მუნიაინი** სულ რაღაც 19 წლისაა, მაგრამ მას უკვე კარგად იცნობს საფეხბურთო სამყარო - ბასკთა ამომავალ ვარსკვლავს სულაც ევრო 2012-ზე თამაშის შანსი აქვს. მაგრამ, რაც მან გუშინ თქვა, მაინც ნამეტანია - „ესპანელმა მესიმ" განაცხადა, რომ „ბილბაო" „ბარსას" ბურთს დაუმალავს და მეტოქეს იძულებულს გახდის, ირბინოს მთელ მოედანზე და იბრძოლოს ბურთისთვის. ასეთი რამ, რაც ხოსეპ გვარდიოლა „ბარსელონაშია", არასოდეს მომხდარა - ყოველთვის ბურთის ფლობის პროცენტი კატალონიელთა მხარეს იყო, მეტოქეს მნიშვნელობა არ ჰქონდა. ვნახოთ, თამამ განცხადებას რა მოყვება. ისე, მუნიაინმა ისიც თქვა, გვარდიოლასთვის „ბილბაო" შესანიშნავი სამუშაო ადგილი იქნებოდაო. არა გვგონია, **მარსელო ბიელსას** შეგირდის ეს სიტყვები მოეწონოს.

### დაცვის გარეშე

მაშინ, როცა ბასკებს თითქმის არ ჰყავთ ტრავმირებული ფეხბურთელები, „ბარსელონაში" ნამდვილი ლაზარეთია - გვარდიოლას დაცვის ხაზი ფაქტობრივად არ ჰყავს - **დანი ალვეში, კარლეს პუიოლი, ერიკ აბიდალი, ანდრეუ ფონტასი**, ამათი თამაში გამორიცხულია. გვარდიოლა, სავარაუდოდ, ალვეშს **მარტინ მონტოიათი** ჩაანაცვლებს, პიკეს **ხავიერ მასკერანო** შეუწყვილდება, ხოლო მარცხენა ფლანგზე **ადრიანო** დადგება. „ბილბაოს" ნახევარმცველი **ანდერ იტურასპე** ვირუსს ებრძვის, ამიტომაც მან რამდენიმე ვარჯიში გამოტოვა, თუმცა თამაშს შეძლებს.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ბილბაო:** *ირაისოსი - ირაოლა, ხ. მარტინესი, ამორებიეტა, აურტენეჩე - დე მარკოსი, იტურასპე, ანდერი - სუსაეტა, ფ. ლორენტე, მუნიაინი.*

**ბარსელონა:** *პინტო - მონტოია, პიკე, მასკერანო, ადრიანო - ჩავი, ბუსკეტსი, ინიესტა - ფაბრეგასი, მესი, სანჩესი.*

**ფაქტები**

- „ბილბაო" საშინელ ფორმაშია - ბოლო ხუთი მატჩია არათუ ვერ მოუგია, გოლი ვერ გაუტანია.
- ეს გუნდები ესპანეთის თასის ფინალში მეშვიდედ ხვდებიან ერთმანეთს. წინა 6 დაპირისპირებიდან 4 კატალონიელებმა მოიგეს, 2 - ბასკებმა.
- „ბილბაომ", რომელმაც ჩემპიონატი მე-10 ადგილზე დაასრულა, ევროპალიგის საგზური ფინალში გასვლით უკვე მოიპოვა. მაგრამ თუ ფინალს წააგებს, ამ ტურნირში მხოლოდ საკვალიფიკაციო ეტაპიდან ჩაებმება, ხოლო თასის აღების შემთხვევაში - პირდაპირ ჯგუფური ეტაპიდან.
- „ბარსელონას" ბოლო ხუთი მატჩია, არ წაუგია: 3 მოგება, 2 ფრე.
- ამ სეზონში გუნდების პირველი დაპირისპირება ბილბაოში (ნოემბერში) 2:2 დასრულდა, აპრილში კი „კამპ ნოუზე" „ბარსამ" 2:0 მოიგო.

■ ■ ■

მაშ ასე, გვარდიოლამ უკვე ჩაატარა ბოლო ვარჯიში „ბარსელონას" მწვრთნელის რანგში, ახლა უკანასკნელი მატჩის დროა...

ლა ლიგა



ამ ფოტოზე ერნან პერესი (მარცხნივ) და მისი თანაგუნდელები კი ხარობენ, მაგრამ საბოლოოდ „ელ სუბმარინო" მაინც დაქვეითდა

# დატემა: ლიგის ნახევარფინალიდან სეგუნდაში

1997 წელს **ფერნანდო როიგმა** „ვილიარეალის" აქციების დიდი ნაწილი შეიძინა და ამ კლუბის პრეზიდენტი გახდა. 2009 წლის იანვარში ის საუკეთესო სპორტულ მენეჯერადაც დაასახელეს. ვალენსიის მხარის 50-ათასიანი პატარა ქალაქის შესახებ ყველამ შეიტყო, „ელ მადრიგალი" კი ერთ-ერთი ცნობილი არენა გახდა. 2008 წელს კლუბი მეორე ადგილზე გავიდა და 10 ქულით გაასწრო მესამე ადგილზე გასულ „ბარსელონას"! მანამდე, 2006 წელს „ვილიარეალი" ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გააჩერეს - ჯგუფში ამ გუნდმა „ბენფიკას", „ლილს" და „მანჩესტერ იუნაიტედს" აჯობა. შემდეგ კი „რეინჯერსი" და „ინტერი" გააგდო. ნახევარფინალში „არსენალმა" 180 წუთში ერთადერთი გოლი გაუტანა „ელ სუბმარინოს" (**კოლო ტურე**) და ამ გოლის წყალობით გავიდა ფინალში. „ყვითელი წყალქვეშა ნავი" იყო უეფას თასის (2004 წ) და შემდეგ მისი მემკვიდრე ევროპალიგის (2011) ნახევარფინალებში, ორჯერ მოიგო ინტერტოტოს თასი (2003, 2004)...

ახლა კი როიგის იმპერია გავარდა და შესაძლოა, ველარც შეძლოს დიდების დაბრუნება. მაგრამ როიგი არ კარგავს ოპტიმიზმს: *„გავარდნა შესაძლოა დაგვეხმაროს რეორგანიზაციაში და ძალების მოკრებაში"*, - ამბობს ის.

**დაქვეითება ციფრებში**

- **0** ევრო - დიახ, მიუხედავად იმისა, რომ კლუბი ელიტიდან გავარდა, მას ერთი ევროც კი არ აქვს ვალი. შედარებისთვის, „სარაგოსას", რომელიც გადარჩა - 80 მილიონი ევრო ჰმართებს.
- **5** მლნ. - „ვილიარეალის" ვალი აქეთ აქვთ - „მალაგას" 5 მილიონი დარჩა გადასახდელი **სანტი კასორლას** ტრანსფერისთვის.
- **7** მლნ - ეს კომპენსაცია მიიღო „დეპორტივომ" შარშანდელი გავარდნისთვის. „ვილიარეალმა" ხელშეკრულებას ხელი არ მოაწერა, ამიტომ ევროსაც ვერ მიიღებს.
- **25** მლნ - ეს „ვილიარეალის" წლიური სახელფასო ფონდია.
- **33** მლნ - ამდენი მიიღო კლუბმა ამ სეზონში სატელევიზიო ხელშეკრულებით. გაისად, კლუბს ზუსტად ამის მეათედი ელის.
- **76** მლნ - „ვილიარეალის" ბიუჯეტი 2011/12 წლების სეზონში. მომავალ სეზონში ზუსტად ამის მეხუთედი იქნება.

ამბები




### ოსვალდო რეალში?

26 წლის ნატურალიზებული იტალიელის, **პაბლო ოსვალდოს** შეძენა რამდენიმე ტოპკლუბს სურს, მათ შორის - „რეალს". ესპანელები „რომას" 10 მილიონ ევროს სთავაზობენ წარმოშობით არგენტინელი შემტევის სანაცვლოდ. ამასთან, „რომა" საბოლოოდ დაიკანონებს **ფერნანდო გაგოს**, რომელზეც უფლებები ისევ შერჩა „რეალს". ოსვალდოს 2016 წლამდე აქვს კონტრაქტი „რომასთან", სადაც ის „ესპანიოლიდან" გადავიდა. 27 მატჩში ჩემპიონატში მან 13 გოლი გაიტანა.

### ხურადო და ემრე ატლეტიკოში?

გერმანული პრესა ამტკიცებს, რომ **დიეგო სიმეონეს** სურს, „ატლეტიკოში" ხოსე მანუელ **ხურადო** დააბრუნოს. „შალკეში" ხურადოს სათამაშო პრაქტიკა თითქმის არ ჰქონდა. „ატლეტიკომ" უკვე შესთავაზა გერმანულ კლუბს 5 მილიონი ევრო ხურადოს გამოსასყიდად, მაგრამ ცივი უარი მიიღო.




ამბობენ, რომ „ატლეტიკოში", შესაძლოა, თურქული „ფენერბაჰჩეს" ნახევარმცველი **ემრე ბელოზოგლუ** გადავიდეს. 32 წლის ვეტერანი თავისუფალი აგენტია და მადრიდელები მასში ევროსაც არ დახარჯავენ.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

## უცხოური ფეხბური

ევრო 2012 ინგლისის ნაკრები

# კაპიტანი რჩება

**როი ჰოჯსონს** ევრო 2012-ის დაწყებამდე პირველი საკადრო პრობლემები შეექმნა. გამოძახებულთაგან ორს **გლენ ჯონსონსა** და **დენი უელბეკს** გუშინწინდელ და გუშინდელ ვარჯიშებში მონაწილეობა არ მიუღიათ, თუმცა რიგი წყაროებისა ამტკიცებენ, რომ უახლოეს საკონტროლო მატჩში ისინი მინიმუმ განაცხადში იქნებიან. ამას ადასტურებს ინგლისის ნაკრების პრესსამსახურიც. მათი თქმით, ლაპარაკი შეიძლება იყოს არა ფეხბურთელების ტრავმებზე, არამედ გარკვეულწილად რისკის თავიდან არიდებაზე. ჯონსონს ლამის მთელი სეზონის განმავლობაში აწუხებდა ტკივილები, უელბეკს კი სერიოზული არაფერი სჭირს. მან პრემიერლიგის ბოლო ტურში "სუონსისთან" შეხვედრაში მიიღო მცირე დაზიანება. სამაგიეროდ, გარკვეული პაუზისა და ქუსლის ტრავმის მოშუშების შემდეგ ძირითად გუნდს დაუბრუნდა "ტოტენჰემის" კაპიტანი **სკოტ პარკერი**. მართალია, ფეხბურთელმა ივარჯიშა, მაგრამ მისი ფიზიკური კონდიციები ჯერჯერობით უკეთესის სურვილს ტოვებს. მას სულ რამდენიმე დღე აქვს (29 მაისამდე) ვითარების გამოსასწორებლად. ჰოჯსონი მას ალბათ მაინც იახლებს თან.

ჰოჯსონმა გუშინწინ პირველად გამართა საერთო გუნდური კრება, სადაც ფეხბურთელებს მიმართა. "ვესტ ბრომვიჩის" ყოფილ დამრიგებელს სულ რაღაც 17 დღე და 2 საკონტროლო მატჩი დარჩა გუნდის სათანადოდ მოსამზადებლად. შეგახსენებთ, რომ ჰოჯსონის ხელმძღვანელობით ინგლისი პირველ მატჩს ხვალ ოსლოში ნორვეგიის წინააღმდეგ გამართავს. მკითხველს მოეხსენება, რომ ნაკრებში ამ შეხვედრისთვის ლივერპულელი **მარტინ კელი** გამოიძახეს. თუკი საბოლოოდ გლენ ჯონსონის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებლად არ შეფასდა, შესაძლოა, ევროპის ჩემპიონატზე მის ნაცვლად სწორედ კელი წავიდეს. ნაკრების თავკაცმა დამატებითი დასვენების დღეები გამოუყო "ჩელსის" ფეხბურთელებს **ჯონ ტერის, გარი კეჰილს, ეშლი კოულსა** და **ფრენკ ლემპარდს**. ეროვნულ გუნდს ისინი ორშაბათიდან შეუერთდებიან.

"ლივერპულისა" და ინგლისის ნაკრების კაპიტანმა **სტივ ჯერარდმა** კი განაცხადა, რომ ეროვნული გუნდიდან წასვლას ის არც ევროპის ჩემპიონატის შემდეგ გეგმავს. *"მესმის, რომ უკვე ისეთ ასაკში ვარ, როცა ხალხი ნაკრებიდან წასვლაზე ფიქრს იწყებს. ამ თემაზე ბოლო ხანს მეც ხშირად მეუბნებიან, არ გირჩევნია მთელი ძალები "ლივერპულს" დაახარჯოო? მე ასე არ ვფიქრობ, რადგან ეროვნულ გუნდში თამაში ძალიან მიყვარს და მის რიგებში გამოსვლას ევროპის ჩემპიონატის შემდეგაც ვგეგმავ. საზარდულთან დაკავშირებული პრობლემები წარსულს ჩაჰბარდა და ახლა თავს ძალიან კარგად ვგრძნობ"*, – თქვა ჯერარდმა.



სტივენ ჯერარდს ნაკრების რიგებში გამოსვლა დიდ სიამოვნებას ანიჭებს

**ლევან ბიბილაშვილი**

ევრო 2012 ინგლისის ნაკრები

# ტორესი: მეგონა, ევროზე არ წამიყვანდნენ

ესპანეთის ნაკრების 28 წლის ფორვარდმა **ფერნანდო ტორესმა** აღიარა, რომ შიშობდა, ევრო 2012-ის ფინალურ ეტაპის მიღმა დარჩებოდა. ფეხბურთელი განსაკუთრებით თებერვალში ჩავარდნილა საგონებელში, როცა ვისენტე დელ ბოსკემ ის ვენესუელელებთან ამხანაგური მატჩისთვის არ გამოიძახა, რადგან „ჩელსიში" ძალიან ცუდად თამაშობდა.

*„დიახ, თავი უკვე სიის გარეთ მეგონა, — როცა დამირეკეს და მითხრეს, რომ ევროპის ჩემპიონატზე ვითამაშებ. ასე არასდროს გამხარებია ნაკრებში დაძახება"*, - დაწერა „ელ ნინიომ" თავის პერსონალურ საიტზე, შემდეგ კი დავიდ ვილია გაამხნევა: *„დიდი სიყვარულით და მხარდაჭერით მოვიკითხავ დავიდს. ის ყველაზე მეტად იმსახურებდა ევროზე თამაშს. ჩვენ გუახე ძალიან დაგვაკლდება ჩემპიონატზე, ისევე როგორც - პუიოლი"*.



ფერნანდო ტორესი საუკეთესო წლებში

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ევრო 2012 საფრანგეთის ნაკრები

# ბენზემა: ინგლისი ძალიან ძლიერია

მადრიდის "რეალისა" და საფრანგეთის ნაკრების თავდამსხმელის **ქარიმ ბენზემას** განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისს პირველ შეხვედრაში **უეინ რუნი** არ ეყოლება, ეს არ ნიშნავს, რომ ფრანგები მატჩის ფავორიტები ხდებიან. *"ვემზადები, რომ ევროპის ჩემპიონატისთვის საუკეთესო ფორმაში ვიყო. ფეხბურთელი ამას მუდამ უნდა ესწრაფვოდეს განურჩევლად იმისა, რისთვის ემზადება. ვიცი, რასაც ითხოვენ კონკრეტულად ჩემგან და რას ელიან გუნდისგან. მოლოდინის გასამართლებლად ყველაფერი უნდა გავაკეთოთ. განსაკუთრებულ ზეწოლას ვერ ვგრძნობ. პირობას გაძლევთ, რომ წარმატებისთვის ყველაფერს გავიღებ. სადებიუტო შეხვედრაში ინგლისი რუნის გარეშე ითამაშებს, მაგრამ ამის მიუხედავად ის მაინც ძალიან ძლიერია. მათ ჰყავთ ისეთი ფეხბურთელები, რომელთაც შეუძლიათ ლიდერის შეცვლა. რუნის არყოფნა ჩვენს უპირატესობას არ ნიშნავს. ამ გუნდთან მაინც 100%-ით მოგვიწევს ძალების დახარჯვა,"* – აცხადებს ბენზემა.



ქარიმ ბენზემა

სერიოზული ბრძოლისთვის ემზადება **პატრის ევრაც**. აი, რას ამბობს ის "პარიზიენთან" ინტერვიუში: *"აქამდე ნახევრად წარმატებულ ფეხბურთელად მივიჩნევდი თავს, რადგან გამარჯვებებს მარტო "მანჩესტერ იუნაიტედში" ვაღწევდი. ძალიან მინდა რაღაც სარგებელი მოვუტანო საფრანგეთს და ჩემი ქვეყნისთვის ტიტული მოვიგო"*. ალბათ გახსოვთ, რომ სამხრეთ აფრიკაში ჩატარებული მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ პატრისი ფედერაციის მიერ იყო დისკვალიფიცირებული **რაიმონ დომენეკის** წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობის გამო. ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატზე კატასტროფული გამოსვლის შემდეგ **ლორან ბლანის** მიერ ჩატარებული უზარმაზარი სამუშაოს გამო მისით აღფრთოვანებულია ნაკრების კარის დარაჯი **უგო ლორისი**. *"სამხრეთაფრიკული კატასტროფის შემდეგ ნაკრებში მუშაობის დაწყება ურთულესი იყო, მაგრამ ბლანმა ყოველ ჩვენგანს დაუბრუნა საკუთარი ძალების რწმენა. მან და მისმა ასისტენტებმა ურთულეს დავალებას უმოკლეს დროში გაართვეს თავი. შესარჩევ ეტაპზე წარმატებული გამოსვლის შემდეგ ჩვენს ძალას ისევ ვგრძნობთ,"* – აცხადებს ლიონელი.

**ლევან ბიბილაშვილი**

ევრო 2012 დანიის ნაკრები

# მორტენ ოლსენმა დანია საბოლოოდ დააკომპლექტა

## აფრიკული წარმოშობის ჭაბუკი ევროზე ითამაშებს

დანიის ნაკრების თავკაცმა **მორტენ ოლსენმა** გუნდის სიას 2 კაციც დაამატა და ევრო 2012-ის განაცხადიც სრულად შეივსო. ოლსენმა ნაკრებში მცველი **იორეს ოკორე** და ფორვარდი **ნიკლას პედერსენი** გამოიძახა. 19 წლის ოკორემ მწვრთნელი დანიის ჩემპიონ „ნორდსიელანდში" თამაშით მოხიბლა. ოკორე დებიუტანტი არ არის, ეროვნულ გუნდში ორჯერ უთამაშია, ორჯერვე ამხანაგურ მატჩებში - შვედეთისა და ფინეთის ნაკრებების წინააღმდეგ. ოკორე წარმოშობით კოტ'დივუარიდანაა - აბიჯანშია დაბადებული, მაგრამ სამი წლის ასაკში მისი ოჯახი დანიაში გადავიდა საცხოვრებლად. ის ცენტრალური მცველია, თამაშის კარგი „კითხვით" და ლიდერის თვისებებით.

ნიკლას პედერსენი 23 წლისაა, ის ჰოლანდიურ „გრონინგენში" თამაშობს. დანიის ნაკრებში 7 მატჩი აქვს ჩატარებული, აქედან 3 ევრო 2012-ის საკვალიფიკაციო ეტაპზე. ნაკრებში გოლი ჯერ არ გაუტანია. ნიკლას წარსულში ცნობილი დანიელი ფეხბურთელის, **იესპერ პედერსენის** შვილია.

*„იორესს შესანიშნავი სეზონი ჰქონდა, ამიტომაც ის ჩვენი გუნდის ცენტრალურ მცველთა კვარტეტში მოხვდა. რაც შეეხება ნიკლასს, მისი ნიჭი ეჭქვეშ არასოდეს დაგვიყენებია. უბრალოდ, მისი ფიზიკური კონდიციები იწვევდა ეჭვს. ჰელსინგიორის შეკრებაზე მან ეს ეჭვები საბოლოოდ გამიფანტა"*, - განაცხადა მორტენ ოლსენმა.

შაბათს დანიის ნაკრები ბრაზილიას შეხვდება ამხანაგურ მატჩში. 2 ივნისს კი სკანდინაველთა მეტოქე ავსტრალია იქნება. შეგახსენებთ, რომ ევრო 2012-ზე დანიელთა ჯგუფში ჰოლანდია, პორტუგალია და გერმანიაა.

### დანიის ნაკრები. საბოლოო განაცხადი

**მეკარეები**: *თომას სორენსენი (სტოკ სიტი, ინგლისი), სტეფან ანდერსენი (ევიანი, საფრანგეთი), ანდერს ლინდეგორი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი).*

**მცველები**: *ლარს იაკობსენი (კოპენჰაგენი), დანიელ ვასი (ევიანი, საფრანგეთი), დანიელ აგერი (ლივერპული, ინგლისი), სიმონ კიაერი (რომა, იტალია), ანდრეას ბიელანდი (ნორდსიელანდი), სიმონ პოულსენი (ალკმაარი, ჰოლანდია), იორეს ოკორე (ნორდსიელანდი).*

**ნახევარმცველები**: *კრისტიან პოულსენი (ევიანი, საფრანგეთი), იაკობ პოულსენი (მიდტიულანდი), ვილიამ კვისტი (ნიურნბერგი, გერმანია), ნიკი ზიმლინგი (ბრიუგე, ბელგია), თომას კალენბერგი (ევიანი, საფრანგეთი), კრისტიან ერიქსენი (აიაქსი, ჰოლანდია), მიქაელ სილბერბაუერი (იანგ ბოიზი, შვეიცარია), ლასე შიონი (ნეიმეგენი, ჰოლანდია).*

**თავდამსხმელები**: *დენის რომედალი (ბრონდბიუ), ნიკლას ბენდტნერი (არსენალი, ინგლისი), მიქაელ კრონ-დელი (ბრონდბიუ), ტობიას მიკელსენი (ნორდსიელანდი), ნიკლას პედერსენი (გრონინგენი, ჰოლანდია).*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ბურთით 19 წლის ოკორე, რომელიც ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს

დანაშაული და სასჯელი

# ძე ცდომილი ჯო

პრემიერლიგამ როგორც იქნა მოიცალა ჩემპიონატის 38-ე ტურში მანჩესტერის "ეტიჰადზე" მომხდარი სკანდალის განსახილველად. "ქუინზ პარკის" 29 წლის ნახევარმცველ **ჯოი ბარტონს** თითქოს ფოლკლენდის კუნძულებზე დაღვრილი თანამემამულეების სისხლი გაახსენდაო, არგენტინელებს დაუნდობლად შეუტია. ჯერ **კარლოს ტევესს** ჩაარტყა იდაყვი, მერე რაკი არბიტრმა **მაიკ დინმა** წითელი ბარათი უჩვენა, აწი სულ ერთიაო და **კუნ აგუეროს** უკნიდან ჩასცხო ფეხი. ის ამასაც არ დასჯერდა და ჯერ **ვენსან კომპანისთან** სცადა ჩხუბის წამოწყება, მერე თავისი ჭკუისა იპოვა და **მარიო ბალოტელის** გაექაჩა. სიმართლე ითქვას, რომ არა თანაგუნდელთა ჩარევა, ამ მომენტებში ჩხუბზე არც ბელგიელი იტყოდა უარს და არც იტალიელი. თამარებები" ვახსენეთ და მოდი, მოკლედ გავიხსენოთ მისი შეცოდებები. 2004 წელს მან "მანჩესტერ სიტის" საშობაო ბანკეტზე თანაგუნდელ **ჯეიმი ტენდის** ანთებული სიგარეტი თვალზე დაადო მას მერე, რაც უკანასკნელმა მისი პერანგის დაწვა სცადა; 2005 წლის ზაფხულზე "დონკასტერთან" ამხანაგური მატჩისას მეტოქეს ძალიან ეუხეშა, რამაც მასობრივი ჩხუბი გამოიწვია. 2007 წელს "სიტიმ" მას კარისკენ მიუთითა, რადგან ორ ინციდენტში მიიღო მონაწილეობა – ჯერ თანაგუნდელი **უსმან დაბო** სცემა სასტიკად, რის გამოც ის საავადმყოფოში მოხვდა, შემდეგ კი ლივერპულში ქუჩაში გამვლელებთან მოუვიდა კონფლიქტი. ჩხუბში გამარჯვებული აქაც ბარტონი დარჩა, მაგრამ სასამართლომ მისი არგუმენტები არ გაითვალისწინა და ციხეში 6 თვით უკრა თავი. ზუსტად 77 დღის შემდეგ ჯოი სანიმუშო ყოფაქცევისთვის პირობით ვადამდე გაათავისუფლეს.



ჯოი ბარტონი სიტის ფეხბურთელებს ებრძვის

შიდან რამდენიმე დღეში ბარტონმა აღიარა, რომ გაძევების შემდეგ განგებ იქცეოდა პროვოკაციულად, რათა დინს "სიტის" რომელიმე ფეხბურთელიც მის გზას გაეყენებინა. ინგლისელი ჟურნალისტები წერდნენ, რომ ჯოის ძველი "დამსახურებების" გათვალისწინებით ფეხბურთელს განსაკუთრებულად მკაცრი სასჯელი ელოდა. ლაპარაკი იყო 9 ან 10-მატჩიან დისკვალიფიკაციაზე. ჩვენმა ბრიტანელმა კოლეგებმა ვერ გამოიცნეს – პრემიერლიგამ ბარტონი ფეხბურთს 12 მატჩით ჩამოაშორა და 75 ათასი ფუნტით დააჯარიმა. ეს ნიშნავს, რომ ნახევარმცველი გუნდს მხოლოდ ნოემბერში დაუბრუნდება. *"უმკაცრესი სანქცია იმიტომ გამოვიყენეთ, რომ ბარტონის საქციელი ზოგადად ფეხბურთის იმიჯს უთხრის ძირს ამ ქვეყანაში. განსაკუთრებით მაშინ, როცა სასწორზე ქვეყნის ჩემპიონს ბედი დევს და შეხვედრას მილიონობით მაყურებელი ჰყავს მთელ მსოფლიოში,"* – განაცხადა სადისციპლინო კომიტეტის წარმომადგენელმა ჟურნალისტებთან საუბრისას.

ზემოთ ბარტონის ძველი "დამსახუ-

"ქუინზ პარკი" სრულად ეთანხმება პრემიერლიგის გადაწყვეტილებას და მის გასაჩივრებას არ აპირებს. პირიქით, კლუბი თავად აპირებს ფეხბურთელის წინააღმდეგ ზომების მიღებას. უპირველესად ის ბარტონის გაყიდვას შეეცდება, მაგრამ ვეჭვობთ, მოახერხოს. სერიოზულად დასჯილი ფეხბურთელის შეძენა, ვისაც საკმაოდ დიდი სახელფასო მადა აქვს ("ქუინზ პარკი" მას კვირაში 80 ათას ფუნტს უხდის), შემადგენლობის გასაძლიერებლად გადადგმული ყველაზე ლოგიკური ნაბიჯი ნამდვილად არ არის. თუკი ბარტონის გაყიდვა არ მოხერხდება, მაშინ "ქუინზ პარკი" შეეცდება, ფეხბურთელის აგენტთან მიაღწიოს შეთანხმებას და გარკვეული კომპენსაციის გადახდის შემდეგ მასთან ხელშეკრულება ვააუქმოს. აქ ლონდონელებს მეორე პრობლემა შეექმნებათ. ბარტონის კონტრაქტს ვადა 2015 წელს გასდის და მასთან კომპენსაციაზე მორიგება ძალიან გაჭირდება.

**ლევან ბიბილაშვილი**

ევრო 2012 გერმანიის ნაკრები

# პოდოლსკი: მიზანი მხოლოდ ჩემპიონობაა!

## ლუკასი პოლონეთს წარმატებებს უსურვებს, მაგრამ თუ გერმანია პოლონეთს შეხვდება...

**ლუკას პოდოლსკი** ჯერ მხოლოდ 26 წლისაა, მაგრამ გერმანიის ნაკრებში ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი ფეხბურთელია. ბუნდესმწვრთნელი **იოახიმ ლიოვი** მას ყოველთვის ენდობა – მაშინაც კი, როცა პოლდი კლუბში ცუდად თამაშობს ხოლმე.

მართალია, „კიოლნი" მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითდა, მაგრამ ეს **პოდოლსკის** ბრალი ყველაზე ნაკლებად იყო. რამდენიმე დღის წინ იოგიმ თქვა, პოლდის ასპროცენტიან ნდობას ვუცხადებო, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ რამე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ლუკასი ევროპის ჩემპიონატზე გერმანიის ნაკრების ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი იქნება. გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე პოდოლსკიმ განაცხადა, რომ „კიოლნთან" ერთად გადატანილი ტრაგედია საბოლოოდ დაივიწყა და რომ ევრო 2012-ს სრულ მზადყოფნაში ხვდება. პოლდის მიზანი ევროპის ჩემპიონობაა.

ხვალ გერმანიის ნაკრები ბაზელში შვეიცარიასთან ამხანაგურ მატჩს გამართავს და ეს შეხვედრა პოდოლსკისთვის ბუნდესგუნდში რიგით 96-ე იქნება, რაც იმას ნიშნავს, რომ გერმანიის ეროვნული გუნდის განაცხადში მყოფი ფეხბურთელებიდან, **მიროსლავ კლოზეს** (114 თამაში) შემდეგ ყველაზე მეტი მატჩი ექნება ჩატარებული, ცოტა ხანში კი ასიანთა კლუბშიც შეაბიჯებს. აღსანიშნავია, რომ ევროპის მასშტაბით მის ასაკში ეს ჯერ არცერთ მოთამაშეს არ მოუხერხებია. პოდოლსკი ამბობს, რომ მისი აზრით ეს არა მარტო განსაკუთრებული მოვლენა, არამედ უდიდესი სენსაციაცაა.

*„ვფიქრობ, რომ შვეიცარიასთან პირველ ტაიმში ვითამაშებ, ან მეორე ტაიმში, ანაც, საერთოდ არ ვითამაშებ"*, - ასეთი ხუმრობით დაიწყო პოდოლსკიმ პრესკონფერენცია და ყველა დაარწმუნა, რომ მართლაც კარგ ხასიათზეა. არადა, გერმანელები შიშობდნენ, „კიოლნის" გავარდნა ლუკასზე ცუდად იმოქმედებსო. თუმცა პოდოლსკი „თხებს" მეორე ბუნდესლიგაში არ მიჰყვება – ის უკვე ლონდონის „არსენალის" ფეხბურთელია.

*„ამ ლოგიკით „ბაიერნის" ფეხბურთელებიც ცუდ ხასიათზე უნდა იყვნენ, მათ ხომ ჩემპიონთა ლიგის ფინალი წააგეს. მართალია, მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითება ჩემპიონთა ლიგის ფინალის წაგებაზე გაცილებით დრამატული მოვლენაა, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ „ბაიერნისთვის" „ჩელსისთან" მარცხი არანაკლებ სამწუხაროა, ვიდრე „კიოლნისთვის" ელიტიდან გავარდნა. მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ „კიოლნთან" ერთად გადატანილ ტრაგედიაზე აღარ ვფიქრობ"*, - განაცხადა პოდოლსკიმ.

### პორტუგალია აუცილებლად უნდა დავამარცხოთ!

მისთვის მთავარი ახლა ევროპის ჩემპიონატია, რომელზეც მიზნად მხოლოდ ჩემპიონობას ისახავს, რადგან დარწმუნებულია, რომ ბუნდესგუნდს ტიტულის მოგება შეუძლია. ლუკასს ოდნავადაც არ აწუხებს ის ფაქტი, რომ გერმანიის ნაკრებისგან ამჯერად ყველა მხოლოდ ფინალში გასვლას და მის მოგებას ითხოვს.

პოდოლსკი: *„მთავარია, ტურნირი მოგებით დავიწყოთ. პორტუგალია აუცილებლად უნდა დავამარცხოთ! სიკვდილის ჯგუფში ვართ და პირველი თამაშის მოგება ამიტომაცაა ასეთი მნიშვნელოვანი."*

გერმანია მეოთხედფინალში შეიძლება პოლონეთს შეხვდეს, პოლონეთი კი, მოგეხსენებათ, პოდოლსკის სამშობლოა. ლუკასის კომენტარი: *„ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობის უფლების მოპოვებამ პოლონეთში ბევრი რამ შეცვალა. წარმომიდგენია, როგორი განწყობა იქნება მთელ ქვეყანაში. პოლონეთის ნაკრებს, რა თქმა უნდა, წარმატებებს ვუსურვებ. ძალიან მინდა, რომ ფრანტიშეკ სმუდას გუნდი მინიმუმ მეოთხედფინალში გავიდეს, მაგრამ თუ ჩვენ შეგვხვდებიან, შანსს არ დავუტოვებთ"*, - ასე დაასრულა ლუკასმა პრესკონფერენცია.



ლუკას პოდოლსკი

| დღეს | |
|---|---|
| შვეიცარია-გერმანია | 20:00 |

**სავარაუდო შემადგენლობები**

**შვეიცარია (4-2-3-1):** ბენალიო – ლიხტშტაინერი, სენდეროსი, ჯურუ, ციგლერი – ინლერი, ძემაილი – შაჩირი, ჯაკა, მეჰმედი – დერდიოკი.

**გერმანია (4-2-3-1):** ვიზე – ჰიოვედესი, მერტეზაკერი, ჰუმელსი, შმელცერი – ხედირა, გიუნდოგანი – როისი, იოზილი, პოდოლსკი – კლოზე.

**არბიტრი:** ანტონი გაუტიერი (საფრანგეთი)

**გოტფრიდ ლენცი**

ევრო 2012 იტალიის ნაკრები

# აძურა ორად გაიყო

## ტაქტიკური ომები

ევროპის ჩემპიონატი მთლად კარს თუ არ მოგვადგა, მოგვიახლოვდა მაინც და ნაკრები გუნდებიც მზადების გადამწყვეტ ეტაპზე გადადიან. გამონაკლისი არც იტალიის ეროვნული ნაკრებია, რომელიც "კოვერჩიანოზე" ემზადება და ჟურნალისტთა ყურადღების ცენტრშია მოქცეული. გუშინ, **ჩეზარე პრანდელიმ** ნაკრები ორად გაყო და ორმხრივი თამაში გამართა, რომელიც აპენინურ სპორტულ პრესაში დეტალურად გაშუქდა... ამ თამაშის ანგარიშს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს და გოლები არც კი დაუთვლიათ, სამაგიეროდ, პრანდელის ტაქტიკური მონახაზები სულ დეტალებში გაშიფრეს და გარკვეული დასკვნებიც გამოიტანეს...

სენიორ ჩეზარემ ერთი გუნდი 4-3-3 ტაქტიკით ათამაშა, ხოლო მეორე 4-3-1-2-ით. სწორედ ამ ორ სქემას იყენებდა "აძურას" თავკაცი შესარჩევ ეტაპზე და როგორც ჩანს, ამ მხრივ არც ევროპის ჩემპიონატზე შეიცვლება ვითარება. 3-ფორვარდიან ტაქტიკაში შეტევის წინა ხაზზე **მარიო ბალოტელი, ფაბიო ბორინი** და **ანტონიო დი ნატალე** მოქმედებდა – მარიო ცენტრფორვარდად იყო გამწესებული, დანარჩენი ორი შემტევი კი შესაბამისად, ფლანგებზე ირჯებოდნენ. რაც შეეხება მეორე გუნდს, იქ წინა ხაზზე **ანტონიო კასანო** და **მატია დესტრო** გაამწესეს, გამთამაშებლის პოზიციაზე კი **სებასტიან ჯოვინკო** მოქმედებდა.

როგორც იტალიელი ჟურნალისტები იუწყებიან, ორმხრივ თამაშში ყველაზე უკეთ მატია დესტრო აღმოჩნდა, რომელსაც თავი არ დაუზოგავს, გოლებიც გაიტანა და საგოლე გადაცემაც გააკეთა. ახალგაზრდა ფორვარდის თავგამოდებამ შესაძლოა პრანდელის თავგზა აუბნიოს, რადგან საყოველთაო ვარაუდით, ფორვარდებიდან ოფსაიდში სწორედ დესტრო უნდა დარჩენილიყო. ინერტული იყო ფაბიო ბორინი, არადა, მასზე სენიორ ჩეზარე დიდ იმედებს ამყარებს და არაერთხელ განაცხადა, რომ რომაელი მის გეგმებში ჯდება. ბუნებრივია, ორმხრივი თამაშის შემდეგ, "აძურას" თავკაცს ჟურნალისტებთან მოუხდა გასაუბრება და შემდეგი განახადა:

*"ყველაზე მეტად ის მახარებს, რომ ფეხბურთელები თავს არ ზოგავენ და თითოეულ ვარჯიშზე ბოლომდე იხარჯებიან. ორმხრივ თამაშში ბევრი რამ გამოჩნდა, რაზეც მუშაობა გვმართებს. ახალი ველოსიპედის გამოგონებას ნამდვილად არ ვაპირებთ, ამიტომ, აქცენტი იმ ტაქტიკებზე გაკეთდებოდა, რომლებსაც აქამდე ვიყენებდით. თუმცა, ტაქტიკა არაფრად გამოგვადგება, თუ მოთამაშეები ვერ შეასრულებენ თავის საქმეს – ამიტომ, მთავარი არა სქემა, არამედ ფეხბურთელთა მომზადებაა. ჩამოვყალიბდი თუ არა 23-კაციან შემადგენლობაში? – საბოლოო სია 28 მაისს მეცოდინება და 29-ში ამას ყველა გაიგებთ. თითოეულ მოთამაშეს დიდი ყურადღებით ვაკვირდები და იმედი მაქვს, რომ სწორ არჩევანს გავაკეთებ".*



იტალიის ნაკრები "კოვერჩიანოზე"

**ლაშა წიკლაური**



ეროვნული ბიბლიოთეკა

სამახსოვრო ფოტო შუმახერსა და როსბერგთან ერთად

# შუმახერი: გერმანიას ჩემპიონობა შეუძლია

## ბუნდესგუნდს შუმი და როსბერგი ესტუმრნენ

გუშინ, საფრანგეთში შეკრებაზე მყოფ ბუნდესგუნდელებს საპატიო სტუმარი ჰყავდათ: გერმანიის ნაკრების ბანაკი ფორმულა 1-ის შვიდგზის მსოფლიოს ჩემპიონმა, **მიხაელ შუმახერმა** მოინახულა. 43 წლის შუმი მონტე-კარლოს გრან-პრის წინ **იოახიმ ლიოვის** გუნდს თანაგუნდელ (მერსედესი) **ნიკო როსბერგთან** ერთად ესტუმრა. სარეკლამო კლიპების გადაღების შემდეგ, შუმახერმა ახალი „მერსედეს ა კლასით" **მარკო როისი** და **ანდრე შიურლე** გაასეირნა, როსბერგმა კი **ლუკას პოდოლსკი** და **ტიმ ვიზე**.

*„დღეს დავრწმუნდი, რომ გერმანიის ნაკრები ძალიან მოტივირებულია, რადგან ბიჭები ჩემი თვალით ვნახე და მათ თვალებში ცეცხლი დავინახე. ვფიქრობ, ევროპის ჩემპიონობა მართლაც რეალურია"*, - უთხრა შუმახერმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს.

**გოტფრიდ ლენცი**

ევრო 2012 რუსეთის ნაკრები

# რუსებს დაცვაში უჭირთ!

## არც ვასილი ბერეზუცკი, აღარც შიშკინი, რას მოიფიქრებს ადვოკაატი?

რუსეთის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატისთვის ერთბაშად ორი მცველი გამოაკლდა: 29 წლის **ვასილი ბერეზუცკის** შემდეგ, **რომან შიშკინიც** დაშავდა და უკვე ოფიციალურად დადასტურდა, რომ ისინი კონტინენტის პირველობაზე ვერ ითამაშებენ. რუსეთის ნაკრების თავკაც **დიკ ადვოკაატისთვის** განსაკუთრებით მტკივნეული ბერეზუცკის ტრავმაა, რადგან ეს უკანასკნელი სასტარტო შემადგენლობაში მოიაზრებოდა. ახლა კი, რაკი ვასილი ევრო 2012-ზე ვერ მიდის, ძირითადში მოხვედრის შანსი მის ტყუპისცალს, **ალექსეი ბერეზუცკის** გაუჩნდა.

### ვასილის ალექსეი შეცვლის?

ვასილი ბერეზუცკი აპრილის შუა რიცხვებში დაშავდა, თუმცა ექიმები ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობის იმედს აძლევდნენ, მაგრამ რამდენიმე დღის წინ თითქმის მოშუშებული ტრავმა ისევ გაუმიზეზდა და თანაც იმდენად, რომ იძულებულია, ევრო 2012 გამოტოვოს. *„ვასილის ტრავმა მოსალოდნელზე სერიოზული აღმოჩნდა, რაც ძალიან სამწუხაროა. ეს ჩვენთვის უდიდესი დანაკლისია,"* - აცხადებს ადვოკაატი.

შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, ადვოკაატმა დაიწყო ფიქრი, ვინ უნდა ათამაშოს დაცვის ცენტრში კაპიტან **სერგეი იგნაშევიჩის** გვერდით. უპირველესი კანდიდატი ალექსეი ბერეზუცკია - ვასილის ტყუპისცალი ასევე მოსკოვის ცსკა-ში თამაშობს და რუსეთის ნაკრებში 45 მატჩი აქვს ჩატარებული. კანდიდატები არიან გამოცდილი **რომან შარონოვი** (35 წლის, 7 მატჩი ნაკრებში) და გამოუცდელი **ვლადიმირ გრანატიც** (25 წლის, არც ერთი მატჩი ნაკრებში).

### შიშკინიც ევროს მიღმა

ვასილი ბერეზუცკის გარდა, რუსეთის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე ტრავმის გამო ვერც მოსკოვის „ლოკომოტივის" 25 წლის უკანახაზელი რომან შიშკინი დაეხმარება. ეს უკანასკნელი მოიწამლა და საავადმყოფოში ამოყო თავი. *„იძულებულები გავხდით, შიშკინი სახლში გაგვეშვა, რადგან წონაშიც დაიკლო და ექიმებმა ხანგრძლივი პაუზა ურჩიეს"*, - განაცხადა გუშინ ადვოკაატმა. რუსეთის ნაკრების ჰოლანდიელი დამრიგებელი ვასილი ბერეზუცკისა და შიშკინის ნაცვლად სხვა ფეხბურთელების გამოძახებას არ აპირებს.

**გოტფრიდ ლენცი**





ტყუპი ბერეზუცკები: ალექსეის (მარცხნივ) ვასილის ტრავმის გამო რუსეთის ნაკრების ძირითად შემადგენლობაში თამაშის კარგი შანსი აქვს

დაპირისპირება

# პლატინის ლამი შემოელანძღა

## ყველამ ჩვენი საქმე ვაკეთოთ: მე პოლიტიკოსი არ ვარ!

უეფას პრეზიდენტმა **მიშელ პლატინიმ** გერმანიის ნაკრების კაპიტნის, **ფილიპ ლამის** კრიტიკას მოულოდნელად მკაცრი ტონით უპასუხა. როგორც იცით, ბუნდესგუნდის კაპიტანმა რამდენიმე დღის წინ პლატინის უკრაინაში განვითარებულ მოვლენებზე რეაგირების მოხდენისკენ მოუწოდა და თქვა, უკრაინაში ადამიანის უფლებები რომ ილახება (ეს **იულია ტიმოშენკოს** გარშემო ატეხილი ამბების გამოძახილი იყო), ამაზე უეფასაც მართებს ხმის ამაღლებაო.

*„ფილიპ ლამს შეუძლია თქვას, რაც უნდა. მისი მოსაზრებები მე არ მაინტერესებს!* – განუცხადა პლატინიმ საინფორმაციო სააგენტო DPA-ს, - *ჰერ ლამი ჩემი შეფი არ არის და ვერც ვერაფერს მომთხოვს. ის გერმანიის ნაკრების კაპიტანია და არა უეფას კაპიტანი. ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს. მე პოლიტიკასთან არაფერი მესაქმება, ფეხბურთში ვსაქმიანობ."*

შეგახსენებთ, რომ ისევე, როგორც მთელი გერმანია, ტიმოშენკოს ამბავს რამდენიმე დღის წინ ლამიც გამოეხმაურა – იმას, რაც უკრაინაში ხდება, დემოკრატიასთან არანაირი კავშირი არ აქვსო და რეაგირება უეფასაც მოსთხოვა.

**გოტფრიდ ლენცი**

## უცხოური ფეხბურთი

ინტერვიუ. დიდიე დროგბა

# ჩელსი: საუკეთესო, რაც კი მომხდარა ჩემს ცხოვრებაში...

## შესრულებული მისიის ისტორია

**დიდიე დროგბა "ჩელსიდან" წავიდა. წავიდა რვაწლიანი ერთგული სამსახურისა და მას შემდეგ, რაც კლუბმა ევროპული ფეხბურთის მწვერვალს მისი დახმარებით უწია. დიდიე თავის გადაწყვეტილებაზე საუბრობს.**

**- რა იქნება შემდგომ?**

- მე ჯერ კიდევ მექნება დრო გადაწყვეტილების მისაღებად. ამ ეტაპზე მნიშვნელოვანი იყო შეწყვეტილიყო ჭორები, რომ მომდევნო სეზონში ისევ "ჩელსიში" ვითამაშებდი. ყველას უნდა გაეგო, რომ ჩემთვის რვაწლიანი ეპოქა "სტემფორდ ბრიჯზე" დასრულებულია. "ჩელსი" იყო საუკეთესო, რაც კი ჩემს ცხოვრებაში მომხდარა - როგორც ფეხბურთელის და როგორც ადამიანის. აქ გატარებულმა დრომ ჩემი ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალა. აქ მე ბევრი მეგობარი მყავს, მიუხედავად იმისა, რომ ფეხბურთში ეს საკმაოდ რთულია. ჩვენ ეს ისტორია ერთად დავწერეთ და მაქვს შეგრძნება, რომ ამას ვაკეთებდით ჩვენივე თავებისთვის, კლუბისა და გულშემატკივრებისთვის. ახლა სულ სხვა მიზნები მჭირდება, რადგან აქ ყველაფერს მივაღწიე. ბედმა გამიღიმა, როცა რამდენიმე გადამწყვეტ მატჩში მოვახერხე გატანა. ეს შესანიშნავი გრძნობაა, მაგრამ ახლა რაღაც ახლის განცდა მინდა. სად წავალ, ჯერ არ გადამიწყვეტია. მიუნხენში რაც მოხდა, ამაზე ლაპარაკი უფრო მეტად მსიამოვნებს, ვიდრე ამერიკაზე, ჩინეთზე და ასე შემდეგ.

**- არ გაგიკვირდათ, როცა კლუბმა ახალი კონტრაქტი არ შემოგთავაზათ?**

- მათ არაერთხელ შემომთავაზეს, მაგრამ ფული აქ დარჩენის წინა პირობად არასოდეს განმიხილავს. აქ ყოველთვის ბედნიერი ვიყავი იმით, რაც მქონდა. ჩემი ოჯახიც ბედნიერი იყო, მაგრამ არა ფულის გამო. ახლა კი უბრალოდ დრო მოვიდა. რვაწლიანი მცდელობის შემდეგ გავხდით საუკეთესოები ჩემპიონთა ლიგაში... მერე? აქ დარჩენა მანამდე შემეძლო, ვიდრე ვთამაშობდი, ვიდრე კლუბს ვჭირდებოდი. იმის თქმა არ მინდა, რომ ახლა არ ვჭირდები, მაგრამ მე უკვე გადავწყვიტე. დავსხედით და დავილაპარაკეთ ამ თემაზე. ყველა მიხვდა, რომ ასე ჯობდა. ბოსმა გამიგო, რონი გურლეიმაც გამიგო და დირექტორთა საბჭომაც. მე ვიცი, რა ამაგი აქვს კლუბს ჩემზე და ისინიც ხვდებიან, რამდენი რამ გავილე "ჩელსისთვის". ჩვენ ახალ ერას დავუდეთ საფუძველი და მოხარული ვარ, რომ მეც ამის ნაწილი ვიყავი. სადაც უნდა წახვიდეთ, ამიერიდან "ჩელსი" ყველგან ეცოდინებათ. მინახავს აფრიკელი ბავშვები, რომლებსაც სწორედ "ჩელსის" მაისურები ეცვათ ქუჩაში. ეს ბრენდია და ჩვენ ამით ვამაყობთ.



დოსიე

დიდიე ივ დროგბა ტელიბი

დაიბადა: 1978 წლის 11 მარტს

დაბ. ადგილი: აბიჯანი (კოტ დივუარი)

პოზიცია: ფორვარდი

საფეხბურთო კარიერა: ლე მანი (1997-2002) - 64 თამაში, 12 გოლი; გინგამი (2002-2003) - 45 თ, 20 გ; მარსელი (2003-2004) - 35 თ, 19 გ; ჩელსი (2004-2012) - 226 თ, 100 გ.

ნაკრები: კოტ დივუარი - 84 თამაში, 54 გოლი

საკლუბო ტიტულები: პრემიერლიგა (3), ასოციაციის თასი (4), ლიგის თასი (2), ჩემპიონთა ლიგა, ქომუნითი შილდი (2).

ინდივიდუალური: ლიგა 1-ის საუკეთესო ფეხბურთელი, კოტ დივუარის საუკეთესო ფეხბურთელი (2), აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელი (2), პრემიერლიგის ოქროს ბურთი (2).

დიდიე დროგბა: ჩვენ ეს გავაკეთეთ

**- თქვენ ინგლისური ფეხბურთიდან ნახვედით?**

- დიახ, ვერც ერთ სხვა ინგლისურ კლუბში ვერ ვითამაშებ, რადგან მეტისმეტად მიყვარს აქაურობა. ძარღვებში ლურჯი სისხლი მიჩქეფს და ამას ვერაფერს მოვუხერხებ.

**- დარჩებოდით თუ არა, ლიგა რომ ვერ მოგეგოთ?**

- დიახ, რადგან მე ეს მისია უნდა შემესრულებინა.

**- ასე თუ მოიქცეოდით 2008 წელს რომ გემარჯვათ?**

- კონტრაქტთან დაკავშირებით მაშინ სულ სხვა სიტუაცია იყო, სხვა მიზნებიც მქონდა.

**- რა თქვა კლუბის მესაკუთრემ თქვენს გადაწყვეტილებაზე?**

- მან მითხრა, რომ ესმის და პატივს სცემს ჩემს არჩევანს. ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში მისტერ აბრამოვიჩთან რამდენჯერმე ვისაუბრე. იმედია, ურთიერთობას ამის მერეც შევინარჩუნებთ, რადგან ის შესანიშნავი ადამიანია და ჩემთვის მან ძალიან ბევრი რამ გააკეთა. მაგალითად ჩემს ოჯახს შეუქმნა კომფორტი და ხვალინდელი დღის იმედი მისცა. ეს კი, ჩემი წარმოშობის გათვალისწინებით, ძალიან ბევრია. პირადად ეს ყველაფერი ბავშვობაში ძალიან მაკლდა.

**- მას შემდეგ, რაც რობერტო დი მატეომ მიაღწია, მისი მთავარ მწვრთნელად დანიშვნას ემხრობით?**

- ვფიქრობ, "ჩელსიში" ჩემი და რობის მდგომარეობა განსხვავებულია. მან უნდა აუხსნას დირექტორებს, რა სურს. ამის მერე მათ ერთობლივად უნდა გადაწყვიტონ, რა იქნება უკეთესი მისთვის და კლუბისთვის. არ აქვს მნიშვნელობა, დარჩება თუ არა, ის "ჩელსის" ლეგენდაა სამუდამოდ.

**- თავად თუ ფიქრობთ სამწვრთნელო კარიერაზე?**

- ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მაგრამ ეს ის არ არის, რაზეც ვოცნებობ. სამწვრთნელო ასპარეზზე ყველაზე მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური ასპექტია, რადგან თუ ამ მხრივ ყველაფერი რიგზე არ არის, ძალიან გაჭირდება საუკეთესოობა.

**- ამ "ჩელსის" თუ შეუძლია სამომავლოდ ტიტულების მოგება?**

- რა თქმა უნდა შეუძლია. გუნდისგან გულშემატკივრებიც ელოდებიან ახალ მიღწევებს. ჩვენ მომავალი წარმატებებისთვის მხოლოდ საფუძველი ჩავყარეთ.

**- თქვენზე ფილმი რომ გადაეღოთ, ვინ ითამაშებდა მასში?**

- არ ვიცი. იუპ ჰაინკესმა ჩემზე თქვა, რომ კარგი მსახიობი ვარ და ალბათ თავად ვითამაშებდი.

**- რომელი იყო "ჩელსიში" ყველაზე მძიმე მომენტი?**

- ყველაზე ცუდი იყო "ლივერპულთან" ლიგის ნახევარფინალის წაგება, რადგან პირველად მაშინ მქონდა განცდა, რომ რაღაც ძალიან დიდის მიღწევა შეგვეძლო, მაგალითად ჩემპიონატში ან ლიგაში გამარჯვება.

**- თუ არის გოლი, რომელიც სხვებზე მეტად გიყვართ?**

- ძნელია არჩევა... მაგალითად, 2007 წელს ინგლისის თასის ფინალში "მანჩესტერ იუნაიტედთან" "უემბლიზე" დამატებით დროში გატანილი. სხვების გახსენებაც შეიძლება.

**- რას ფიქრობდით მაშინ, როცა მიუნხენში ბურთთან მიდიოდით?**

- ეს იყო დაახლოებით ამ სტილში: "ჩვენ ეს გავაკეთეთ", პეტრის კარში სამი პენალტი არ გავიდა. ისლა დამრჩენოდა, მივსულიყავი ბურთთან და გამეტანა. ვიცოდი, რომ ამას შევძლებდი, რადგან კარგი განწყობა მქონდა.

**ლევან ბიბილაშვილი**

ჩელსი

# დი მატეო ხელის ბიჭი არ არის

## იტალიელმა აბრამოვიჩს თავისი მოთხოვნები წაუყენა

ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვების შემდეგ ინერებოდა, რომ "ჩელსი" მზად იყო, **რობერტო დი მატეოსთვის** ერთწლიანი ხელშეკრულება შეეთავაზებინა. **რომან აბრამოვიჩის** გათვლა დღესავით ნათელია – 2013 წელს "სტემფორდ ბრიჯზე" მას **ხოსეპ გვარდიოლას** მოყვანა სურს. თუმცა რობი უკმაყოფილოა მისადმი ასეთი დამოკიდებულებით და მზადაა, "სტემფორდ ბრიჯიდან" აიბარგოს. მას არ აკმაყოფილებს ე.წ. "კრიზისული მენეჯერის" რეპუტაცია. დი მატეო და მისი აგენტი უკიდურეს შემთხვევაში კლუბთან 1+1 სისტემით ხელშეკრულებას თუ დათანხმდებიან. ვნახოთ, წავა თუ არა დათმობაზე **რომან აბრამოვიჩი**. ამ თემაზე "ჩელსის" გენერალურმა დირექტორმა **რონი გურლეიმ** გააკეთა კომენტარი: *"გადაწყვეტილებას მთავარი მწვრთნელის დანიშვნის შესახებ რამდენიმე კვირაში მივიღებთ. იდეალური იქნება, თუკი საკითხს წერტილს 4-5 ივნისამდე დავუსვამთ. რობერტო დი მატეოზე იმას ვიტყვი, რომ ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებამ მას გუნდში დარჩენის შანსი გაუზარდა"*.

"დეილი მეილის" ინფორმაციით, "პენსიონერები" მზად არიან, ვეტერან ფეხბურთელებს ახალი კონტრაქტები შესთავაზონ. მაგალითად **ფრენკ ლემპარდს, მიკაელ ესიენსა** და **ფლორან მალუდას**. ყველაზე დიდი ყურადღება რასაკვირველია ვიცე-კაპიტნისკენ არის მიპყრობილი. კლუბი 33 წლის შუახაზელს ხელშეკრულებასაც უხანგრძლივებს და ხელფასსაც უზრდის კვირაში 150 ათასიდან 175-მდე. ასე რომ, ამიერიდან ლემპარდი და **ფერნანდო ტორესი** თანაბარ ანაზღაურებას მიიღებენ.

"ჩელსიდან" **დიდიე დროგბას** გარდა ჯერ არავისი წასვლა არ არის გადაწყვეტილი, მაგრამ "გარდიანს" თუ ვენდობით, კლუბს **დენიელ სტარიჯი, ჟოზე ბოსინგვა** და **სალომონ კალუ** დატოვებენ.

**ლევან ბიბილაშვილი**



რობერტო დი მატეო ჩელსისგან ხელშეკრულებას 1+1 სისტემით ითხოვს

ამბები

### ხორვატიის ნაკრებს პლეტიკოშა შეუერთდა



დღეს ხორვატიის ნაკრები ევრო 2012-ისთვის მოსამზადებელ ციკლში პირველ ამხანაგურ შეხვედრას ესტონეთთან გამართავს. 2 ივნისს ისინი უკვე ნორვეგიას დაუპირისპირდებიან. გუშინ ეროვნულ გუნდს გამოცდილი მეკარე **სტიპე პლეტიკოშა** შეუერთდა. შეგახსენებთ, რომ **სლავენ ბილიჩის** გუნდს ირლანდიის, იტალიისა და ესპანეთის ნაკრებებთან დაპირისპირება მოუწევს. ნაკრების ლიდერი **ლუკა მოდრიჩი** აცხადებს, რომ ჯგუფის ფავორიტებად ბოლო ორი მსოფლიოს ჩემპიონატის გამარჯვებულ იტალიასა და ესპანეთს მიიჩნევს, მაგრამ ამასთან ის პირობას დებს, რომ ყველაფერს გააკეთებს მათი გეგმების ჩასაშლელად.

### პოლონელი და უკრაინელი სამხედროებიც ემზადებიან

ევროპის ჩემპიონატისთვის მარტო ფეხბურთელები და გულშემატკივრები კი არა, უკრაინელი და პოლონელი პოლიციელები და სამხედროებიც ემზადებიან. ჯერ კიდევ გასული წლის შემოდგომაზე გავრცელდა ფოტოები, სადაც პოლონეთის საარმიო ელიტური სპეცდანიშნულების რაზმ "გრომის" ვარჯიში იყო ასახული. ისინი პოლიციელებთან ერთად ტერორისტების წინააღმდეგ სიმულაციურ ომში იყვნენ ჩართულები. აქტიურად ემზადებიან უკრაინელებიც. ქვეყნის სამხედრო საჰაერო ძალების ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, ევროპის ჩემპიონატის მიმდინარეობისას უკრაინის საჰაერო სივრცეს მრავალფუნქციური გამანადგურებლები - მიგ 29-ები დაიცავენ. მუდმივ მორიგეობაზე 15 პილოტი იქნება.

**ლევან ბიბილაშვილი**

### კუიტი: ჰამბურგი კარგი ვარიანტია

ცნობილია, რომ „ჰამბურგს" „ლივერპულისა" და ჰოლანდიის ნაკრების ნახევარმცველის, 31 წლის **დირკ კუიტის** გადაბირება უნდა. მოსალოდნელ ტრანსფერს თავად ფეხბურთელი გამოეხმაურა და თქვა, რომ „ჰამბურგში" გადასვლის პერსპექტივა ხიბლავს. „ჰამბურგი" დიდი გუნდია და ვამაყობ, რომ ჩემი გადაბირება უნდა," - განაცხადა კუიტმა.

### ფელიპე სანტანა ვოლფსბურგში?

დორტმუნდის „ბორუსიას" სათადარიგო ცენტრალური მცველი **ფელიპე სანტანა** შესაძლოა „ვოლფსბურგში" გადავიდეს. 26 წლის ბრაზილიელს „ლევერკუზენი", მიონხენგლადბახის „ბორუსია" და „ჰანოვერიც" ეპატიჟებიან, ახლა კი „ვოლფსბურგიც" ძალიან გააქტიურდა. „მგლების" მწვრთნელი და მენეჯერი **ფელიქს მაგათი** მზადაა, „დორტმუნდს" ბრაზილიელში 5 მილიონი ევრო გადაუხადოს.

### დორტმუნდი შიბერს უმიზნებს

დორტმუნდის „ბორუსიას" თავდასხმაში სურს გაძლიერება, რადგან **ლუკას ბარიოსის** ჩინეთში წასვლის შემდეგ, **იურგენ კლოპს რობერტ ლევანდოვსკის** შემცვლელი სჭირდება. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, დორტმუნდელები „შტუტგარტის" 23 წლის თავდამსხმელ **იულიან შიბერს** უმიზნებენ და მზად არიან, მის სანაცვლოდ 6 მილიონი ევრო გადაიხადონ.

ორიოდე დღის წინ შიბერმა შვაბებთან ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე უარი თქვა, რაც იმას ნიშნავს, რომ კლუბის გამოცვლა უნდა, „დორტმუნდი" კი მისთვის იდეალური მისამართია. გასულ სეზონში შიბერი „შტუტგარტში" იშვიათად თამაშობდა და ბუნდესლიგაში მხოლოდ სამი გოლის გატანა შეძლო (აქედან ორი სწორედ „დორტმუნდს" გაუტანა). „შტუტგარტი" 9 მილიონს ითხოვს და ფაქტია, რომ ვაჭრობა გაგრძელდება.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ „ბორუსიას" „ტვენტეს" გოლეადორი **ლუუკ დე იონგიც** აინტერესებს, რაც შიბერის ტრანსფერს ხელს არ შეუშლის, რადგან ამ უკანასკნელს გარემარბის პოზიციაზეც შეუძლია თამაში.

**გოტფრიდ ლენცი**

● ბაიერნი

# პაინკესი რჩება და ახლებს ითხოვს

## დონ იუპს პირველ რიგში მაღალი კლასის ცენტრალური ნახევარმცველი სჭირდება

მიუნხენის „ბაიერნმა“ მძიმე დღეები გადაიტანა. ჩემპიონთა ლიგის ფინალში განცდილ მარცხს ჰოლანდიის ნაკრებთან ამხანაგურ მატჩში ამტყდარი სკანდალი (მიუნხენში არიენ რობენს უსტვინეს) მოჰყვა, გუშინ კი რამდენიმე გერმანულმა გამოცემამ დაწერა, დიდი შანსია, მომავალ სეზონში იუპ ჰაინკესი რეკორდმაისტერის მთავარი მწვრთნელი აღარ იყოსო.

გუშინ, ნაშუადღევს, 67 წლის „დონ იუპმა“ მითქმა-მოთქმას ბოლო მოუღო. *„ბაიერნში“ ძალიან ბევრი საქმე მაქვს, აქედან წასვლაზე არ ვფიქრობ და არც ხელმძღვანელები აპირებენ ჩემს გათავისუფლებას. მიუნხენურ კლუბთან კონტრაქტი 2013 წლამდე მაკავშირებს და ვერ ვხვდები, რამ გამოიწვია ეს დისკუსია. „ბაიერნის“ მწვრთნელი მომდევნო სეზონშიც მე ვიქნები,“* - უთხრა ჰაინკესმა „კიკერს“.



„ბაიერნს“ მომავალ სეზონშიც იუპ ჰაინკესი უთავკაცებს

### დონ იუპი ნახევარმცველს ითხოვს

„დონ იუპის“ მთავარი საფიქრალი ახლა ისაა, თუ როგორ და რომელი ფეხბურთელებით უნდა გააძლიეროს გუნდი, რათა „ბაიერნმა“ მომავალ სეზონში გერმანიის ჩემპიონობა დაიბრუნოს. „ბილდის“ ინფორმაციით, რეკორდმაისტერის პრეზიდენტი **ული ჰიონესი** ჰაინკესს ახალი ფეხბურთელების შესაძენად 60 მილიონი ევროს გამოყოფას დაჰპირდა. ჩვენი გერმანელი კოლეგები წერენ, ჰაინკესმა ჰიონესს პირველ რიგში მაღალი კლასის ახალი ცენტრალური ნახევარმცველი მოსთხოვაო. ეს ინფორმაცია თავად იუპმაც დაადასტურა, სასურველი კანდიდატების გვარების დაკონკრეტებისგან კი თავი შეიკავა და მხოლოდ ის თქვა, რომ ნახევარდაცვის ცენტრისთვის მართლაც ტოპ-ფეხბურთელი სჭირდება.

შეგახსენებთ, რომ რეკორდმაისტერმა მომავალი სეზონისთვის დღემდე მხოლოდ „გლადბახის“ 28 წლის მცველი **დანტე**, „ბაზელის“ 20 წლის ნახევარმცველი **ჯერდან შაჩირი** და „ჰოფენჰაიმის“ 31 წლის მეკარე **ტომ შტარკე** გაიფორმა. თითქმის გადაწყვეტილია, რომ მიუნხენში დაბრუნდება „ვერდერის“ ვეტერანი გოლეადორი **კლაუდიო პისაროც** - 33 წლის პერუელი „ბაიერნის“ ღირსებას 2001-დან 2007 წლამდე იცავდა.

### პეტერსენს და კონტენტოს წასვლა უნდათ

ჰოლანდიასთან ტესტ-მატჩში „ბაიერნი“ რამდენიმე ფეხბურთელს გამოეთხოვა, **ნილს პეტერსენი** და **დიეგო კონტენტო** კი მათ შორის არ იყვნენ, მაგრამ ცნობილი გახდა, რომ მათ მიუნხენიდან წასვლა უნდათ. 23 წლის პეტერსენი „ბაიერნში“ ერთი წლის წინ, მეორე ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირის სტატუსით გადავიდა და მართალია, მუდმივად ძირითად შემადგენლობაში თამაშის პრეტენზია არ ჰქონია, მაგრამ უკმაყოფილოა იმით, რომ ჰაინკესი ძალიან იშვიათად ათამაშებს.

პეტერსენმა ბუნდესლიგის მხოლოდ 9 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, 90 წუთი კი მოედანზე არც ერთხელ არ გაუტარებია – შვიდჯერ შეცვლაზე ითამაშა, ორჯერ შეცვალეს). მიუხედავად ამისა, მან ორი გოლის გატანა შეძლო. ამიტომაც სურს „ვერდერს“ მისი გადაბირება და გუშინ გაირკვა, რომ ბრემენში გადასვლა პეტერსენსაც ძალიან უნდა. ოღონდ, „მუსიკოსები“ მას მხოლოდ არენდით თუ წაიყვანენ, რადგან „ბაიერნთან“ კონტრაქტი 2014 წლამდე აქვს გაფორმებული, „ვერდერს“ კი ტრანსფერისთვის ფული არ აქვს.

ასეთივე სიტუაციაშია 22 წლის მარცხენა მცველი დიეგო კონტენტოც, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის ფინალში **დავიდ ალაბა** საკმაოდ კარგად შეცვალა. კონტენტომ (კონტრაქტი 2013 წლამდე) მხოლოდ ხუთ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. იმის გამო, რომ კონტენტოს იტალიის მოქალაქეობაც აქვს, ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით მან ინტერესი განსაკუთრებით იტალიურ კლუბებს გაუღვივა.

### უსამი ჰოფენჰაიმში წავიდა, სუარესი მოდის?

გუშინ გაირკვა და ოფიციალურად დადასტურდა, რომ **ტაკაში უსამი** კარიერას „ჰოფენჰაიმში“ გააგრძელებს. „ბაიერნმა“ იაპონელი მარჯვენაფლანგელი „ჰოფეს“ ერთი წლით ათხოვა.

ამასობაში, ბილბაოელი **ხავი მარტინესის** შემდეგ, „ბაიერნთან“ მიმართებაში კიდევ ერთი საინტერესო ფეხბურთელის გვარმა გაიჟღერა. „ანდერლეხტის“ 24 წლის შემტევმა **მატიას სუარესმა** არგენტინულ რადიო „კადენას“ განუცხადა, რომ მას „ბაიერნში“ ეპატიჟებიან. არგენტინელი, რომელსაც „ანდერლეხტში“ 115 მატჩში 33 გოლი აქვს გატანილი, ბელგიაში 2011 წლის საუკეთესო ფეხბურთელად და გასული სეზონის გმირად აღიარეს.

**გოტფრიდ ლენცი**

● ლეგენდა

# ინძაგი ჩიკაგოზე დაფიქრდა



ფილიპო ინძაგი

**ფილიპო ინძაგიმ** არაერთხელ განაცხადა, რომ მიმდინარე სეზონი მისთვის ბოლო იყო, რადგან “მილანის” გარდა, სხვა კლუბში თავი უბრალოდ ვერ წარმოუდგენია. თუმცა, გავიდა დრო, პიპომ წინადადება უხვად მიიღო და დიდია შანსი, ერთ-ერთ მათგანს დათანხმდეს კიდეც... კერძოდ, ლაპარაკია “ჩიკაგო ფაიერზე”, რომელიც 38 წლის ფორვარდს ერთწლიან ხელშეკრულებას და 2 მილიონ დოლარს სთავაზობს. ამერიკაში ბევრი ვარსკვლავი ასრულებს კარიერას და შესაძლოა, მათ რიცხვს ფილიპოც შეუერთდეს – აი, რას ამბობს ლეგენდარული თავდამსხმელი:

*“ევროპაში ფეხბურთის თამაშს აღარ ვაპირებ, ეს ცხადზე უცხადესია, აი ამერიკაში კი შესაძლოა მართლაც გავეშურო. შტატებში არაერთ ჩემ მეგობარს უთამაშია და იქაური ლიგის შესახებ კარგის მეტი არაფერი მსმენია. ჩიკაგოდან მართლაც შემეხმიანნენ და ვნახოთ, ყველაფერი უახლოეს დღეებში გადაწყდება”.*

**ლაშა წიკლაური**

● მწვრთნელი

# სანინომ პალერმო აირჩია



ჯუზეპე სანინო

**ჯუზეპე სანინოს** ხელში “სიენა” ყველასათვის ანგარიშგასაწევ ძალად ჩამოყალიბდა და გასაკვირი არაა, რომ მისი პერსონით არაერთი იტალიური კლუბი დაინტერესდა, მათ შორის “პალერმო”. მეტიც, სიცილიელთა პრეზიდენტი **მაურიციო ძამპარინი** უკვე შეეხმიანა 55 წლის სპეციალისტს და მას თანამშრომლობა შესთავაზა. სანინოს დიდი სურვილი აქვს, “პალერმო” ჩაიბაროს, მაგრამ საქმე ის არის, რომ “სიენასთან” კიდევ ერთწლიანი ხელშეკრულება აკავშირებს. უახლოეს დღეებში, “პალერმოს” პრეზიდენტი ტოსკანელ კოლეგასთან შეხვედრას აპირებს, რათა ეს საკითხი მისდა სასიკეთოდ გადაწყვიტოს – მოვუსმინოთ თავად სანინოს და ყველაფერში უკეთ გავერკვევით:

*“ძამპარინის შემოთავაზებამ ძალიან გამახარა, რადგან “პალერმოს” მიმართ დიდი სიმპატიით ვარ განწყობილი. ამასთან, ამ გუნდს დიდი პოტენციალი აქვს და მჯერა, რომ მაღალი მიზნების მიღწევა შეუძლია. ამიტომ მე “პალერმოზე” შევაჩერე არჩევანი და იმედი მაქვს, რომ ეს საკითხი დადებითად გადაწყდება. “სიენას” პრეზიდენტს, მასიმო მეცაროშეს მალე შევხვდები და იმედია, დიალოგი კონსტრუქციულად ჩაივლის. ჩვენ შორის ყოველთვის კარგი ურთიერთობა იყო და მჯერა, რომ არც მომავალში შეგვექმნება პრობლემები. როგორც ვიცი, მეცაროშე რამდენიმე დღეში ძამპარინის შეხვდება და წესით, იქ უნდა გადაწყდეს ყველაფერი”.*

**ლაშა წიკლაური**

● ლაციო

# არჩივები ახალ სტადიონზე

## ლუის ვან გაალთან ერთად?

მას შემდეგ, რაც **ედუარდო რეიამ** პოსტის დატოვების შესახებ გააკეთა განცხადება, “ლაციოს” მესვერთა მთავარი საზრუნავი ახალი მწვრთნელის მოძებნაა. იტალიურ სპორტულ პრესაში არაერთი ცნობილი სპეციალიტის გვარმა გაიჟღერა, თუმცა გუშინ გავრცელებული ინფორმაცია განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს... “გაძეტა დელო სპორტის” ცნობით, რომაული კლუბის ხელძღვანელები უახლოეს დღეებში **ლუის ვან გაალს** შეხვდებიან და შესაძლო თანამშრომლობაზე ჩამოუგდებენ სიტყვას; შეგახსენებთ, რომ ჰოლანდიელი სპეციალისტი ბოლოს მიუნხენის “ბაიერნში” მუშაობდა და გერმანული გრანდი გასული წლის აპრილში დატოვა. ლუისს “ლივერპულის” დირექტორატში შესთავაზეს მუშაობა, მაგრამ უარი განაცხადა და დასძინა, რომ სურს სამწვრთნელო საქმიანობას დაუბრუნდეს – როგორც ჩანს, სწორედ ეს გახდა რომაელთათვის სტიმულის მიმცემი; უკვე დაგეგმილი შეხვედრის შესახებ, კლუბის სპორტული დირექტირი **იგლი ტარე** საუბრობს:



ლუის ვან გაალმა შეიძლება “ლაციო” ჩაიბაროს

“სტადიო ფლამინიო”

*“ვან გაალი თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელია და ბუნებრივია, რომ მასთან დალაპარაკების დიდი სურვილი გვაქვს. უახლოეს დღეებში აუცილებლად შევხვდებით და გავიცნობთ ერთმანეთს, დანარჩენი კი მოლაპარაკების პროცესში გამოჩნდება. გვყავს სხვა კანდიდატებიც, ამიტომ, დღეს რაიმეზე გადაჭრით საუბარი ნამდვილად გაგვიჭირდება. არის თუ არა ვან გაალი ფავორიტი? – ამის თქმა შეუძლებელია, რადგან ჯერ მასთან არც კი გვილაპარაკია. დავიცადოთ ცოტა ხანი და ყველაფერს მოეფინება ნათელი. ერთი ცხადია, “ლაციოს” უმაღლესი კვალიფიკაციის მწვრთნელი სჭირდება და არა დებიუტანტი – ექსპერიმენტების დრო არ გვაქვს”.*

ტარემ ბოლო ფრაზით ფაქტობრივად გამორიცხა კიდევ ერთი კანდიდატურა, რომელსაც “ლაციოს” უკავშირებდნენ – ლაპარაკია **პაოლო დი კანიოზე**, რომელიც “ბიანკოჩელესტეს” გულშემატკივრებს ძალიან უყვართ, მაგრამ მწვრთნელად რამდენად ივარგებს, ერთი ღმერთმა უწყის... იგლიმ ექსპერიმენტების დრო არ არისო და ამით, დი კანიოს და კიდევ ბევრ სხვა კანდიდატს ხაზი გადაუსვა. არადა, დღეს მოდაშია გუნდი ახალგაზრდა, დამწყებ სპეციალისტს ჩააბარო, რომელსაც სპეციალისტიც ნაკლებად ეთქმის.

**სტადიონი**

ამასობაში, “ლაციოს” კიდევ ერთხელ შეექმნა პრობლემები სტადიონთან დაკავშირებით და ამან, შესაძლოა კლუბი დიდ გაუგებრობამდე მიიყვანოს. საქმე იმაშია, რომ რომის ოლიმპიური სტადიონი იტალიის ოლიმპიურ კომიტეტს ეკუთვნის, რომელიც აქირავებს არენას და საიჯარო გადასახადსაც თავად აწესებს. “ლაციოს” პრეზიდენტი **კლაუდიო ლოტიტო** აგერ უკვე რამდენი წელია იჯარის მაღალი ფასით უკმაყოფილოა, წელს კი უთანხმოებამ პიკს მიაღწია... ლოტიტო კომპრომისზე წასვლას არ აპირებს და აცხადებს, რომ თუ ოლიმპიური კომიტეტი ფასს არ დააგდებს, კლუბი საშინაო თამაშებს სხვა სტადიონზე გამართავს. ამასობაში, უეფა იმ არენების წარდგენას ითხოვს, რომლებზეც გუნდები ევროპაექრობების ჩატარებას აპირებენ – ლოტიტომ გასაგებ მიზეზთა გამო, “ოლიმპიკო” ვერ დაარეზერვა და უეფაში “პალერმოს” საშინაო სტადიონი, “რენცო ბარბერა” წარადგინა. რომში იმედოვნებენ, რომ პრობლემის მოგვარების შემთხვევაში, ევროპის უმაღლესი საფეხბურთო ორგანო გამონაკლისს დაუშვებს და გუნდს რომში თამაშის უფლებას მისცემს – არადა, სტადიონის წარდგენის ვადა უკვე გავიდა და უეფას სრული უფლება აქვს, “ლაციოს” პალერმოში მოსთხოვოს საშინაო თამაშების ჩატარება.

ევროპა იქით იყოს და არაა გამორიცხული, “ლაციომ” სერია A-ს საშინაო თამაშებიც სხვა სტადიონზე გამართოს. ბუნებრივია, ეროვნულ ჩემპიონატში “ბიანკოჩელესტე” სიცილიაზე ვერ ითამაშებს და “ოლიმპიკოს” ალტერნატიულ ვარიანტად რომის სიდიდით მეორე სტადიონი: “ფლამინიო” განიხილება – ამ არენაზე იტალიის სარაგბო ნაკრები ატარებს საშინაო თამაშებს. ლოტიტოს უეფაშიც “ფლამინიოს” წარდგენა სურდა, თუმცა აღნიშნული სტადიონი ევროტურნირების სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს. არადა, არენა საკმაოდ დიდია და 32 000 გულშემატკივარს იტევს. მოკლედ, დიდია შანსი სერია A-ს 2012/2013 წლების სეზონში “ლაციომ” ახალ სტადონზე, “ფლამინიოზე” იასპარეზოს.

**ლაშა წიკლაური**

## თუ ციხეს გადაურჩა, ბრენო ლაციოში გადავა

თუ 22 წლის ბრაზილიელმა მცველმა **ბრენომ** ციხეში არ ამოყო თავი, რომის „ლაციოში“ გადავა. როგორც იცით, „ბაიერნის“ ხელმძღვანელები მას უკვე დაემშვიდობნენ, სასამართლო პროცესი კი (მას ბრალად საკუთარი ვილის განგებ გადაწვა ედება) დაწყებულია და ბრენო განაჩენს ელოდება. „ლაციოს“ მხრიდან ბრენოსთან შეთანხმება რომაული კლუბის სპორტულმა დირექტორმა **იგლი ტარემ** დაადასტურა.

**გოტფრიდ ლენცი**



# როცა დაბრკოლებებს გადალახავ, უფრო ძლიერი ხდები

## არა მგონია, რომ გამოსამშვიდობებელი მატჩის გამართვის ნება დამრთონ



ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ყველაზე ტიტულოვანი ფეხბურთელი, ჩემპიონთა ლიგის ორჯერ მომგები კახა კალაძე გუშინ რედაქციაში ვისტუმრეთ და "ლელოს" ქართული ფეხბურთის განყოფილების ჟურნალისტებმა კითხვები დავუსვით.

კალაძე განსაკუთრებული ფენომენია ქართული ფეხბურთისთვის და საერთოდ საქართველოსთვის. მან რთული გზა გაიარა, სამტრედიიდან "მილანში" მოხვდა. ცხოვრებაში ბევრი გადაიტანა, მძიმე ოჯახურმა ტრაგედიამაც არ გატეხა, თამაშობდა საქართველოს ეროვნულ ნაკრებში და ევროპაშიც ყველაზე სახელიან ქართველ ფეხბურთელად ითვლებოდა.

კალაძემ ფეხბურთის თამაშს თავი დაანება, 2011/12 წლების სეზონი მისთვის ბოლო აღმოჩნდა. ცხადია, ის ბევრისმნახველია და ალბათ შეუძლებელია, რომ ყველაფერი ერთ ინტერვიუში ჩაატიო...

კალაძე იმითაც გამოდგა განსაკუთრებული, რომ პოლიტიკაშიც არის ჩართული, თანაც ისე, რომ კომფორტული გზა არ აურჩევია – პოლიტიკაში ოპოზიციონერად მივიდა. შეიძლება ითქვას, რომ კალაძე უკვე პოლიტიკური ფიგურაც არის.

რა თქმა უნდა, კალაძეს მეტწილად მის საფეხბურთო კარიერაზე ვესაუბრეთ.

მაშ ასე, "ლელოს" კითხვებს კახა კალაძე პასუხობს...

**- ფეხბურთში ახლა ისეთი ტენდენციაა, რომ მოთამაშეები გაცილებით გვიან ასრულებენ კარიერას, თანამედროვე მეთოდიკა და ფარმაკოლოგია ამის საშუალებას ნამდვილად იძლევა. ალბათ, კახა კალაძესაც კიდევ შეეძლო თამაში მაღალ დონეზე – ყველაზე უფრო რამ განაპირობა ფეხბურთელობაზე უარის თქმა?**

- ეს მართლაც რთული გადწყვეტილება იყო, ბევრი ვიფიქრე...საქართველოს ნაკრებიდან რომ წამოვედი, ოთხი თვის შემდეგ მივილე ასეთი გადაწყვეტილება – ჩვენი ქვეყნის სიყვარულმა, ჩვენს სამშობლოში შექმნილმა რეალობამ მიკარნახა ასე, მიმაჩნია, რომ ახლა ყველაზე უფრო ვჭირდები ჩემს ქვეყანას. ამ ნაბიჯის გადადგმა ადვილი ნამდვილად არ იყო, 18 წელიწადი პროფესიონალი ფეხბურთელი გახლდით. ერთ მშვენიერ დღეს გაიღვიძებ და აღმოჩნდება, რომ ამ საქმეს აღარ აკეთებ. ფსიქოლოგიურად მზად ვიყავი ყოველივე ამისთვის. წვლილი უნდა შევიტანოთ საქართველოს წინსვლისა და ჩვენი ხალხის კეთილდღეობის საქმეში.

> **სახლის შენება სახურავიდან კი არა, საძირკვლიდან უნდა დაიწყოს, ქართული ფეხბურთს კი საფუძველი მოშლილი აქვს**

**- უკვე გათვითცნობიერებული გაქვს, რომ ფეხბურთელი აღარ ხარ?**

- ალბათ ჯერ ბოლომდე გათვითცნობიერებული არ მაქვს, სპორტსმენი რომ აღარ ვარ. აგვისტოში მომდევნო საფეხბურთო სეზონი დაიწყება და მაშინ ალბათ უკეთესად გავათვითცნობიერებ, თუ რა მოხდა.

**- კახა კალაძის საფეხბურთო გზა ერთფეროვანი არ ყოფილა, არაერთ ქვეყანაში გითამაშია. ყველაზე უფრო სად გრძნობდი თავს კომფორტულად, სად გქონდა ყველაზე დიდი წინსვლა?**

- ტიტულებით თუ ვიმსჯელებთ, ყველაზე მეტი "მილანმა" და იტალიამ მომცა, რისთვისაც ყოველთვის მადლობას ვუხდი მილანელ თანაგუნდელებს. ძალიან მნიშვნელოვანი იყო კიევის "დინამოში" გატარებული წლები, ის პერიოდი ერთგვარი გარდამტეხი პერიოდი იყო ფეხბურთელ კალაძისთვის. უკრაინაში ჩემი მწვრთნელი ვალერი ლობანოვსკი იყო, ეს სპეციალისტი ისე მუშაობდა, რომ ჩემი, როგორც პიროვნების და სპორტსმენის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

**- უკრაინამდე იყო თბილისის "დინამო" და საქართველოს ნაკრები. 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევის ბოლოს საქართველო იტალიას მასპინძლობდა, სტუმრებს მხოლოდ გამარჯვება აძლევდათ ხელს, მაგრამ საქართველოს ნაკრებმა არ წააგო, 0:0 ითამაშა. იმ შეხვედრაში კახა ცხადაძე მალევე დაშავდა და მისი შეცვლა მოგიხდა...**

- სწორედ ეს თამაში გახდა ჩემი კიევის "დინამოში" გადასვლის მიზეზი. 19 წლის ვიყავი, სხვა სათადარიგოებთან ერთად ვხურდებოდი და დავით ყიფიანმა დამიძახა, მოედანზე უნდა შეხვიდეო. ყიფიანი დიდი პიროვნებაც იყო. თქვენ წარმოიდგინეთ, შიში და განსაკუთრებული დაძაბულობა არ მიგრძვნია, ისეთი დიდი იყო მხარდაჭერა ჩვენი გულშემატკივრებიდან. მაშინ იტალიის ნაკრებში ვარსკვლავები თამაშობდნენ: ძოლა, მალდინი, ინძაგი, ბაჯო, ვიერი...დაცვის ცენტრში მურთაზ შელიას გვერდით მომიწია თამაში. ყიფიანმა კონკრეტული დავალება მომცა – ვიერის მეურვეობა და ვფიქრობ, საქმეს კარგად გავართვი თავი, ვიერი მაშინ კარიერის პიკზე იყო. მიჭირს იმ ემოციების გადმოცემა, რაც იმ დროს მქონდა.

**- ამ თამაშში გამოჩნდა კახა კალაძე, როგორც მომავალი ვარსკვლავი, თუმცა ეს არ იყო მისი პირველი სანაკრებო მატჩი...**

- ნაკრებში პირველად კვიპროსთან ვითამაშე, ის შეხვედრა 2:0 მოვიგეთ, გუნდს მაშინ ალექსანდრე ჩივაძე წვრთნიდა. იმ დროს ნაკრებში ახალი თაობა მოდიოდა – მე, იაშვილი, კობიაშვილი, დემეტრაძე...მაშინ ნელ-ნელა ხდებოდა თაობათა ცვლა, არა ისე, როგორც ეს დღეს კეთდება, როცა გუნდის ერთი ნაწილი უცბად მოიკვეთა. არა მგონია, რომ თაობათ ხისტი ცვლა სწორი იყოს...

**- ფეხბურთელის კარიერას მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მწვრთნელის ფაქტორიც. არაერთ სახელოვან სპეციალისტთან გიმუშავია, მათგან ლობანოვსკი ალბათ ყველაზე გამორჩეული იყო...**

> **ჩემი ტკივილი საქართველოს ნაკრებია. საკლუბო დონეზე ყველაფერი მოვიგე, ძალიან მინდოდა ევროპის ან მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მეთამაშა, მაგრამ...**

- ფიზიკური მომზადება და დისციპლინა – ლობანოვსკის ეს უმაღლეს დონეზე ჰქონდა აყვანილი. კიევის „დინამოში" რომ მივედი, თავიდან ძალიან გამიჭირდა, დატვირთვებს ვერ ვუძლებდი, მაგრამ თანდათან ყველაფერს მივეჩვიე და რამდენიმე თვის შემდეგ ფიზმომზადების ტესტებში უკვე ერთ-ერთი საუკეთესო ვიყავი. დისციპლინა ლობანოვსკისთვის ყველაფერი იყო და ცხოვრებაშიც დისციპლინირებულ ადამიანად ჩამოვყალიბდი. კიევიდან "მილანში" რომ გადავედი, ეს უკვე სულ სხვა გამოწვევა იყო, ლეგიონერი ადგილობრივ ფეხბურთელზე ორი თავით მაღლა უნდა ყოფილიყო. "მილანში" მისვლიდან ერთ კვირაში პირველი მატჩი უნდა მეთამაშა ძირითად შემადგენლობაში. თამაშის წინა ღამეს არ მეძინა, "რეჯინასთან" ცენტრალურ მცველად ვითამაშე და ის შეხვედრა 1:0 მოვიგეთ. სამტრედიაში რომ ვთამაშობდი ფეხბურთს, მაშინ თბილისის "დინამო" იყო ჩემთვის მიუწვდომელი - ყიფიანი, ჩივაძე და სულაქველიძე იყვნენ ჩემი კერპები, მერე ისეთ კიევის "დინამოში" მოვხდი, წინა სეზონში "ბარსელონას" რომ უგებდა დიდი ანგარიშით, შემდეგ კი "მილანი"...ამ ყველაფერს თავდაუზოგავი შრომით მივაღწიე. საქართველოში იმ პერიოდში ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელი იყო, მაგრამ ის სული და გული, ის ჯიგარი არ ჰქონდათ, რაც დიდი წარმატებისთვის აუცილებელი იყო.

**- ანუ კალაძეს აღმოაჩნდა ის, რაც სხვას არ ჰქონდა...**

- ნებისყოფა, ხასიათი...ცხოვრებაში ადვილად არაფერი არ მოდის და ასე სპორტშიც. როცა დაბრკოლებებს გადალახავ, ადამიანი უფრო ძლიერი ხდება. ბევრს განაპირობებს ოჯახიც, თუ რა შთაგონებით იზრდები, თავში უნდა გედოს ის, რომ ბევრს მიაღწიო, გახდე წარმატებული. ყველაფერი ეს და ნიჭი ერთმანეთში უნდა იყოს შერწყმული.

**- წარმატებული კახა კალაძე – მეტი წილი ნიჭზე მოდის თუ შრომისმოყვარეობაზე?**

### კახა

დაიბ... 9
27 თებერვ... ს

საქლ...

1993-94 „სამტრედია" – ...
1994-97 თბილისის „დინ...
1997-2000 კიევის „დინამ...
2001-2010 „მილანი" – 1...
2010-2012 „ჯენოა" – 49...

სანაკრ...

1993-95. საქართველოს 1...
1995-96. საქართველოს 2...
1996-2011 საქართველოს...

ჩემპიონთა ლიგის ორგზის მ... ნი, თასისა და სუპერთასის მ... გზის გამარჯვებული, კლუბ... გამარჯვებული, უკრაინის ... მფლობელი, საქართველოს ... მფლობელი.

საქართველოს საუკეთეს... (ჟურნალისტების გამოკითხ... ლიგის) და 2011 (გაზეთ „მსოფ...

2007 წელს გახდა ჟურნალ... როს ფრთის" ლაურეატი.

2009 წელს გახდა საგამომ...

- პროცენტულად რომელი უფრო მეტი იყო, ამის თქმა გამიჭირდება. ვფიქრობ, ნიჭი არ მაკლდა. სიმღერაში რაც უნდა ვივარჯიშო, პროფესიონალი მომღერალი ვერ გავხდები...

**- უკრაინაში განსაკუთრებულად უყვართ კახა კალაძე...**

- უკრაინაში ქართველები ძალიან უყვართ. ჩემამდე კიევის "დინამოში" ახრიკ ცვეიბა და მიხეილ ჯიშკარიანი თამაშობდნენ, შემდეგ გუნდში გიორგი დემეტრაძეც მოვიდა. ჩემი უკრაინული კარიერა ხანმოკლე და შედეგიანი გამოდგა, ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალამდეც კი მივედით, სადაც მიუნხენის "ბაიერნის" დამარცხება კი შეგვეძლო, მაგრამ... კიევში 3:1-ს ვიგებდით და მატჩი 3:3 დასრულდა, ახალგაზრდული გუნდი ვიყავით და ამან ფსიქოლოგიურად ჩვენზე უარყოფითად იმოქმედა. მიუნხენში 0:1 წავაგეთ, სანამ მარიო ბასლერი გაიტანდა გოლს, რებროვს შეეძლო ანგარიშის გახსნა, შევჩენკოსაც ჰქონდა კარგი მომენტი... უკრაინა კარგი იყო, თუმცა იტალიაში 12 წელი ვითამაშე და თავს ისე ვგრძნობდი, როგორც საკუთარ სახლში. ძაკერონი, ჩეზარე მალდინი, თერიმი – მათ შემდეგ "მილანის" მწვრთნელი კარლო ანჩელოტი გახდა, ვისაც რამდენიმე თვე დასჭირდა ყველაფრის დასალაგებლად და დაიწყო გუნდის ალმასვლაც.



ალაძე
...978 წლის
...სამტრედიაში.
... კარიერა:
...ჩი
...— 82 (1 გოლი)
...— 71 (6 გოლი)
... 2 გოლი)
49 ...ლი)
... კარიერა:
... და 19 წლამდელთა ნაკრები
...ლამდელთა ნაკრები
...ვნული ნაკრები 83 (1)
...ლები:
...მარჯვებული, იტალიის ჩემპიო-
...ბელი, ევროპის სუპერთასის ორ-
...შორის მსოფლიოს ჩემპიონატის
... ზის ჩემპიონი და თასის სამგზის
... გზის ჩემპიონი და თასის ორგზის
...ხბურთელი: 2001, 2002, 2003, 2006
..., 2008 (პროფესიული ფეხბურთის
... სპორტის" გამოკითხვით) წლებში.
...თა საერთაშორისო ფონდის „ოქ-
...სახლ „სახე(ლ)ების" ლაურეატი.

**- არაერთ პოზიციაზე გითამაშია და როგორ ფიქრობ, ყველაზე ოპტიმალური შენთვის რომელი იყო?**

- როცა ასაკი ხელს მიწყობდა, მარცხენა მცველის პოზიცია იყო ჩემთვის საუკეთესო ამპლუა. ლობანოვსკის კარგი კიდევ ეს მიმართულება ჰქონდა – ფეხბურთელის უნივერსალიზაცია. კიევის "დინამოში" ფეხბურთელს ერთი პოზიციიდან მეორეზე გადაწყობა უნდა შეძლებოდა, ლობანოვსკი და მისი გუნდი იმიტომაც იყო ძლიერი, რომ ამის სინქრონულად გაკეთება ეხერხებოდა. კიევის "დინამოზე" მაშინ ამბობდნენ, ნახეთ, რამდენს დარბიანო, სინამდვილეში კი ჩვენს მობილურობას და ძალას ყველაზე უფრო უნივერსალიზმი განაპირობებდა. ჩემს ოპტიმალურ პოზიციას რაც შეეხება, ასაკის მატების შემდეგ საუკეთესო ვარიანტი დაცვის ცენტრში თამაში იყო.

**- იყო პერიოდი, როცა თავდამსხმელად თამაშობდი...**

- ეს მაშინ, როცა ჯერ სამტრედიაში გამოვდიოდი ჭაბუკთა ტურნირებზე, სხვათაშორის, ბევრი გოლიც გამქონდა. საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებში რომ ამიყვანეს, გაიოზ დარსაძემ საყრდენ ნახევარმცველად გადამიყვანა, მერე იყო "დინამო", გივი ნოდია, სერგო კუტივაძე, შემდეგ დათო ყიფიანი დაინიშნა მთავარ მწვრთნელად. ალბათ ყველას ახსოვს ის სეზონი, უეფას თასის 1/16 ფინალამდე რომ მივედით, მოსკოვის "ტორპედოს" მოვუგეთ, შემდეგ "ზოავიშტას" შევხვდით, შინ 1:0 დავამარცხეთ, მსაჯმა უცნაური გადაწყვეტილება მიიღო და საპასუხო შეხვედრაში დისკვალიფიკაციის გამო ველარ ვითამაშე...

**ჩვენი ქვეყნის სიყვარულმა, ჩვენს სამშობლოში შექმნილმა რეალობამ მიმაღებინა ეს გადაწყვეტილება, მიმაჩნია, რომ ახლა ყველაზე უფრო ვჭირდები ჩემს ქვეყანას. ამ ნაბიჯის გადადგმა ადვილი ნამდვილად არ იყო, 18 წელი პროფესიონალი ფეხბურთელი გახლდით.**

**- ყველაზე უფრო რომელი თავდამსხმელის წინააღმდეგ გიჭირდა თამაში? ალბათ ყველა მცველისთვის არსებობს განსაკუთრებულად უხერხული მეტოქე...**

- ყველა თავდამსხმელს აქვს სუსტი და ძლიერი მხარეები, ჰოდა მეც ყველანაირად შესწავლილი მყავდა მეტოქის ფორვარდები. როგორ და რომელ ზონაში იხსნება თავდამსხმელი, როგორ იღებს ბურთს – ამ ყველაფერს ვაკვირდებოდი და ალბათ ასეთი მობილიზაციის გამო განსაკუთრებულად არც ერთ თავდამსხმელთან არ მიჭირდა თამაში. ყველაზე სრულყოფილი თავდამსხმელი კი ალბათ ზლატან იბრაჰიმოვიჩი იყო ჩემს იტალიურ კარიერაში. ისიც უნდა ვთქვა, რომ ხშირად იტალიის არც თუ მოწინავე გუნდების თავდამსხმელებთან იყო ხოლმე რთული თამაში, შესაძლოა იმიტომ, რომ მათ არც თუ კარგად ვაკვირდებოდი. თავდამსხმელებზე რადგან ჩამოვარდა სიტყვა, პიპო ინძაგიც უნდა ვახსენო, ბურთს კარგად ვერ აკეწნლავდა, მაგრამ გოლის გატანის საოცარი ალლო ჰქონდა, საგოლე მომენტს ხელიდან არ უშვებდა, თამაშგარეს ზღვარზე თამაში უყვარდა და ასეც ბევრი გოლი აქვს გატანილი.

**- იქნებ ზინედინ ზიდანთან მომხდარი ინციდენტიც გაიხსენო...**

- ზიდანი დიდი ფეხბურთელი და ასეთივე ადამიანი იყო... "იუვენტუსს" ვეთამაშებოდით და მას პერსონალურად ვმეურვეობდი. ალბათ არავის არ სიამოვნებს, როცა პერსონალური მეურვე ჰყავს და ბურთის მიღების საშუალებას არ გაძლევს, ზიდანის დარ ვარსკვლავებს კოჭებში ცოტა რომ მოხვდებათ, ესეც განსაკუთრებულად არ სიამოვნებთ. სანამ ზიდანს იმ შეხვედრაში პერსონალურად ვიყვანდი, ხიფათს ვერ გვიქმნიდა, მერე კი წამეკინკლავა, შემდეგ ისე მოხდა, რომ ფეხი გადამიბრუნდა, კოჭის ტრავმა მივიღე და მოედანი დავტოვე, ზიდანი კი მეურვის გარეშე დარჩა და გოლიც გაიტანა.

**- ნაკრების თემას გვერდს ვერ აუვლით. ლევან კობიაშვილმა ერთხელ გვითხრა, მხოლოდ მე და კალაძე თამაშს ვერ მოვიგებთო... მაინც რაშია საქმე, რატომ ვერ დაადგა საშველი საქართველოს ნაკრებს?**

**ნაკრებში ახალი თაობა მოდიოდა – მე, იაშვილი, კობიაშვილი, დემეტრაძე... მაშინ ნელ-ნელა ხდებოდა თაობათა ცვლა, არა ისე, როგორც ეს დღეს კეთდება, როცა გუნდის ერთი ნაწილი უცბად მოიკვეთა**

- სახლის შენება სახურავიდან კი არა, საძირკვლიდან უნდა დაიწყოს, ქართულ ფეხბურთს კი საფუძველი მოშლილი აქვს. რამდენი წელიწადია, ნაკრებს ნორმალურ ბაზა არ ჰქონდა, სანამ ბიძინა ივანიშვილის დახმარებით არ მოგვარდა ეს პრობლემა. გული მწყდება, ასეთ დღეში რომ ვხედავ ჩვენს საფეხბურთო მოედნებს და ინფრასტრუქტურას. ბათუმი საქართველოს მესამე ქალაქია, იქ მოედანი დაანგრიეს და მის ნაცვლად საკონცერტო სცენა გააკეთეს. ინფრასტრუქტურას რომ თავი დავანებოთ, იცვლება სამწვრთნელო მეთოდიკა და აუცილებელია გაცილებით მეტი კვალიფიციური მწვრთნელი. ბურთი გადაუგდე და ითამაშეთ – ბავშვთა ფეხბურთში ასე აღარ უნდა ხდებოდეს, მოზარდებმა დროულად უნდა მიიღონ ტაქტიკური განათლება. ქინქლაძე, არველაძეები – ეს თაობა ისეთი ნიჭიერი იყო, არ ვიცი, კიდევ როდის გამოჩნდება ამდენი ტალანტი ერთად საქართველოს ნაკრებში, მაშინ ისეთი ფეხბურთელები გვყავდა, რომ ხორვატიის განთქმულ ნაკრებს ტოლს არ დაუდებდნენ. ქინქლაძის თამაში ახლაც ახსოვთ მანჩესტერში, მას შეეძლო მარადონას და მესის დარი ვარსკვლავი გამხდარიყო... ჩვენი ნაკრების წინსვლას მწვრთნელთა ხშირი ცვლაც უშლიდა ხელს. მწვრთნელს რამდენიმე წლით უნდა მიეცეს მუშაობის საშუალება. უნდა ამაღლდეს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის დონეც. საქართველოში რომ გამოჩნდება კარგი ფეხბურთელი, მალევე მიდის უცხოეთში, იმიტომ, რომ იქაური ხელფასით აქ რამდენიმე ოჯახს ინახავს, ფეხბურთელებს საქართველოში ისეთი პირობები უნდა ჰქონდეთ, წასვლაზე რომ არ ეჭიროთ თვალი. ყველაფერი ეს ნაკრების მწვრთნელებსაც გაუადვილებს საქმეს.

**- კარიერაში რა იყო ისეთი, რაზეც ყველაზე უფრო გწყდება გული?**

- ჩემი ტკივილი საქართველოს ნაკრებია. საკლუბო დონეზე ყველაფერი მოვიგე, ძალიან მინდოდა ევროპის ან მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მეთამაშა, მაგრამ...წინა შესარჩევში ურიგო შანსი ნამდვილად არ იყო, მაგრამ შინ ხორვატიასთან მოგების შემდეგ სამ დღეში ისრაელთან სტუმრად თამაში გვქონდა, თავი იჩინა დაღლილობამ და წავაგეთ, არ ვიცი, ვინ შეადგინა ასეთი კალენდარი...

**- ხშირად არის ხოლმე ლაპარაკი იმაზე, რომ საქართველოს ნაკრებს არ ჰყავდა ნამდვილი ლიდერი, ან ისეთი ფეხბუთელები, საკუთარ თავზე რომ აიღებდნენ თამაშს, გუნდის მობილიზაციას რომ მოახერხებდნენ...**

- ქინქლაძე, ცხადაძე, ქეცბაია... საქართველოს ნაკრებს ჰყავდა ასეთი ფეხბურთელები და არც ახლა განიცდის მათ უკმარისობას. უბრალოდ, არ იყო შედეგი...

**- "მილანიდან" რომ წამოხვედი, მაშინაც მასიმილიანო ალეგრი იყო გუნდის მწვრთნელი. გასულ სეზონში "მილანს" ჩემპიონობის კარგი შანსი ჰქონდა, თუმცა...**

- მთავარი შედეგია, ჩემპიონი "იუვენტუსი" გახდა. მიმაჩნია, რომ "მილანი" უფრო ძლიერი და ტექნიკური ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული. ჩემპიონთა ლიგაზე "ბარსელონასთან" მარცხი "მილანის" ფეხბურთელებისთვის დიდი დარტყმა გამოდგა.

**- ბარემ ჩემპიონთა ლიგის ფინალზეც გკითხავთ – ალბათ დაგვეთანხმები, რომ უცნაური მატჩი გამოვიდა...**

- წმინდა საფეხბურთო თვალსაზრისით გამარჯვებას "ბაიერნი" იმსახურებდა, გერმანელებმა მეტოქეზე კარგად ითამაშეს, მაგრამ ფეხბურთში ხშირად ხდება ის, რაც ამ ფინალში მოხდა.

**- მესის შემდეგ ვინ მიგაჩნია მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად?**

- კრიშტიანუ რონალდო. ძალიან კარგი ფეხბურთელები არიან რობენი და დროგბა, მაგრამ რონალდო მათზე ძლიერი ინდივიდუალისტია.

**- ქართული ფეხბურთი ბოლო დროს კიდევ უფრო აბსურდული გახდა, ალბათ ისიც იცი, თუ როგორ გამოვლინდა საქართველოს წლევანდელი ჩემპიონი...**

- მხოლოდ სპორტი და ფეხბურთი კი არა, სხვაც ბევრი რამ გახდა აბსურდული, თეატრიც კი. ეს აბსოლუტურად მიუღებელია. სპორტში და ფეხბურთში ის ხალხი უნდა საქმიანობდეს, ვინც ეს საქმე იცის, ვისაც აქვს საამისო გამოცდილება. ფეხბურთი სიბინძურეებისგან უნდა გაიწმინდოს. როგორც "ქართული ოცნების" რიგით წევრს, ჩემი მიზანიც ის არის, რომ ვაკეთო ის, რაც ვიცი.

**- გამოსამშვიდებელი მატჩის გამართვას არ აპირებ? შოთა არველაძემ გააკეთა. ეს ალბათ ნორმალურია, რომ დამსახურებული ფეხბურთელი სათანადოდ გააცილოს გულშემატკივარმა...**

- სოციალურ ქსელში ძალიან ბევრს მწერენ ამის თაობაზე და ყველას ულრმეს მადლობას ვუხდი თანადგომისთვის. მადლობა მსურს გადავუხადო იმ ხალხს, ნაკრებში ორი ავტოგოლის შემდეგ გვერდში რომ დამიდგა და მამხნევებდა, მადლობას გიხდით ჟურნალისტებსაც, თქვენ ხომ მოდუნების საშუალებას არ მაძლევდით. "მილანის" ფეხბურთელი ვიყავი და სულ იმას ვცდილობდი, რომ მოედანზე და მის მიღმა სამაგალითოდ მოვქცეულიყავი, ენახათ რა ქვეყნის შვილი ვიყავი, მინდოდა, საქართველოს სახელი ევროპაში არ შემერცხვინა. დღევანდელი სიტუაციის გამო არა მგონია, რომ თბილისში ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონზე ჩემი გამოსამშვიდობებელი მატჩის გამართვის საშუალება მომცენ. არის იდეა, რომ ეს ყველაფერი სექტემბერში გავაკეთოთ, ამასთან დაკავშირებით უკვე მაქვს საუბარი ბევრ სახელგანთქმულ ფეხბურთელთან და ვნახოთ...

**დავით თავართქილაძე**

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები



## ქართული სპორტი

### მშვილდოსნობა. ევროპის პირველობა

# უცნობმა მოგვიგო

**ამსტერდამში მიმდინარე მშვილდოსანთა ევროპის ჩემპიონატის ქალთა ტურნირში აქამდე უცნობი ფრანგი სირილე სოტრი გუშინ ნამდვილ რისხვად გვექცა - ჯერ ქრისტინე ესებუა დაგვიმარცხა, მერე - ხათუნა ნარიმანიძე.**

ესებუა გუშინწინ თავისუფალი იყო - პლეი ოფის ერთბაშად ორ წრეში ისვენებდა, ფრანგთან კი სამივე სეტი დათმო. უცნაურია, მაგრამ სამივეში მხოლოდ თითო ქულით დამარცხდა - 26:27; 24:25; 25:26. ამ დროს ნარიმანიძე, ვინაც გუშინწინ თურქი **დამლა ერგინი** გააგდო, გუშინ მეორე თურქს - **ბეგულ ლუკლუოლლუს** უგებდა. მათ შეხვედრაში პირველი და მეოთხე სეტები ფრედ დასრულდა, მეორე და მესამე კი ჩვენებურმა მოიგო, საერთო ანგარიშით 6:2 იმარჯვა და მერვედფინალში გავიდა.

ფრანგთან ნარიმანიძემ 4:6 წააგო. არადა, პირველი სეტში 27:26 დაწინაურ-



და, მეორე ფრედ დასრულდა - 24:24 და თითქოს მარცხს არაფერი მოასწავებდა, მაგრამ მომდევნო ორი სეტი სოტრიმ საკმაოდ სოლიდური სხვაობით მოიგო - 27:21; 29:25 და საერთო ანგარიშში 5:3 დაწინაურდა. ნარიმანიძეს გათანაბრება მეხუთე სეტში მოგებით შეეძლო, თუმცა ისიც ფრედ დამთავრდა და შემდეგ ეტაპზეც ფრანგი გავიდა.

სამწუხაროა, რომ ევროპის ჩემპიონატზე საკმაოდ კარგი დასაწყისი საბოლოოდ მაინც უმედლოდ დავასრულეთ. საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩვენებურთა შედეგები იქნებ არ იყო გამორჩეულად მაღალი, მაგრამ, მაგალითად, ესებუამ შესარჩევი მესამე შედეგით დაასრულა, თუმცა მეორეადგილოსანს მხოლოდ დამატებითი მაჩვენებლებით ჩამორჩა; თან საკვალიფიკაციოშიც და ახლაც გამოჩნდა, რომ ჩვენებმა თავიდან აღებულ კარგ ტემპს ბოლოსკენ მოუკლეს ანუ გაჩნდა ეჭვი, რომ ფიზიკურად ვერ გაუძლეს.

გუშინვე გაიმართა პლეი ოფები გუნდურ ტურნირშიც, სადაც ქართველ ქალთა სამეულმა (ესებუა, ნარიმანიძე, **ასმათ დიასამიძე**) პირველი წრე წარმატებით დაძლია და შვეიცარიელებს 191:178 მოუგო. მეოთხედფინალში მათი მეტოქე ფრანგთა ძლიერი გუნდი აღმოჩნდა, რომელმაც მანამდე იოლად აჯობა შვედებს. სკანდინაველთა მსგავსად, ფრანგები ჩვენთანაც ფავორიტები იყვნენ და, სამწუხაროდ, ეს იმიჯი სრულად გაამართლეს - უკლებლივ ყველა სერიაში გვძლიეს და საერთო ანგარიშით 214:198 გვაჯობეს. ფრანგებმა ნახევარფინალში დანიელებიც დაჩაგრეს და 26 მაისს ფინალში ჩემპიონობის მოპოვებას შეეცდებიან. მეორე მხრიდან ფინალში ესპანეთი გავიდა, რომელმაც ნამდვილი სენსაცია შემოგვთავაზა - ჯერ მათზე ბევრად სოლიდურ რუსთა გუნდს გადაასწრო, მერე მსოფლიოს ჩემპიონი იტალიაც გააგდო, ნახევარფინალში კი მათ გზას გერმანელთა არცთუ ხელწამოსაკრავი ნაკრებიც გაუყენა. განბილებული რუსების და იტალიელებისგან განსხვავებით გერმანელებს ნუგეშად ბრინჯაოს მოპოვების შანსი მაინც დარჩათ, საამისოდ კი 26 მაისს დანიელებს გაეჯიბრებიან.

ახლა ევროპის პირველობაზე ერთადერთი საზრუნავი დღევანდელი დღე დაგვრჩა, როცა სალიცენზიო ტურნირი გაიმართება ანუ ჩვენგან მხოლოდ ვაჟები ისვრიან. **თორნიკე რიჟამაძე** დანიელ **მადს ჯუულ კროგშედეს** შეხვდება, **ირაკლი ქვლივიძე** - სერბ **ლუკა გროზდანოვიჩს**, **ლაშა ფხაკაძე** კი პირველ წრეში ისვენებს და ბელგიელ **მიხაელ დეკერსსა** და ჩეხ **ვოიცეხ დუბსის** შეხვედრას დაელოდება - მისი მომავალი მეტოქე მათ შორის გამარჯვებული იქნება.

**ირაკლი თავაძე**

### ძიუდო. სარეიტინგო შეჯიბრება

# სხვა დონე

ძიუდოს აკადემიაში დამთავრდა შიდა სარეიტინგო ტურნირი, რომელშიც ძირითადად ეროვნული ნაკრების სათადარიგო წევრები მონაწილეობდნენ.

ლიდერთა არყოფნაში შეჯიბრების შედარებით დაბალი დონე მოსალოდნელიც იყო და სანახაობრივად ბევრს არაფერს ველოდით, მაგრამ ამ შეჯიბრებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ბოლო წლებში ქართულ სპორტში დამკვიდრებული ცუდი ტენდენცია - ლიდერებსა და მათ კონკურენტებს შორის კლასში ძალიან დიდი სხვაობაა. მონაწილეთა შორის ბევრი ახალგაზრდული ნაკრების ლიდერი იყო, ან - იმ გუნდიდან ახლო ხანებში გადმოსული, ბევრს თვით ეროვნულშიც საკმაო გამოცდილება აქვს, თუმცა ჭიდაობის ხარისხი მაინც ვერ იყო ისეთი, ამ ბიჭებმა უცხოეთში წარმატებით რომ იასპარეზონ.

**ქვარცხლბეკი**

**81 კგ.** 1. ლაშა ზურაბიანი (მცხეთა-მთიანეთი), 2. ვახტანგ სარაჯიშვილი (კახეთი), 3. ზაზა დავაძე (ქვემო ქართლი), ვალერი გუგავა (თბილისი).

**90 კგ.** 1. ზვიად გოგოჭური (აჭარა), 2. ფრიდონ ზურაბიანი (მცხეთა-მთიანეთი), 3. რევაზ წულუკიძე (აჭარა), დავით კარბელაშვილი (შიდა ქართლი).

**100 კგ.** 1. მიხეილ ნარიმანიძე (კახეთი), 2. ბექა ბერძენიშვილი, 3. ონისე ბულაძე (ორივე - თბილისი), ვალერი ყორყოლიანი (რაჭა-ლეჩხუმი - ქვემო სვანეთი).

**+100 კგ.** 1. ლევან მატიაშვილი (თბილისი), 2. სლავა რეზესიძე (ქვემო ქართლი), 3. უშანგი კოკაური (შიდა ქართლი), ვახტანგ ზოიძე (აჭარა).

**ირაკლი თავაძე**

### ტყვიის სროლა. მსოფლიოს თასი



ნინო სალუქვაძე

# სალუქვაძე, პირველიდან მეხუთეზე

**გერმანიაში ტყვიის მსროლელთა მსოფლიოს თასის მეორე ეტაპში წარმატებით ჩაება ნინო სალუქვაძე, მაგრამ ბოლო აკორდი მეტად მინორული გამოუვიდა - ჩვენებურმა მოიგო საკვალიფიკაციო შეჯიბრება, თუმცა ფინალში ერთ-ერთი ყველაზე დაბალი შედეგი ჰქონდა და მხოლოდ მეხუთე ადგილს დასჯერდა.**

ეს გუშინ მოხდა მიუნხენში სპორტული პისტოლეტიდან სროლაში. ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა სალუქვაძემ შესარჩევის პირველ ნახევარში არც ისე კარგად ისროლა - საწყისი სამი სერიის შემდეგ 289 ქულით 20-ე ადგილზე იყო, თუმცა მეორე ნახევარში მშვენივრად იასპარეზა - ცალკეულ სერიებში 98, 100 და 99 ქულა გაარტყა და 297 დააგროვა, ორივე სერიის ჯამი კი 586 გამოუვიდა.

როგორც ვხედავთ, სალუქვაძემ მეორე ეტაპის 30 გასროლაში მხოლოდ 3 ქულა დაკარგა. არადა, როცა მეორე სერია 100-პროცენტიანი შედეგით დაასრულა, მესამეც ასევე უნაკლოდ დაიწყო - პირველი 9 გასროლა 10-იანში მოარტყა და დიდი შანსი იყო, ზედიზედ მეორედ ეჩვენებინა მაქსიმალური შედეგი, მაგრამ ბოლო ცდაზე 9-იანის სამიზნე დააზიანა.

ამის მიუხედავად სალუქვაძის მიერ საკვალიფიკაციოში მოგროვებული 586 საუკეთესო შედეგი აღმოჩნდა. მისი პირველობა ჯერ კიდევ მეორე ეტაპის მეორე სერიაში გაირკვა, რომლის დასრულების შემდეგაც დაწევა მხოლოდ სერბ მსოფლიოს ჩემპიონ **ზორანა არუნოვიჩს** შეეძლო. საამისოდ მას ბოლო, მესამე სერიაში 100 ქულა უნდა დაეგროვებინა. სერია კარგადაც დაიწყო - პირველივე ტყვია 10-იანში მოარტყა, მაგრამ მერე ზედიზედ დასვა სამი 9-იანი და ქულათა მაქსიმუმი ვერ აჩვენა. ამ დროისთვის ფინალური ოქტეტიც გარკვეული იყო. სასროლეთზე მხოლოდ კორეელი **იანგ მინ კიმი** რჩებოდა, რომელსაც შანსი ჰქონდა, ბოლო სერიაში ქულათა მაქსიმუმის შემთხვევაში 583 დაეგროვებინა. ფინალში უმეტესობა ამ შედეგით გავიდა, კორეელი კი იქიდან ესპანელ **სონია ფრანკოს** გამოაგდებდა. ბოლო გასროლამდე კორეელი შანს ინარჩუნებდა კიდეც, მაგრამ გადამწყვეტ ეპიზოდში მასაც უმტყუნა ნერვებმა და 9-იანში მოარტყა.

სამწუხაროდ, სალუქვაძე ფინალში სუსტად გამოვიდა - მხოლოდ 198.5 დააგროვა, ამაზე უარესი შედეგი კი ფინალისტთაგან მხოლოდ შვეიცარიელ **ჰაიდი დიტელმს** ჰქონდა. მთლიანობაში ჩვენებურმა 784.5 ქულა დააგროვა და მეხუთე ადგილზე დარჩა. ოქროს მედალი აზიის, მსოფლიოსა და ოლიმპიადის ჩინელმა ჩემპიონმა **ინგ ჩენმა** მოიპოვა 791.4-ით, ვერცხლი ფრანგმა ევროპის ჩემპიონმა **სელინ გობერვილემ** ირგუნა 789.6-ით, ბრინჯაო - 787.3-იანმა ჩეხმა ოლიმპიადის მეორე და მსოფლიოს მესამე პრიზიორმა **ლენკა ჰიკოვა-მარუსკოვამ**.

ვაჟთა შორის ასევე სპორტული პისტოლეტიდან **ლევან ქადაგიძეც** დადგა ცეცხლის ხაზზე, რომელიც 551 ქულით 49-ზე გავიდა.

ქადაგიძე 26 მაისს პნევმატური პისტოლეტიდან ისვრის, სალუქვაძე კი ამ დისციპლინაში 27-ში გამოვა.

**ირაკლი თავაძე**

### უნივერსიადა 2012

# ვინ მოიწონა თავი სამბოს ჩოხაში

თბილისის ბაზებზე გრძელდება „უნივერსიადა 2012“-ის პროგრამით გათვალისწინებული პაექრობები. სამბოში, სპორტის ამ სახეობის სასხლეში, განსაკუთრებით აგრარული უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა იყოჩაღეს - მათ 2 ოქროს, 3 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედლით გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს. ორი ოქროთი და ამდენივე ვერცხლით მეორე ადგილი გორელებს ხვდათ. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამბისტებმა 6 მედალი მოიხვეჭეს: 2 ოქროსი, 1 ვერცხლისა და 3 ბრინჯაოსი. ერთი ოქრო ქუთაისელებს ერგოთ.

**ქვარცხლბეკი**

**57 კგ.** 1. გენადი ჩირგაძე (ქუთაისის ა. წერეთლის უნივერსიტეტი), 2. ლევან ბერბერაშვილი (სოხუმის უნივერსიტეტი), 3. გივი ნადარეიშვილი (სტუ).

**62 კგ.** 1. იაკობ გაზდელიანი (აგრარული უნივერსიტეტი), 2. დავით ნადარეიშვილი (სტუ), 3. ალექსანდრე გოგლიჩიძე (ქუთაისი) და თორნიკე კაპანაძე (სამედიცინო).

**68 კგ.** 1. შავლეგ კაპანაძე, 2. შოთა ოქროპირიძე (ორივე - გორის უნივერსიტეტი), 3. ზაურ მაზანაშვილი (თსუ) და იაკობ ჩარკვიანი (აგრარული).

**74 კგ.** 1. მიხეილ გიორგაძე (გორი), 2. რევაზ თვაური (აგრარული), 3. ოთარ ტვილდიანი (სტუ) და დავით დავითური (ილიას უნივერსიტეტი).

**82 კგ.** 1. თეიმურაზ ხაჩიძე (თსუ), 2. არჩილ უსტარაშვილი (აგრარული), 3. ლაშა ყიზილაშვილი (სტუ) და გიორგი ბიჩელაშვილი (ილიას უნივერსიტეტი).

**90 კგ** 1. გიორგი კობაიძე, 2. გიორგი პარუნაშვილი (ორივე - ილიას უნივერსიტეტი), 3. ირაკლი ნანიევი (სტუ) და შოთა ჯავახაძე (გრ. რობაქიძე).

**100 კგ.** 1. გიორგი ქავთარაძე (ილიას უნივერსიტეტი), 2. ილია მაჭავარიანი (გორი), 3. ხვთისო მოსულიშვილი (თელავის უნივერსიტეტი) და გიორგი გვანცელაძე (თსუ).

**+100 კგ.** 1. შავლეგ ბერუაშვილი, 2. გიორგი კვირჭიშვილი (ორივე - აგრარული), 3. ნიკო აფციაური (ილიას უნივერსიტეტი).

## კარატე სტუ-სია

გუშინ შეჯიბრება დაამთავრეს კარატისტებმა. საპრიზო ადგილებისთვის 12 უმაღლესი სასწავლებლის სპორტსმენებმა კატასა და კუმიტეში იასპარეზეს.

**გოგონები. კატა.** 1. დიანა დარჩიაშვილი (სტუ), 2. თეონა კაპანაძე (თსუ), 3. თეონა ახალაია (თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტი) და ანასტასია ფრუიძე (სოხუმის უნივერსიტეტი). კუმიტეშიც აბსოლუტურ წონით კატეგორიაში ადგილები ასევე განაწილდა.

**ვაჟები. კატა.** 1. დავით ბიჭიაშვილი (სტუ), 2. ედემ ბერიშვილი (სასულიერო აკადემია), 3. ზვიად არაბული (სტუ) და გიორგი გოჩიტაშვილი (საქართველოს უნივერსიტეტი). **კუმიტე. 60 კგ.** 1. დავით ტყებუჩავა (სასულიერო აკადემია), 2. ირაკლი ბერაია (სტუ), 3. გიორგი თაბაგარი (სტუ). **67 კგ.** 1. დავით პატარიძე (სტუ), 2. გიორგი ქირია (თსუ), 3. გიორგი გოჩიტაშვილი (საქართველოს უნივერსიტეტი) და ლაშა გელოვანი (სტუ). **75 კგ.** 1. ჰენრი ვეკუა (აგრარული), 2. ედემ ბერიშვილი (სასულიერო), 3. ირაკლი მოდებაძე (თსუ) და ვახტანგ ლაჭყეპიანი (აგრარული). **84 კგ.** 1. ზვიად არაბული (სტუ), 2. გიორგი ელიზბარაშვილი (სეუ), 3 მამუკა გელაძე (თსუ) და დავით ბოხუა (აგრარული). **+84 კგ.** 1. გიორგი ლიპარტელიანი (ილიას უნივერსიტეტი), 2. გიორგი ქოჩორაშვილი (სასულიერო), 3. ხვთისო იმერლიშვილი (სამედიცინო).

**გუნდური.** 1. სტუ - (5, 1, 3), 2. სასულიერო აკადემია - (1, 3, 0), 3. აგრარული უნივერსიტეტი - (1, 0, 2).

***საერთო გუნდური მდგომარეობა 8 სახეობის შემდეგ.*** *1. სტუ - 25 მედალი (9 ოქრო, 7 ვერცხლი, 9 ბრინჯაო) 2. აგრარული უნივერსიტეტი - 25 (5, 10, 10), 3. გორის უნივერსიტეტი 11 (5, 6, 0), 4. ილიას უნივერსიტეტი - 16 (5, 4, 7). 5. სამედიცინო უნივერსიტეტი - 13 (4, 2, 7).*

**ვაჟა დანელია**

*თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო*







**FM 107.9**

ყოველ შაბათ-კვირას 15.00-22.00 რადიო „საქართველოს ხმის“ (FM 107,9) პირდაპირ ეთერში - ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, მიმდინარე და დასრულებული სპორტული ასპარეზობების შედეგები, სტუმარი, ვიქტორინა და საინტერესო პრიზები გადაცემაში „სპორტ ონლაინ“ დონ ედოსთან ერთად.

გადაცემის საინფორმაციო მხარდამჭერი - გაზეთი „ლელო“.

ქართული სპორტი

● ჭადრაკი

# ჯობავა, გაგუნაშვილი, ზარქუა


გარი კასპაროვი (მარცხნივ) და ბაადურ ჯობავა


მერაბ გაგუნაშვილი


დავით ზარქუა

ასეთი თანმიმდევრობით განაწილდა საპრიზო ადგილები საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა 71-ე ეროვნულ ჩემპიონატში, რომელიც გუშინ თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა. უკვე გაუწყეთ, რომ საქართველოს ოთხგზის ჩემპიონმა, გალელმა დიდოსტატმა **ბაადურ ჯობავამ** შეჯიბრების დასრულებამდე ტურით ადრე გაინაღდა პირველობა. ამის მიუხედავად, ბოლო ტურში მან შემართებით იბრძოლა **დავით არუთინიანის** წინააღმდეგ და გათამაშების ცხრილში მე-9 გამარჯვება ჩაიწერა. ტურნირის რეიტინგფავორიტმა ასპარეზობა 11 შესაძლებლიდან 10 ქულით დაასრულა, რამაც მეხუთე ოქრო მოუტანა. ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების მოპოვების შანსი ოთხ მოჭადრაკეს ჰქონდა. საქართველოს ჩემპიონი **დავით ზარქუა** და ქვეყნის 2010 წლის პირველობის გამარჯვებული **მერაბ გაგუნაშვილი** ყაიმზე შეთანხმდნენ და 7,5-7,5 ქულას მოუყარეს თავი. **კონსტანტინე შანავას** ძლევით ამდენივე ქულა მოაგროვა **ლუკა პაიჭაძემ,** რომელსაც კარგა ხნის განმავლობაში ტურნირზე მეორე ადგილი ეკავა. უარესი დამატებითი მაჩვენებლებით პაიჭაძე მე-4 ადგილზე გავიდა. გაგუნაშვილსა და ზარქუას ბერგერის ცხრილით ერთნაირი კოეფიციენტი აღმოაჩნდათ. მათ შორის უძლიერესის გამოსავლენად ტაი ბრეიკები დაინიშნა. 25-წუთიანი პარტიები (ყოველ სვლაზე 10-10 წამის დამატებით) ზავით დასრულდა - 1:1, ბლიცებში (5-წუთიანები) კი საქართველოს ნაკრების წევრმა გაგუნაშვილმა გაიმარჯვა 1,5:0,5 და ვერცხლიც მას ერგო, ზარქუა ბრინჯაოს დასჯერდა.

გუშინდელი დანარჩენი პარტიები: **ირაკლი ბერაძე-ზურაბ ჯავახაძე** 1:0, **დავით ლომსაძე-გიგა ყუფარაძე** 1:0, **ივერი ჭილლაძეს ლევან ფანცულაიასთან** შეხვედრაში მოგება ჩაეწერა. საბოლოოდ 71-ე ეროვნულ ჩემპიონატში ადგილები ასე განაწილდა: ბაადურ ჯობავა (2771)-10, მერაბ გაგუნაშვილი (2570)-7,5, დავით ზარქუა (2446)-7,5, ლუკა პაიჭაძე (2480)-7,5, კონსტანტინე შანავა (2589)-6,5, ირაკლი ბერაძე (2298)-6, დავით ლომსაძე (2345)-5,5, დავით არუთინიანი (2561)-4,5, გიგა ყუფარაძე (2471)-4, ზურაბ ჯავახაძე (2418)-4, ლევან ფანცულაია 92581)-1,5, ივერი ჭილლაძე (2390)-1,5 ქულა.

ჩემპიონატზე დაწესებული იყო საპრიზო ფონდი - 14.000 ათასი ლარი: ჯობავა-4.500, გაგუნაშვილი-3.500, ზარქუა-3.000, პაიჭაძე-2.000, შანავა-1200 ლარი.

- შეჯიბრება კარგად იყო ორგანიზებული, შეხვედრების უმრავლესობა დაძაბულობითა და დრამატიზმით გამოირჩეოდა, - გვითხრა ჩემპიონატის მთავარმა არბიტრმა **ევგენი მელიქსეთ-ბეგმა.** - ასპარეზობის რეიტინგფავორიტი გახლდათ ჯობავა. მისი ჩემპიონობა მოსალოდნელი იყო და ბაადურმაც ქომაგები არ დაალალატა, თანაც ასეთი ტურნირისთვის შესანიშნავი შედეგით: 9 მოგება და ორი ყაიმი. კარგი შთაბეჭდილება დატოვა შარშანდელმა ჩემპიონმა დავით ზარქუამ, რომელიც მესამე ადგილზე გავიდა. ბოლო ორი წლის მაჩვენებლებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის საგრძნობლად გაიზარდა და ჯილდოებისთვის მებრძოლ ოსტატად ჩამოყალიბდა. მისასალმებელია ახალგაზრდა ლუკა პაიჭაძის მე-4 ადგილი. გამოცდილი მერაბ გაგუნაშვილის წარმატება არ გამკვირვებია, აი, 16 წლის ირაკლი ბერაძის შედეგმა კი, მართალი გითხრათ, ძალიან გამაოცა - მაღალი რეიტინგის მქონე დიდოსტატებს ტოლ-სწორად ეთამაშა. კონსტანტინე შანავამ ავადმყოფობის გამო ასპარეზობის სტარტზე ბევრი ქულა დაკარგა. მართალია, მერე ზედიზედ 6 პარტია მოიგო, მაგრამ ფინიშზეც წაიფორხილა და ერთ-ერთი სინჯის მედლის მოპოვების შანსი ხელიდან გაუშვა. რაც უნდა ვთქვათ, 71-ე ეროვნული ჩემპიონატი ისტორიის კუთვნილება გახდა. ახლა მთავარია, ჩვენმა ბიჭებმა საერთაშორისო ტურნირებში გამოიჩინონ თავი.

ვაჟა დანელია

● წყალბურთი

# მარცხით დაიწყეს

გუშინ სტამბოლში სტარტი აიღო 19 წლის წყალბურთელთა ევროპის პირველობის შესარჩევმა ტურნირმა **(A ჯგუფი)**, რომელშიც ფინალური ეტაპის ორი საგზურისთვის მასპინძლებთან ერთად ქართველები, ბელარუსები, მოლდოველები და კვიპროსელები იბრძვიან. ასპარეზობის პირველ დღეს, როგორც მოსალოდნელი იყო, თურქეთის ნაკრებმა საქართველოს გუნდს მოუგო – 10:6.

შესარჩევი ტურნირები კიდევ სამ ქვეყანაში იმართება:

**B ჯგუფი (ჰოლანდია):** ჰოლანდია, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, პოლონეთი, შვეიცარია.

გერმანია-ბრიტანეთი 13:5, ჰოლანდია-შვეიცარია 19:3.

**C ჯგუფი (პორტუგალია):** პორტუგალია, სლოვენია, სლოვაკეთი, რუმინეთი.

**D ჯგუფი (ბულგარეთი):** რუსეთი, მაკედონია, უკრაინა, ისრაელი, ბულგარეთი.

უკრაინა-ბულგარეთი 10:7, ისრაელი-მაკედონია 16:5.

დღეს ქართველი წყალბურთელები მოლდოველებს შეხვდებიან.

ვაჟა დანელია

# ოლიმპიური საქართველო 1952-2012

ჰელსინკიდან-ლონდონამდე

„საქართველო თავისი ტერიტორიით და მოსახლეობით პატარა სახელმწიფოა, თავისი სპორტული ტრადიციებითა და პოტენციალით კი დიდი ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება“.
ხუან ანტონიო სამარანჩი

## ზაფხულის XV ოლიმპიური თამაშები, 1952 წ. ჰელსინკი, 19 ივლისი - 3 აგვისტო


დავით ციმაკურიძე - (თავ. ჭიდ.) - I ადგ.


რაფაელ ჩიმიშკიანი - (ძალოსნობა) - I


მზია ჯუღელი - (სპ. ტანვარჯ.) - I, II


ოთარ ქორქია- (კალათბურთი) - II


ნოდარ ჯორჯიკია - (კალათბურთი) - II


ლევან სანაძე - (მძლეოსნობა) - II

საქართველოდან ჰელსინკში საბჭოთა კავშირის ოლიმპიურ ნაკრებ გუნდებში გამოდიოდა 14 სპორტსმენი, რომელთა წილად მოდის 3 ოქროს, 4 ვერცხლის და 2 ბრინჯაოს მედალი. სულ -9 ოლიმპიური ჯილდო.


ნადეჟდა დვალიშვილი - (მძლეოსნობა) - III


ნინო დუმბაძე (მძლეოსნობა) - III


ელენე გოკიელი (მძლეოსნობა) - ნ/ფინ - IV


ოთარ დადუნაშვილი (ველოსპ.) - სერიაში II


ვლადიმერ ლავრინენკო (ცურვა) - XXV


აკაკი მეიფარიანი (ფარიკ.) - გუნდი გამოეთიშა


ავთანდილ ღოღობერიძე (ფეხბურთი) - 1/8 ფინ.


ავთანდილ ჭკუასელი (ფეხბურთი) - 1/8 ფინ.

„დიდი სპორტული ქვეყნების ტოლი, სწორი და ბადალი“ /ზაურ ბოლქვაძე/

ეროვნული ბიბლიოთეკა


ლუქვიის საჩემპიონო ტიტული


ამ ჯილდოსთვის ბელგიაში წლეულს მენდელია იბრძვის


ასე ზეიმობდნენ [illegible]

# TimeLine

Username: ვაჟა

Password: სიმონიშვილი


ბოისა სლოვენიის თასით


ეს თასი გადაეცა რუსების 2010 წლის ჩემპიონს


საქართველოს ჩემპიონი არმია

# აუტი თუ ოფი?

რუბრიკა „ტაიმლაინი" თებერვალში დაიბადა, თავიდან ოთხშაბათის ნომერში იბეჭდებოდა, ერთ თვეში ხუთშაბათის ნომერში გადმოინაცვლა, დღეს კი პარასკევია... „ტაიმლაინი" ინგლისურიდან ქართულად „დროის ხაზად" ითარგმნება, დროისა და კალენდრის ცვალებადობა კი ჩვეულებრივი ამბავია. აგერ ბატონო, 1582 წელს რომის პაპმა გრიგორი XIII-მ 325 წელს დაკანონებულ იულიუსის კალენდარს 10 დღე მიუმატა, რადგან 325-დან 1582-მდე წელიწადის განმავლობაში 10 ზედმეტი დღე იყო დაგროვილი. თუ გაინტერესებთ, სადღეისოდ რატომ არის სხვაობა იულიუსისა და გრიგორიანულ კალენდრებს შორის 13 დღე, მოგახსენებთ: 1582 წლის მერე კალენდარში ცდომილება ყოველ ასწლეულში დაახლოებით ერთი დღეა და ამიტომ XX-XXI საუკუნეებში სხვაობა 13 დღემდე გაიზარდა.

## ზესტალურგი

თუ ტაიმლაინის გამოქვეყნების თარილი, მით უმეტეს კალენდარი იცვლება, რატომ არ შეიძლება რიგითი ადამიანის მიერ დამტკიცებული დებულება შეიცვალოს?! - თქვა ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ და მარტში კლუბებს დაუგზავნა წერილი: თუ პლეი ოფის ბოლოს ორ გუნდს ქულათა თანაბარი რაოდენობა ექნება, უპირატესობა მიენიჭება მას, ვისაც პლეი ოფში მეტი მოგება დაუგროვდებაო. ჩემპიონატის დაწყებამდე შედგენილ დებულებაში კი ეწერა: თანაბარი ქულების შემთხვევაში ჩემპიონატში მოგებათა რაოდენობა (ცხადია, იგულისხმება ორივე ეტაპი) იქნება გადამწყვეტიო.

პირველობა „ზესტაფონმა" და „მეტალურგმა" 55-55 ქულით დაასრულეს და ჩემპიონობა ორივემ იზეიმა. თურმე, ფედერაციის პრეზიდენტმა, რომელიც მარტის შესწორებით ხელმძღვანელობდა, რუსთაველებს მიულოცა... უბრალო გულშემატკივარმა კი ვერაფრით გაიგო, ვინ მოიგო პირველობა, „ზესტაფონმა" თუ „მეტალურგმა"? იქნებ „ზესტალურგმა"?

მსგავსი პარადოქსები ხომ მხოლოდ საქართველოში შეიძლება მოხდეს... თუმცა არა, მახსოვს, რამდენიმე წლის წინათ აზერბაიჯანის საკალათბურთო ჩემპიონატში „დასავლეთის უნივერსიტეტმა" და „გალამ" ტიტული ვერ გაიყვეს და ფედერაციამ ორივე ჩემპიონად გამოაცხადა.

მიგვებაძა აზერებისთვის, „ზესტაფონიცა" და „მეტალურგიც" ჩემპიონობით დაგვეჯილდოვებინა, იქნებ უეფა-ს ორივე ჩემპიონთა ლიგაზე გაეშვა... მაგრამ ალმასკომმა პირველობა ზესტაფონელებს არგუნა.



## პლეი...

ზემოთ სიტყვა პლეი ოფი ვახსენე. მის განმარტებას ენციკლოპედიურ საიტ „ვიკიპედიაში" ვკითხულობთ: „პლეი ოფი არის გათამაშების სისტემა, რომლის დროსაც მონაწილე წაგების შემდეგ ვარდება (ერთი მატჩისა ან ორ გუნდს შორის საპლეიოფო სერიის შედეგად). ეს სისტემა განაპირობებს გამარჯვებულის მოკლე დროში გამოვლენას და ამაღლებს დაძაბულობის ხარისხს."

რამდენად შეესაბამებოდა სიტყვა „პლეი ოფი" საქართველოს ჩემპიონატის მეორე ეტაპს, თავადაც ხედავთ. იქ ხომ რვავე გუნდმა ერთმანეთში ითამაშა... პლეი რვოფი უფრო იყო. საქართველოს კალათბურთის ჩემპიონატშიც გაჩნდა განსაზღვრება - „პლეი აუტი". მასში ის გუნდები მონაწილეობენ, რომლებსაც საჩემპიონო შანსი აღარ აქვთ. საინტერესო ისაა, იდეურად რა სხვაობაა პლეი ოფსა და პლეი აუტს შორის. პირველი დაახლოებით ასე ითარგმნება - ითამაშე და გამოეთიშე, მეორე - ითამაშე და გავარდი. სხვაობა დაახლოებით ისეთია, როგორც სიტყვებს „ნახვამდისა" და „მშვიდობითს" შორის. ოფიციალურ საერთაშორისო შეჯიბრებებში პლეი აუტის ნაცვლად „საკლასიფიკაციო მატჩები" იხმარება. გრძელი განსაზღვრებაა, მაგრამ უფრო გასაგები. უკეთესის მოფიქრებაც შეიძლება.

## აი, თასი...

ჭკუის მასწავლებლის ტონით ნამდვილად არ ვწერ, უბრალოდ, მაქვს საკუთარი მოსაზრება, რომლის გამოთქმის უფლებას სახელმწიფო კანონები მაძლევს (თუ არ შეცვალეს მარტში). ორ მეგობრულ რჩევასაც გავიმეტებ და სხვა თემაზე გადავალ.

აშკარად სხვა ტერმინია მოსაფიქრებელი „ქალთა შვიდკაცა რაგბის" ნაცვლად. ამას შვიდქალა, შვიდმაია სჯობს...

და მეორე რჩევა. საქართველოს საკალათბურთო ჩემპიონი „არმია" გახდა, რომლის კალათბურთელებმა საპრესკონფერენციო ოთახში ლამაზი თასი შემოიტანეს. სცადეს, მაგრამ თავსახური ვერ მოხადეს. არადა, ამ ჯილდოს თასი იმიტომ ჰქვია, შიგ ღვინო უნდა ჩაისხას და საჩემპიონო ზეიმისას შეისვას.

სხვათა შორის, 2010 წელს რუსეთის საკალათბურთო სუპერლიგის გამარჯვებული ცსკა თითქმის ისეთივე თასით დააჯილდოვეს, როგორიც ჩვენია, მაგრამ რუსებისას თავი ეხდებოდა და ბევრი სასმელი ჩადიოდა. ამიტომ, მომდევნო სეზონისთვის ახალი, უფრო ნაკლები ტევადობის, ორიგინალური თასი დაამზადეს, რომლითაც ცსკა-ს კალათბურთელებმა გასახდელში შამპანური დააგემოვნეს (იხილეთ ფოტო).



სიტყვა „ორიგინალურის" ხსენებაზე წერა დროებით შევწყვიტე და ინტერნეტში გადავხედე ფიბა-ევროპის წევრი ქვეყნების ჩემპიონებსა და მათ ჯილდოებს. ყველა ერთმანეთზე გამორჩეულია, რაც მთავარია, სპეციალური დიზაინითაა დამზადებული. ვფიქრობ, ჩვენი ჩემპიონიც იმსახურებს ორიგინალურ თასს, რომელიც მიგვანიშნებს, რომ იგი გუნდმა საკალათბურთო ჩემპიონატის მოგების გამო მიიღო და არა, ვთქვათ, ფიზიკის ოლიმპიადაზე წარმატებისთვის. თუმცა, საკალათბურთო სუპერლიგა ყოველწლიურად უმჯობესდება და იმედი დავიტოვოთ, რომ მომავალში ევროპაში ყველაზე ლამაზი თასი ჩვენ გვექნება. თუ 3-4 ათასი წლის წინათ ჩვენი წინაპრები ამზადებდნენ საოცარი ღირებულების თასებს, დღეს რატომ უნდა ჩამოვრჩეთ ვინმეს?

## ტერმინატორი

განვლილ დღეებში ქართულმა მოვლენებმა ერთგვარად დაჩრდილა ჩემპიონთა ლიგის ფინალი, რომელიც შაბათს გაიმართა და მოიგო დიდიე დროგბამ, რომელიც „ტერმინატორივით" მარტო გაუმკლავდა ათეულობით მეტოქეს. 1992 წლის შემდეგ ლიგის ერთი ფინალიც არ გამომიტოვებია, თუმცა „ბაიერნი"-"ჩელსის" დაპირისპირებას თვალი ვერ მივადევნე. ძალიანაც მინდოდა, მაგრამ ვერა... ფეხიზელიც ვიყავი, ტელევიზორიც მიმუშავებს, გლდანში პირველ არხსაც იჭერს, მაგრამ მაინც ვერ ვუყურე. აი, მიზეზი: „ჩელსი"-"ბარსელონას" ნახევარფინალის წინ გერმანიის ქომაგმა მეგობარმა მითხრა - ნახავ, ფინალში „ჩელსი" და „ბაიერნი" თუ არ გავიდნენო. მაშინ ხომ წარმოუდგენელი იყო „ბარსელონას" მარცხი. ამიტომ ვუპასუხე: სიტყვას ვდებ, თუ ფინალში „ბაიერნი" და „ჩელსი" გავლენ, მატჩს არ ვუყურებ-მეთქი.

ეს რომ გაიგო, ცნობილმა საფეხბურთო ჟურნალისტმა მომწერა: „შე კაცო, ქართულ გუნდებს უყურებ და „ჩელსი"-"ბაიერნმა" რით ვერ დაიმსახურა შენი ინტერესი?"

ერთ მეგობარს სასაცილოდაც არ ეყო: „ჰაინკესი და დი მატეო ამას რომ გაიგებენ, ნერვიულობით თავს მოიკლავენ!"

ლიგის ფინალის გამოტოვებით მართლაც ბევრი დავკარგე, მაგრამ ამის მერე მეცოდინება, ვის ვენდო და ვის არა. ცხოვრება ხომ ჭკვიანი მასწავლებელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინფრასტრუქტურა





# სარაგბო კომპლექსის მშენებლობა ქუთაისში

ქუთაისში სარაგბო კომპლექსის მშენებლობა მიმდინარეობს, რომელიც საქართველოში ყველაზე მასშტაბური იქნება. გაკეთდება ოთხი თანამედროვე ტიპის მოედანი, როგორც ხელოვნური, ისე ბუნებრივი საფრით, რომელსაც ექნება ღია და დახურული ტრიბუნები.

აქვე აშენდება 52 კაცზე გათვლილი ოთხსართულიანი სასტუმრო საცურაო აუზით, საკონფერენციო დარბაზით, კვების ბლოკით და ქვიშის რაგბის მოედნით.

პირველი ეტაპის სამუშაოებზე, რომელსაც ასოციაცია „ატუ" ახორციელებს, 8 მილიონი ლარი დაიხარჯება. ადგილი, სადაც რაგბის კომპლექსის მშენებლობა მიმდინარეობს სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის ყოფილი ტერიტორიაა.

დღესდღეობით დახურული ტრიბუნის მოსაწყობი სამუშაოები სრულდება, რომელიც 3 000 რაგბის ქომაგს დაიტევს, კომპლექსის ტერიტორიაზე უკვე აშენებულია საქვაბე და დამხმარე ნაგებობა. ასევე დაგეგმილია მანქანების სადგომის მოწყობა.

პირველ ეტაპზე აშენდება ასევე მინდვრისსაფრიანი კიდევ ერთი მოედანი ღია ტრიბუნებით, სადაც 3 500 მაყურებელი დაეტევა. მშენებლობის პირველი ეტაპი 2013 წელს დასრულდება, რის შემდეგაც მეორე ეტაპის სამუშაოები დაიწყება.

# პრეზენტაცია

გუშინ პუშკინის ქუჩაზე მდებარე რაგბი პაბში, სარაგბო ჟურნალის პრეზენტაცია გაიმართა, რომელიც ცხრაწლიანი შესვენების შემდეგ ისევ მოევლინა ქართველ რაგბის ქომაგს.

სარაგბო გამოცემის იდეა სარაგბო თემის წიაღში დიდი ხანია სულდგმულობდა და აგერ პირველი ნომერიც გამოვიდა. ინიციატორი და გამომცემელი ყოფილი მორაგბე **ზურაბ ქებაძეა**, რომელმაც ეს სასიქადულო საქმე ითავა და ქართული რაგბის თემს შესანიშნავი ჟურნალი უძღვნა.

გამოცემა თვეში ერთხელ მკითხველს ვრცლად მოუთხრობს ქართულ და მსოფლიოს რაგბიში მიმდინარე მოვლენებზე, გაგვახსენებს წარსულს და გვაზიარებს რაგბის მომავალს.



ტესტები

# ბოკეს ბოლო ბანაკი ტესტების წინ

**სამხრეთ აფრიკის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ჰეინკე მეიერმა დაასახელა იმ 42 მორაგბის ვინაობა, რომლებიც დურბანში სამდღიან საწვრთნელ ბანაკში შეიკრიბებიან. შეგახსენებთ, რომ „ბოკე" 3 ივნისს ამ ქალაქში ინგლისის ნაკრებს უმასპინძლებს.**

*„ბევრი ვიმსჯელეთ და გადავწყვიტეთ, რომ დურბანში „ბლუ ბულზის", „ლაიონზის" და „ჩიტაზის" საუკეთესო მოთამაშეები მოგვეწვია. ეს არ ნიშნავს, რომ ნაკრების კარი სხვა მორაგბეებისთვის დახურულია. ვეცდებით გუნდის საუკეთესო შემადგენლობა შევარჩიოთ, რათა ინგლისის ნაკრების დამარცხებით, ივნისის ტესტებზე სტარტი წარმატებით ავიღოთ"*, - თქვა სამხრეთ აფრიკის ნაკრების მწვრთნელმა ჰეინკე მეირემა.

გამოძახებულთა შორის არიან მრავალნაცადი, არაერთ მნიშვნელოვან ბრძოლაში თავგამოჩენილი მორაგბეები: **მორნი სტეინი, ვინანდ ულიფიე, იან დე ფილიერსი, ბრაიან ჰაბანა, ბიორნ ბესონი, ხიო ეპლონი, აკონა ნდუნგანე და ზან კირხნერი.**

**სამხრეთი აფრიკა**

შერკინება: კონი ოოსტჰიზენი, ტენდაი მთავარირა, დენ გრილინგი, იანი დუ პლესი, პეტ კილიერსი, ვერნერ კრუხერი, ბისმარკ დუ პლესისი, ადრიან სტარაუსი, ჩილიბოი რელეპელე, ფილიპ ფან დერ მერვე, ევონ ეცებეტი, ანდრიას ბეკერი, ივანდერ კრუხერი, მარსელ კუცია, ცი ჯეი სტანდერი, ჰაინრიხ ბროსუ, კიგან დენიელი, ვილემ ალბერტსი, იან დეისელი, პიერ სპისი, რაიან კანკოვსკი, ჯოშ სტრაუსი.

უკანა ხაზი: ფრანსუა ჰუგარი, იანო ვერმააკი, პიტ ფან ზილი, მორნი სტეინი, პატრიკ ლამბიე, ელიოტ იანტისი, პიტერ გრანტი, ვინანდ ულიფიე, იან დე ფილიერსი, იან დე იონგი, ჯეი ჯეი ენგელბერხტი, ბრაიან ჰაბანა, ბიორნ ბესონი, ჯეი პი პიტერსენი, ხიო ეპლონი, ლუაზი მვოვო, აკონა ნდუნგანე, ზან კირხნერი, იაკო ტაუტე, ჯო პიტერსენი.

# აფრიკელთა კაპიტანი ბარბაროსებს წარუძღვება

**სამხრეთ აფრიკის ნაკრების ყოფილი კაპიტანი ჯონ სმიტი „ბარბაროსებს" ლონდონში, „თვიქნემზე" ინგლისის ნაკრებთან მატჩში წარუძღვება.**

სმიტთან ერთად პირველ ხაზში ითამაშებენ **ჯონ აფოა** და **ნეემია ტიალატა**.

*„გუნდში რამდენიმე უმაღლესი დონის მოთამაშე გვყავს, რომლებსაც კაპიტნობა შეუძლიათ, მაგრამ არჩევანი ჯონიზე შევაჩერეთ, რადგან მას ძალიან დიდი გამოცდილება აქვს ამ საქმეში. ის წლების განმავლობაში სამხრეთ აფრიკის ნაკრების ყოჩი იყო და ამ გუნდთან ერთად მუდამ დიდი მიზნებისთვის იბრძოდა"*, - თქვა „ბარბაროსების" ახალზელანდიელმა მწვრთნელმა **ჯონ ქირვანმა**.

იტალიისა და იაპონიის ნაკრებების ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა საკმაოდ უცანური გადაწყვეტილება მიიღო. მან „ბარბაროსთა" შემადგენლობაში სათამაშოდ ინგლისის ნაკრებიდან გაძევებული შუამარბი **მაიკ თინდოლი** მიიწვია და ძირითად შემადგენლბაშიც დააყენა. არადა, თინდოლმა ქირვანის სამშობლოში გამართულ მსოფლიოს თასის გათამაშებაში თავი შეირცხვინა, რაც ნაკრებიდან მოკვეთის მიზეზი იყო.

**ბარბაროსები**

15. მალილი მულიაინა, 14. პოლ სასკი, 13. კესი ლაულალა, 12. მაიკ თინდოლი, 11. იან ბოლშო, 10. სტივენ დონალდი, 9. რორი ლაუსონი. 1. ნეემია ტიალატა, 2. ჯონ სმიტი, 3. ჯონ აფოა, 4. მარკ ჩისლომი, 5. ანტონი ფან ზილი, 6. ერნსტ იუბერი, 7. ჯონი ბიტი, 8. აკაპუსი ქერა.

16. ბენუა ოგუსტი, 17. დანკან ჯოუნზი, 18. პელუ ტაელე, 19. რაფაელ ლაკაფია, 20. ჯერომ ფილოლი, 21. ფელიპე კონტეპომი, 22, საილოსი ტაგიკაკიბაუ

ბურთით ჯონ სმიტი



# ლე ბლომ მზადება დაიწყო

საფრანგეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ფილიპ სენტ-ანდრემ** ივნისის ტესტებისთვის მოსამზადებლად 27 მორაგბე გამოიძახა. აღსანიშნავია, რომ ეროვნულ გუნდში მიწვეულთა შორის არ არიან იმ გუნდების წარმომადგენლები, რომლებმაც საფრანგეთის ჩემპიონატის პლეი ოფში უნდა იასპარეზონ.

საოცარია, მაგრამ გამოძახებულთა შორის არ არიან ბიარიცელები, წარმოშობით ქართველი ცხრა ნომერი **დიმიტრი იაშვილი** და მესამეხაზელი **იმანოლ არინორდოკი**. სამაგიეროდ სენტ-ანდრემ ამ გუნდიდან ოთიხ ისეთი მორაგბე მიიწვია, რომელთაც ნაკრებში აქამდე არასდროს უთამაშია. ესენი არიან: **ბენუა გიოტი, რაფალ ლაკაფია, ლორე ვენსელსი** და **ივან ვატრემეზი.**

როგორც „ლე ბლოს" ახალმა თავკაცმა განაცხადა, ამჟამად გამოძახებული მორაგბეები ძირითად საწვრთნელ ცენტრში, მარკუისში შეიკრიბებიან და მათ ფიზიკურ კონდიციებს შეამოწმებენ. ცხადია, საფრანგეთის ნაკრების მოთამაშეთა უმრავლესობა სწორედ იმ გუნდებიდანაა, რომლებმაც პლეი ოფში გააღწიეს, თუმცა ამ საწვრთნელი შეკრების შემდეგ, გამორიცხული არ არის გუნდში ახალი, საინტერესო მოთამაშეები გამოჩნდნენ.

საფრანგეთის ნაკრები ივნისში სამხრეთ ამერიკაში გაემგზავრება და არგენტინის ნაკრებთან ტესტ-მატჩებს გამართავს. შეგახსენებთ, რომ „პუმები" წლეულს პირველად ჩაერთვება სამხრეთ ნახევარსფეროს ბობოლათა ბრძოლაში და ამდენად, საინტერესოა, რა დონეზე იმყოფება სადღეისოდ არგენტინელთა უმთავრესი გუნდი.

**საფრანგეთის ნაკრები**

იოან ჰუგე, მარვინ ოკონორი (ორივე-ბაიონი), ბენუა გიოტი, რაფალ ლაკაფია, ლორე ვენსელსი, ივან ვატრემეზი (ოთხივე-ბიარიცი), ტიბო დუბარი (ბრივი), ლუკას დუპორტი (გრენობლი), ანტონი გუილამონი (ლიონი), დავიდ ატუბი, ჟულიენ დიუპიუი, ალექსანდრ ფლანკარტი, პასკალ პაპე, ჟულის პლისონი, რაბან სლიმანი, დიმიტრი სჟარჟევსკი (შვიდივე-სტად ფრანსე), ბრაის დულინი, მაქსიმ მაშენო (ორივე-აჟენი), თომას სინაელი (დაქსი), ფლორან კანავეზე, დამიენ შული, ჟილემ ჟირადო, მაქსიმ მერმოსი, ჟოფრეი მიშელი, ადრიენ პლანტე, რომან ტაოფიფენუა (შვიდივე-პერპინიანი), კამილ ლოპესი (ბორდო).

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

# უცხოური სპორტი

## კალათბურთი

### შაკი გენერალური მენეჯერი?

ლეგენდარული ცენტრი **შაკილ ო'ნილი** "ორლანდო მეჯიქში" გენერალური მენეჯერის ვაკანტური პოსტის დაკავების ერთ-ერთი კანდიდატია. "ორლანდოსა" და "ლეიკერსის" ყოფილი კალათბურთელი "მეჯიქის" ხელმძღვანელობას მომავალ კვირას შეხვდება, - წერს ESPN-ის ვებგვერდი.

შეგახსენებთ, რომ "ორლანდოს" აწ უკვე ყოფილი გენერალური მენეჯერი **ოტის სმიტი** რამდენიმე დღის წინ გადააყენეს თანამდებობიდან.

როგორც იცით, ო'ნილი კარიერას სწორედ "ორლანდოში" იწყებდა და მას კარგი ურთიერთობა ჩამოუყალიბდა კლუბის პრეზიდენტ **ალექს მარტინესთან**. მართალია, შაკს არ აქვს ამ პოსტზე მუშაობის დიდი გამოცდილება, მაგრამ "ორლანდოში" იმედი აქვთ, რომ ის შეძლებს გუნდის ლიდერის **დუაიტ ჰოვარდის** "მეჯიქში" დატოვებას.

### დამნაშავე ნაპოვნია

ოკლაჰომას პოლიციის წარმომადგენლებმა ჟურნალისტებს აცნობეს იმის შესახებ, რომ დაკავებულია 16 წლის მოზარდი, რომელიც "ოკლაჰომასა" და "ლეიკერსის" მატჩის შემდეგ, რამდენიმე ადამიანის მოკვლის მცდელობაშია ეჭვმიტანილი. შეგახსენებთ, რომ შეხვედრის დამთავრებისთანავე "თანდერის" არენის გვერდით სროლა ატყდა, რის შედეგად რვა ადამიანი დაიჭრა.

პოლიციის ინფორმაციით, სროლის დროს სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე დაახლოებით 8 ათასი ადამიანი იმყოფებოდა, თუმცა, საბედნიეროდ, ინციდენტს მსხვერპლი არ მოჰყოლია.

### ოდომს ნიუ-იორკში უნდა

"დალას მავერიქსის" ფორვარდმა **ლამარ ოდომმა**, შესაძლოა, "ნიუ იორკ ნიქსში" გააგრძელოს კარიერა, - იტყობინება კალათბურთელთან დაახლოებული სანდო წყარო. თუ "მავერიქსის" ხელმძღვანელობა გადაწყვეტს ოდომის გაშვებას, ფორვარდისთვის პრიორიტეტული ვარიანტი "ნიქსთან" კონტრაქტის გაფორმება იქნება.

*"ლამარი ახალი გუნდის ძიებაშია, სადაც ის მშვიდად შეძლებს კარიერის დასრულებას. "ნიუ იორკი" იდეალური ვარიანტია მისთვის. ოდომს უკვე მოგებული აქვს საჩემპიონო ბეჭდები და კიდევ ერთხელ სიამოვნებით გააკეთებდა ამას"*, - ამბობს ინკოგნიტო ინფორმატორი.

შეგახსენებთ, რომ "დალასის" შემადგენლობაში ოდომმა 50 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 6.6 ქულა და 4.2 მოხსნა დააგროვა.

### ლეიკერსში ცვლილებები იწყება

"ლოს ანჯელეს ლეიკერსის" გენერალურმა მენეჯერმა **მიტჩ კუპჩაკმა** განაცხადა, რომ უახლოეს ზაფხულს კალიფორნიულ გრანდში დიდი ცვლილებებია მოსალოდნელი.

*"გუნდში ცვლილებები მოხდება. პირველი ივლისი დაძაბული დღე იქნება ჩვენთვის. უნდა ვნახოთ, ვისთან შეიძლება კონტრაქტის გაფორმება და ვისი დათხოვნა შემადგენლობიდან. ყველა შესაძლო ვარიანტს განვიხილავთ და შესაძლოა, დიდი ტრეიდი განვახორციელოთ. გარდა ამისა, შევეცდებით გავაუმჯობესოთ საკუთარი პოზიციები მომავალ დრაფტზე. საერთო ჯამში, ამჟამად ძალიან განაწყენებულები ვართ. ბევრი გუნდისთვის სასიხარულო იქნებოდა პლეი ოფის მეორე წრეში გასვლა, მაგრამ ეს შედეგი "ლეიკერსისთვის" არ არის. მართალია, შარშანდელზე ცუდად არ გამოვსულვართ, მაგრამ მაინც უკმაყოფილონი დავრჩით"*, - ამბობს კუპჩაკი.

### საუკეთესო დამცველები

სეზონის საუკეთესო დებიუტანტთა სიმბოლური ნაკრებების შემდეგ, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ვებგვერდზე გამოქვეყნდა დაცვით თამაშში სეზონის სიმბოლური შემადგენლობები.

პირველ ხუთეულში მოხვდნენ: **ლებრონ ჯეიმსი** ("მაიამი"), **სერჟ იბაკა** ("ოკლაჰომა"), **დუაიტ ჰოვარდი** ("ორლანდო"), **კრის პოლი** ("კლიპერსი") და **ტონი ალენი** ("მემფისი").

მეორე სიმბოლური ნაკრები კი ასე დაკომპლექტდა: **კევინ გარნეტი** ("ბოსტონი"), **ლუოლ დენგი** ("ჩიკაგო"), **ტაისონ ჩენდლერი** ("ნიუ იორკი"), **რაჟონ რონდო** ("ბოსტონი") და **კობი ბრაიანტი** ("ლეიკერსი").

დაცვით თამაშში საუკეთესოები ლიგის კლუბების მწვრთნელთა გამოკითხვით გამოავლინეს.

## ექსტრემალური სპორტი



გერი კონერი

# თანამედროვე კარლსონი

**ბრიტანელი გერი კონერი** გახდა პირველი ადამიანი მსოფლიოში, რომელმაც სპეციალური კოსტიუმით იფრინა და პარაშუტის გარეშე დაეშვა მიწაზე. ოქსფორდშირის საგრაფოს 42 წლის მაცხოვრებელი ვერტმფრენიდან გადახტა და დაახლოებით 730 მეტრი იფრინა, რის შემდეგაც წარმატებით დაეშვა სპეციალურად მომზადებულ საფარზე, რომელიც 18000 მუყაოს ყუთისგან შედგებოდა.

*"ძალიან მოხერხებული და რბილი იყო! ყველაზე მთავარი ის არის, რომ სწორად გავთვალე ფრენის ტრაექტორია და საჭირო წერტილში მოვხვდი"*, - უზიარებდა ჟურნალისტებს შთაბეჭდილებებს მფრინავი მამაკაცი.

ფრენის დრო სულ რაღაც 50 წამი იყო. ამასთან, კონერის თან ჰქონდა პარაშუტი ექსტრემალური სიტუაციისთვის, მაგრამ რეკორდსმენი დარწმუნებულია, რომ ის ზედმეტი ტვირთი იყო.

*"ასი პროცენტით დარწმუნებული ვიყავი, რომ მიზანს მივაღწევდი. ვიცოდი, რომ ფრენა შემეძლო. ჩემი ილეთი ავიაციის ისტორიაში შევა. ვიცი, ბევრი ფიქრობს, რომ უბრალოდ არანორმალური ვარ, მაგრამ ჩემთვის ეს ნამდვილი კომპლიმენტია"*, - ამბობს გერი.

თავისი ჩანაფიქრის განსახორციელებლად, კონერი ოსტატობას იტალიისა და შვეიცარიის მთებში ხვეწდა. პირველი ნახტომი ბრიტანელმა ჯერ კიდევ 23 წლის ასაკში განახორციელა და მას შემდეგ ცის დაპყრობა მისი მოწოდება გახდა. სულ კონერის 1500 საჰაერო ილეთი აქვს შესრულებული. გერი კასკადიორად მუშაობდა ისეთ ფილმებში, როგორიცაა "ინდიანა ჯონსი" და "ბეტმენი".

## კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/4 ფინალი

# ფილადელფია არ ნებდება


გარნეტი მარტო იბრძოდა

**დაუმორჩილებელი** "ფილადელფია" ბოლომდე აპირებს "ბოსტონის" ნერვებზე თამაშს. "კელტებმა" ვერ შეძლო მეექვსე მატჩში სერიის დასრულება და აღმოსავლეთის ფინალისთვის მზადების დაწყება. სასურველი დასვენების ნაცვლად, **დოკ რივერსის** გუნდს შაბათს მეშვიდე მატჩის თამაში მოუწევს. თუმცა გუშინდელი წაგება მოსალოდნელი იყო – ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, "კელტებმა" 12 შემთხვევიდან მხოლოდ ორჯერ დახურა სერია გასვლით შეხვედრაში.

შედეგიანი მეხუთე მატჩის შემდეგ, გუნდებმა გუშინ, პირველ ნახევარში ანტიკალათბურთი აჩვენეს. რა თქმა უნდა, ორივე გუნდმა დაცვაში კარგად ითამაშა, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ "სელტიქსმაც" და "სიქსერზმაც" ბევრი იოლი ბურთი ააცილეს.

მესამე მეოთხედის შუამდე ორივე გუნდს რამდენიმე მინისპურტი ჰქონდა. ხან "ფილადელფია" დაწინაურდებოდა 5-6 ქულით, ხან კი "ბოსტონი" ეწეოდა მეტოქეს და წინ გასვლას ახერხებდა. **დაგ კოლინზმა** თავდაპირველად აქცენტი საშუალო ტყორცნებზე გააკეთა, მაგრამ ამ მხრივ მასპინძლებს პრობლემები შეექმნათ და ფარქვეშ შესვლებზე გადავიდნენ, რამაც მინიმალური უპირატესობა მოუტანა.

"ბოსტონიც" ბევრით ვერაფრით დაიკვეხნიდა შეტევაში. მხოლოდ მეორე მეოთხედის შუაში დაიწყო **კევინ გარნეტმა** თავისი საფირმო საშუალოების ჩაგდება. საერთო ჯამში, ვეტერანი ფორვარდი არასტაბილური იყო: ხან მიყოლებით აცილებდა ტყორცნებს და პირიქით, ჰქონდა მონაკვეთები, როცა ზედიზედ ყრიდა ბურთებს. მატჩის ბოლოს სწორედ გარნეტი იყო ერთადერთი, ვინც მასპინძლებისთვის ხასიათის გაფუჭება სცადა. მეხუთე მატჩში ბრწყინვალე თამაშის შემდეგ, **ბრენდონ ბასმა** ამჯერად მხოლოდ სასტარტო მეოთხედში გამოიჩინა თავი, საერთო ჯამში კი 12-დან 10 ტყორცნა ააცილა მიზანს.

"ბოსტონი" ინტრიგას საჯარიმო ხაზიდან სიზუსტისა და ფარქვეშ მოულოდნელი აქტიურობის ხარჯზე ინარჩუნებდა. მაგრამ მხოლოდ ამ ფაქტორების გათვალისწინებით მოგება ძალიან რთულია. სტუმრებს შეტევაში ფანტაზია აკლდათ, თანაც, მხოლოდ ექვსი შედეგიანი პასი შეასრულა **რაჟონ რონდომ**. ლიგის ერთ-ერთი საკუთესო გამთამაშებლის ასეთი სუსტი გამოსვლა მისი შეცდომების ან პასიურობის ბრალი არ იყო, უბრალოდ პარტნიორებს აერიათ მიზანი.

პირველი სერიოზული გარღვევა (11:0) მესამე მეოთხედის შუაში განხორციელდა. "ფილადელფიას" სასტარტო ხუთეულის თითოეულმა წევრმა გამოიჩინა თავი, ძირითადად, სამწამიანი ზონიდან. "სიქსერზი" გრძნობდა, რომ "კელტები" ვერ ახერხებდა საკუთარი თამაშის პოვნას. მართალია, **პირსმა** და რონდომ შეძლეს ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ მასპინძლებმა ამ მომენტისთვის უკვე ძალიან მოუმატეს თამაშს. ისინი სულელურ შეცდომებს აღარ უშვებდნენ და ჯარიმების გამოყენება დაიწყეს. ამ დროს გამოჩნდა სერიოზული პრობლემები სტუმართა დაცვის ხაზში. დასკვნითი 12-წუთეულის შუაში შედეგიანად ათამაშდნენ **ჰოლიდეი** და **უილიამსი**. მცველების აქტიურობამ 11-ქულიანი უპირატესობა მოიტანა. სათამაშო რჩებოდა შვიდი წუთი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გარნეტი იყო ერთადერთი სტუმართა რიგებში, რომელიც მეტოქეს გამოეკიდა, მაგრამ მხოლოდ მისი მონდომება არასაკმარისი აღმოჩნდა. შეცდომებს უმატა რონდომ, თანაც არა მხოლოდ შეტევების დასკვნით ფაზაში, არამედ იერიშების ორგანიზების დროსაც. "ბოსტონის" სათადარიგოთა ხუთეულისგან არანაირი სარგებელი არ იყო და მან ხუთი ქულა დააგროვა იმ დროს, როცა "სიქსერზის" რეზერვისტებმა 18 ქულის აღება შეძლეს.

ბოლოსკენ სამქულიანი და საშუალო ტყორცნა ჩააგდო **რეი ალენმა**, მაგრამ დრო ძალიან ცოტა რჩებოდა – ასეთი თამაშით ერთ წუთში შვიდქულიანი ჩამორჩენის გაბათილება მეტად რთული იქნებოდა. ფილადელფიელები გონივრულად მართავდნენ შეტევებს და ბურთსაც უფრთხილდებოდნენ. ცალკე აღნიშვნის ღირსია შარშანდელი დებიუტანტის **ევან ტერნერის** თამაში, რომელიც ასეთ დაძაბულ მატჩებში აშკარა პროგრესს აღწევს. მისმა აგრესიამ და მონდომებამ ამჯერადაც მოიტანა შედეგი. მას განსაკუთრებული სტატისტიკა არ ჰქონია (11-დან 5), მაგრამ "სელტიქსის" მცველებზე ზეწოლასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

მეშვიდე მატჩი ბოსტონში გაიმართება. ისტორიული სტატისტიკა აშკარად არ არის "ფილადელფიას" მხარეს. "სიქსერზმა" წააგო ზედიზედ 13 სერია იმ დროს, როცა 2:3 იყო ჩამორჩენილი. ბოლოს ამ გუნდმა მსგავსი სერია 1955 წელს მოიგო.

**ფილადელფია–ბოსტონი 82:75**

**22:19, 11:17, 27:20, 22:19**

**ფ:** ჰოლიდეი (20+6 პასი), ბრენდი (13+10 მოხსნა), ტერნერი (12+9 მოხსნა+4 პასი), იგუოდალა (12+6 პასი), უილიამსი (11+6 პასი), ჰეიესი (9), ალენი (3+2 დაფარება), იანგი (2).

**ბ:** პირსი (24+10 მოხსნა+3 პასი), გარნეტი (20+11 მოხსნა), რონდო (9+9 მოხსნა+6 პასი), ალენი (9), ბასი (8+5 მოხსნა), პიეტრუსი (5), ჰოლინზი (0+5 მოხსნა+3 პასი).

**რეალიზაციის პროცენტი:** თამაშიდან (45.7/33.3), სამქულიანები (11.1/21.4), საჯარიმოები (60.7/87).

**სერია: 3-3**

## ალპინიზმი

# ევერესტზე რეკორდით

**მსოფლიოს** ახალი რეკორდი დაამყარა იაპონელმა ქალბატონმა **ტამაე ვატანაბემ** – ის გახდა ყველაზე ხანდაზმული ქალი მსოფლიოში, რომელმაც მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალი – ევერესტი დაიპყრო. ეს მიღწევა 2012 წლის 19 მაისს დააფიქსირა ჩინეთისა და ტიბეტის ალპინიზმის ასოციაციამ. 73 წლის იაპონელმა პენსიონერმა ევერესტზე ასვლა რამდენიმე დღის წინ დაიწყო – ის ოთხკაციან ჯგუფში შედიოდა.


ტამაე ვატანაბე

რეკორდსმენის განცხადებით, ბედნიერია იმის გამო, რომ ოცნება აისრულა. თავს შესანიშნავად გრძნობს და ახალი გმირობებისთვის მზადაა. სხვათა შორის, წინა რეკორდიც მას ეკუთვნოდა - ვატანაბემ ის 2002 წელს დაამყარა, როცა 63 წლის იყო. მამაკაცებს შორის ყველაზე ხანდაზმული ალპინისტი, რომელმაც ევერესტი დაიპყრო, 76 წლის შერპი **მინ ბაჰადურ შერჰანია** – მან ეს 2008 წელს გააკეთა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

● ჰოკეი. NHL სტენლის თასი. 1/2 ფინალი

# ეშმაკების იღბალი



ნიუ ჯერსის
ერთ-ერთი გოლი

ერთი ნაბიჯი აკლია სტენლის თასის ფინალში გასვლამდე "ნიუ ჯერსის". სერიის მეხუთე მატჩში "ეშმაკებმა" სამშაიბიანი უპირატესობა გაფლანგეს, მაგრამ ბოლოს მაინც შეძლეს გამარჯვების მოპოვება.

"ნიუ ჯერსის" ერთ-ერთმა ლიდერმა **ზაკ პარიზემ** მოგების მიუხედავად, ამ მატჩს ყველაზე უარესი უწოდა პლეი ოფში მისი გუნდისთვის. მართლაც, თუ პირველი პერიოდის საწყის 10 წუთს არ ჩავთვლით, ნიუიორკელები ყველაფერში სჯობდნენ მეტოქეს. იმ ნახსენებ ათ წუთში კი "დევილზმა" სამი გოლი გაიტანა. მესამე წუთზე **სტივენ ჯონტამ** – "მონრეალის" კაპიტნის **ბრაიან ჯონტას** უმცროსმა ძმამ გახსნა ანგარიში. ზუსტად 90 წამში ბოლო ექვს მატჩში პირველი შაიბა შეაგდო **პატრიკ ელიაშმა**.

**ჯონ ტორტორელამ** მაშინვე ტაიმაუტი აიღო და ამან მის გუნდს კინალამ უშველა. მასპინძლებმა ორი სახიფათო მომენტი შექმნეს, მაგრამ მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა **მარტინ ბროდო**. "რეინჯერსი" მაშინვე დაისაჯა - "ნიუ ჯერსის" კონტრშეტევა **ტრევის ზეაჯიაკის** ზუსტი დარტყმით დასრულდა – 3:0.

უნდა აღინიშნოს, "ნიუ ჯერსის" ეს გოლები უფრო იღბალის დამსახურება იყო, თუმცა 3:0-ის შემდეგ სტუმრების გამართლების ლიმიტი ამოიწურა. მასპინძლები ძალიან ბევრს უტევდნენ და პირველი პერიოდის დასრულებამდე გაქვითეს ერთი შაიბა – ეს ვარდნაში ეფექტური დარტყმით **პრუსტმა** გააკეთა.

ამასობაში, ლუნდკვისტმაც გამოასწორა თამაში და მეორე პერიოდში შაიბა აღარ გაუშვია, მისმა თანაგუნდელებმა კი ერთხელ შეტევაში გამოიჩინეს თავი – 32-ე წამზე მინიმუმამდე შეამცირა სხვაობა **რაიან კელეჰანმა**. **ანისიმოვის** დარტყმის შემდეგ მას ფეხზე მოხვდა შაიბა და ისე შევარდა ბროდოს კარში, თუმცა ვიდეოგამეორების შემდეგ მსაჯებს ამ გოლში კრიმინალური არაფერი დაუნახავთ. მასპინძლები აგრძელებდნენ დომინირებას, მაგრამ ანგარიში მხოლოდ მესამე პერიოდის სტარტზე გაათანაბრეს. ბროდომ ძალიან უხეში შეცდომა დაუშვა – კარიდან არადამაჯერებლად გამოვიდა და შაიბა მცველის ნაცვლად მეტოქის ყველაზე სახიფათო მოთამაშეს **მარიან გაბორიკს** დაუტოვა, რომელმაც საჩუქარი კარგად გამოიყენა.

ისე ჩანდა, რომ "დევილზი" დამარცხებას ვერ გადაურჩებოდა. სტუმრებს გაჭირვებით მიჰყავდათ თამაში ოვერტაიმამდე, მაგრამ საბოლოოდ, უფრო მეტს გამორჩნენ. მასპინძლების მცველებმა საკუთარ ზონაში ძალისმიერი ორთაბრძოლა წააგეს, შაიბა ჯონტას მიუვიდა, მან **კარტერს** მიაწოდა, რომელმაც ლუნდკვისტის კარი აიღო. დარჩენილ დროში "რეინჯერსს" ანგარიშის გათანაბრების რამდენიმე შანსი ჰქონდა, მაგრამ ისევ ბროდომ იმუშავა კარგად. მატჩში წერტილი პარიზემ დასვა, რომელმაც წინა მატჩის მსგავსად, ცარიელი კარი აიღო.

მეექვსე მატჩი შაბათს გაიმართება. მასპინძელი "ნიუ ჯერსი" იქნება, რომელსაც შეუძლია 2003 წლის შემდეგ პირველად გავიდეს სტენლის თასის ფინალში.

**რეინჯერსი-ნიუ ჯერსი 3:5**

1:3, 1:0, 1:2

0:1 ს. ჯონტა-3 (ფეინი-2, ბერნიე-3), 0:2 ელიაში-4 (ჰენრიკი-8, კოვალჩუკი-9), 0:3 ზეიჯაკი-7 (პარიზე-7, სალვადორი-8), 1:3 პრუსტი-1 (ფედოტენკო-5, სტეპანი-8), 2:3 კელეჰანი-5 (ანისიმოვი-7, დუბინსკი-2), 3:3 გაბორიკი-5, 3:4 რ. კარტერი-3 (ს. ჯონტა-3, ჟიდლიცკი-7), 3:5 პარიზე-7 (კოვალჩუკი-10, ფეინი-3).

**სერია: 2-3**

# ვუნდერკინდი მინესოტაში წავიდა

თანამედროვე ჰოკეის ერთ-ერთი უნიჭიერესი ფორვარდი, ფინელი **მიკაელ გრანლუნდი** ჰოკეის ეროვნულ ლიგაში გააგრძელებს კარიერას.

სკანდინავიელმა ვუნდერკინდმა სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა "მინესოტა უაილდთან", რომელმაც თავის დროზე ეს ჰოკეისტი დრაფტზე აიყვანა. გრანდლუნდს ვეტერანის მინიმალური ხელფასი დაუნიშნეს – ის სამ წელიწადში 2.7 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს.

გრანლუნდი არ ჩქარობდა ფინეთის ლიგიდან NHL-ში გადასვლას, მაგრამ "მინესოტამ" იაქტიურა, რადგან თუ მაისამდე ვერ შეძლებდა ფინელის გაფორმებას, კარგავდა ამ ჰოკეისტზე უფლებებს.

გრანდლუნდი შემოდგომაზე, საწვრთნელი ბანაკების გახსნის შემდეგ შეუერთდება "მინესოტას".



მიკაელ გრანლუნდი

● ოლიმპიადა

# არა ბაქოსა და დოჰას

კანადის პროვინცია კვებეკში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ალმასკომი შეიკრიბა, რომელმაც ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო. 2020 წლის ოლიმპიადის მასპინძლობის პრეტენდენტთა რიცხვი ხუთიდან სამამდე დაიყვანა.

წინასაარჩევნო მარათონს გამოეთიშნენ დოჰა და ბაქო. ასე რომ, 2020 წლის ზაფხულის თამაშების მასპინძლობისთვის იბრძოლებენ: ტოკიო, მადრიდი და სტამბოლი.

მათ შორის გამარჯვებული 2014 წლის 7 სექტემბერს გაირკვევა, როცა ბუენოს აირესში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მორიგი სესია გაიმართება.

როგორც სააგენტო AP-ს ალმასკომის ერთ-ერთმა წევრმა განუცხადა, გადაწყვეტილება მათ ოლიმპიური კომიტეტის მიერ მომზადებული ტექნიკური შეფასებების მიხედვით მიიღეს. ამის შემდეგ, ალმასკომის 12-მა წევრმა თითოეულ განაცხადს უყარა კენჭი – შეეყვანა თუ არა ესა თუ ის ქალაქი კანდიდატთა სიაში. როგორც გაირკვა, ტოკიოს კანდიდატურას ერთხმად დაუჭირეს მხარი, ერთით ნაკლები ხმა ჰქონდა სტამბოლს, იმ დროს, როცა ბაქოს ალმასკომის არც ერთმა წევრმა არ დაუჭირა მხარი, დოჰას კი სამი ხმა ერგო.

მიუხედავად იმისა, რომ კატარმა ფეხბურთში 2022 წლის ჩემპიონატის ჩატარების უფლება მიიღო, სოკ-მა არადამაჯერებლად მიიჩნია დოჰას ამბიციები. ბაქო კი ზედიზედ მეორედ ვერ შევიდა კანდიდატთა სიაში.

რაც შეეხებათ სიაში მოხვედრილებს, მადრიდი ზედიზედ მესამედ ეცდება ოლიმპიადის მიღებას, ტოკიო – მეორედ, სტამბოლი კი მეხუთედ ცდის ბედს.

ალმასკომზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება იაპონურმა განაცხადმა მოახდინა, რომელსაც "ძალიან ძლიერი" უწოდეს. სოკ-ს მადრიდიც მოეწონა, მაგრამ მისი შეფასებისას სიტყვა "ძალიან" არ გამოუყენებიათ. თურქული პროექტი დაახასიათეს, როგორც "კარგი პოტენციალის მქონე".

ბაქოს განაცხადს ოლიმპიურმა კომიტეტმა "სუსტი" უწოდა. მიზეზი – "საერთაშორისო ტურნირების ჩატარების მინიმალური გამოცდილება და ინფრასტრუქტურის არარსებობაა". დოჰას ყველაზე სერიოზული ნაკლი – ზაფხულის სიცხის გამო ოლიმპიადის ოქტომბერში ჩატარების იდეაა. სოკ-ის აზრით, ამან, შესაძლოა, ცუდად იმოქმედოს სატელევიზიო კონტრაქტებზე, რადგან შემოდგომაზე ბევრი დიდი ტურნირი იმართება. შესაბამისად გამოდის, რომ კატარი ვერასოდეს მიიღებს ოლიმპიადას, რაზეც ალმასკომის ერთ-ერთმა წევრმა, შვეიცარიელმა **დენის ოსვალდმა** განაცხადა: "ხანდახან ცხოვრება არასამართლიანია".



ალმასკომის სხდომა

● ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ესპანეთი. II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ალმერია-ნუმანსია | 2:0 |
| ვალიადოლიდი-რეკრეატივო | 1:0 |

**ბელგია. პლეი ოფი**

| | |
|---|---|
| ეუპენი-ოსტენდე | 1:0 |
| ვაასლანდი-ვესტერლო | 3:1 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| ჰაუგესუნდი-ჰიონეფოსი | 1:1 |
| ლილესტრიომი-ოლესუნდი | 0:0 |
| მიოლდე-ტრომსიო | 3:2 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| აიკ-გაის | 1:0 |
| ელფსბორგი-ჰეკენი | 2:0 |
| გიოტებორგი-კალმარი | 1:1 |
| სუნდსვალი-მალმიო | 1:1 |

**შვედეთი. II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ჰალმსტადი-ბრომაპიოკარნა | 2:0 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ლაჰტი-მიუპა | 0:0 |
| ჰონკა-კუოპიო | 1:0 |
| მარიეჰამნი-ტურკუ | 2:1 |
| ინტერი-ჰაკა | 4:1 |
| იუვიასკიულა-იარო | 1:1 |
| ვაასა-ჰიკ | 1:0 |

**ფინეთი. II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| კოტკაპა-სეინაიოენი | 0:1 |

**ისლანდია**

| | |
|---|---|
| ბრეიდაბლიკი-ფრამი | 0:2 |
| ფილკირი-ვალური | 3:1 |
| კეფლავიკი-ვესტმანაიეარი | 1:0 |
| სელფოსი-გრინდავიკი | 3:3 |
| სტიარნანი-აკრანესი | 1:1 |

**ბელარუსი**

| | |
|---|---|
| ბატე-მინსკი | 2:0 |
| ნემანი-სლავია | 8:0 |
| შახტიორი-ნაფტანი | 0:0 |

**კალათბურთი**

**საბერძნეთი**

| | |
|---|---|
| პანათინაიკოსი-ოლიმპიაკოსი | 81:79 |

**ესპანეთი**

| | |
|---|---|
| რეალი-კახა ლაბორალი | 71:81 |
| ბარსელონა-ვალენსია | 84:57 |

**ბულგარეთი**

| | |
|---|---|
| აკადემიკი-ლევსკი | 80:76 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ვიურცბურგი-ულმი | 74:82 |

**იტალია**

| | |
|---|---|
| სკავოლინი-კანტუ | 80:68 |

**ჩოგბურთი**

**ATP. ნიცა**

| | |
|---|---|
| სიმონი-ბელუჩი | 7:5, 6:0 |
| ისნერი-დავიდენკო | 4:6, 6:7 |
| ალმაგრო-დარცისი | 6:4, 6:4 |
| ბეიკერი-კუკუშკინი | 4:6, 6:3, 7:6 |

**ATP. დიუსელდორფი**

| | |
|---|---|
| ფ. მაიერი-ტროიცკი | 6:7, 3:6 |
| ჰარისონი-იტო | 6:2, 7:6 |
| ბერდიხი-ბერლოკი | 6:1, 6:7, 6:3 |
| დოდიგი-კუნიცინი | 7:6, 6:4 |
| როდიკი-სოედა | 5:7, 6:7 |

**WTA. სტრასბური**

| | |
|---|---|
| მორიტა-სტივენსი | 3:6, 4:6 |
| ლარსონი-სკიავონე | 0:6, 3:6 |
| მედინა გარიგესი-კორნე | 6:7, 6:7 |
| პარმენტიე-პანოვა | 6:3, 6:3 |

**WTA. ბრიუსელი**

| | |
|---|---|
| არვიდსონი-უ. რადვანსკა | 7:5, 6:4 |
| პირონკოვა-კანეპი | 3:6, 1:6 |
| ა. რადვანსკა-ვან უიტვანკი | 6:2, 6:1 |
| ჰალეპი-ციბულკოვა | 0:6, 6:4, 6:3 |

● TV პროგრამა

**25 მაისი. პარასკევი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-ატლეტიკო.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. ბორუსია (მ)-ვოლფსბურგი.
**14:00** იტალიის ჩემპიონატი. ნაპოლი-მილანი.
**16:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. ოსერი-მარსელი.
**18:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. XXXVIII ტურის მიმოხილვა.
**19:00** ესპანეთის თასი. 2011 წელი. ფინალი. რეალი-ბარსელონა.
**22:00** არგენტინის ჩემპიონატი. XV ტურის მიმოხილვა.
**23:00** პროგრამა - საფეხბურთო ღამე.
**00:00** ესპანეთის თასი. ფინალი. ბილბაო-ბარსელონა (LIVE).

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-მანჩესტერ იუნ.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/8 ფინალი. ლეიკერსი-დენვერი.
**15:00** NBA Action.
**15:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**16:00** ჩოგბურთი. WTA
-ის ტური. 1/2 ფინალი. სტრასბურგი. საფრანგეთი (LIVE).
**20:00** პოკერ-რინგი 2.
**21:30** NBA Action.
**22:00** ბადმინტონი. თომასისა და უბერის თასი. ჩინეთი.
**00:30** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/4 ფინალი. ფილადელფია-ბოსტონი. VI მატჩი.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. რომი. იტალია.
**13:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**13:30** ყოველკვირეული მიმოხილვა - სპორტის სამყარო.
**14:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ნიცა. საფრანგეთი (LIVE).
**19:30** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/4 ფინალი. ოკლაჰომა-ლეიკერსი.
**21:30** NBA Action.
**22:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. რომი. იტალია.

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 12 | 28 | (მცირე წვიმა) |
| ქუთაისი | 18 | 26 | (მცირე წვიმა) |
| ბათუმი | 16 | 24 | (მცირე წვიმა) |
| ფოთი | 17 | 25 | (მცირე წვიმა) |
| ზუგდიდი | 16 | 25 | (მცირე წვიმა) |
| გორი | 10 | 24 | (მცირე წვიმა) |
| თელავი | 11 | 26 | (მცირე წვიმა) |
| ბაკურიანი | 4 | 17 | (მცირე წვიმა) |
| ბორჯომი | 9 | 23 | (მცირე წვიმა) |
| მესტია | 4 | 18 | (მცირე წვიმა) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.0668 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6341 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5699 |
| 100 რუსული რუბლი | 5.2074 |

● მძლეოსნობა

# დღეს ბოლტი გაირბენს

მსოფლიოს უსწრაფესი ადამიანი, იამაიკელი სპრინტერი **უსაინ ბოლტი** დღეს სეზონში პირველ სტარტს გამართავს ევროპაში – ის მონაწილეობას მიიღებს ჩეხეთის ქალაქ ოსტრავას საერთაშორისო ტურნირში.

სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი წელს 100 მეტრ დისტანციაზე სეზონის ლიდერი გახლავთ – მან 5 მაისს კინგსტონში მოკლე სპრინტი 9.82 მეასედ წამში გაირბინა.

რა თქმა უნდა, ბოლტისთვის ყველა ტურნირი ლონდონის ოლიმპიადის მზადების ჭრილში განიხილება. იამაიკელისგან ლონდონში ყველა მსოფლიოს ახალი რეკორდის დამყარებას ელოდება, თუმცა ბოლტს ამასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრება აქვს.

*"როცა სტარტის სწორად აღებას ვისწავლი – რეკორდიც შედგება, - ამბობს მსოფლიოს უსწრაფესი ადამიანი. – ერთადერთი, რაც ახლა მჭირდება, სტარტის ტექნიკაზე მუშაობაა. წინ კიდევ ორი თვეა იმისთვის, რომ ეს კომპონენტი იდეალურამდე მივიყვანო და მიმაჩნია, რომ ახლა სწორ გზას ვადგავარ".*

ოსტრავას სტარტის გარდა, ბოლტს ოლიმპიადამდე კიდევ სამ ტურნირში აქვს დაგეგმილი გამოსვლა – ეს არის "ბრილიანტის ლიგის" ეტაპები: 31 მაისს რომში, 7 ივნისს ოსლოში და 20 ივლისს მონაკოში.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლონდონი 2012

# ჩირაღდანი ჩელტენემში



ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტის მეექვსე დღეს ოლიმპიურმა ცეცხლმა ჩელტენემის სახელგანთქმულ იპოდრომს მიაღწია. 30 ათასი მაყურებლის წინაშე ჩირაღდანი ბრიტანეთის დედოფლის **ელიზაბეტ II-ის** შვილიშვილმა **ზარა ფილიპსმა** ჩაიბარა. 31 წლის ყოფილმა ცხენოსანმა იპოდრომს ერთი წრე დაარტყა და ჩირაღდანი ესტაფეტის შემდეგ მონაწილეს გადასცა.

ფილიპსი თავის საყვარელ ცხენზე, თოითაუნზე იჯდა. ინგლისის სარაგბო ნაკრების ყოფილი წევრის **მაიკ თინდალის** მეუღლემ შარშან ტრავმა მიიღო და მას შემდეგ თოითაუნზე არ მჯდარა, მაგრამ ოლიმპიური ესტაფეტის ხათრით ახალგაზრდობა გაიხსენა.

გუშინდელი დღის ყველაზე ემოციური მომენტი იყო ესტაფეტაში 16 წლის **ბენ ფოქსის** მონაწილეობა. ეს ბიჭი პარალიმპიელი კალათბურთელია და 2016 წელს, რიო-დე-ჟანეიროში პარალიმპიურ თამაშებზე გამოსვლის იმედი აქვს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



ევრო 2012

# სესკი იბიცაზე







ევროპის ჩემპიონატის წინ მხოლოდ **უეინ რუნი** არ ნებივრობს პლაჟზე. ესპანეთის ნაკრებში გამგზავრებამდე კურორტ იბიცაზე ისვენებს "ბარსელონას" ნახევარმცველი **სესკ ფაბრეგასი**. რა თქმა უნდა, ის მარტო არ არის. ყოფილი არსენალელის გვერდით ვხედავთ მის გერლფრენდს, **დანიელა სემაანს**. ეს ქალბატონი ადრე მილიონერის მეუღლე იყო და ორი შვილი ჰყავს: 11 წლის ქალიშვილი და 9 წლის ვაჟი.

ფეხბურთელის ბედნიერი დღეები დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან ფაბრეგასს დღეს ესპანეთის თასის ფინალი აქვს სათამაშო "ბილბაოს" წინააღმდეგ, შემდეგ კი სესკს ესპანეთის ნაკრები უხმობს.

ჩოგბურთი



# თითქმის ნადალი

გუშინ, ოფიციალურად წარადგინეს მსოფლიოს მეორე ჩოგნის, "დიდი სლემის" ტურნირების 10-გზის ჩემპიონის **რაფაელ ნადალის** ცვილის ფიგურა. ოფიციალური ცერემონია ლონდონის ცენტრში, "რეჯენტს პარკზე" გაიმართა.

სააგენტო AP-ის ცნობით, მოგვიანებით ეს სკულპტურა თავის ადგილს დაიკავებს ინგლისის დედაქალაქში მდებარე მადამ **ტიუსოს** ცნობილ მუზეუმში.

# როჯერი უკმაყოფილოა

ლეგენდარულ შვეიცარიელ ჩოგბურთელ **როჯერ ფედერერს** ნეგატიური რეაქცია ჰქონდა ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებაზე, რომელიც 2016 წლის ოლიმპიადისთვის ჩოგბურთელების შერჩევის ახალ წესს ეხება.

*"მე არ ვეთანხმები ახალ პირობებს. ვიყავი მაიამიში ფედერაციის სხდომაზე, როცა ეს გადაწყვეტილება მიიღეს, მაგრამ მაშინ ჩემი აზრით არავინ დაინტერესებულა.*

*ფედერაციაში მიაჩნიათ, რომ ჩვენს ქვეყანას მხოლოდ დევისის თასზე გამოსვლისას წარმოვადგენთ, მაგრამ ეს ასე არ არის. გვაიძულებენ ნაკრებში ვითამაშოთ. პრეზიდენტმა შესანიშნავად იცის ჩემი პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით. ახლა მიმდინარე სეზონზე ფიქრით ვარ დაკავებული და მომდევნო წელს საკუთარ განრიგს ისე შევადგენ, როგორც ჩემთვის იქნება მომგებიანი"*, - ამბობს ფედერერი BBC-თვის კომენტარში.



ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**
ISSN 2233-3827
9 772233 382000
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

# მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი;** მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **ირაკლი თავაძე**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com*
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:20
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608